

652 /  
1983/2

ISSN 0134 3459

საქართველოს  
საბჭოთავო პარტია

# ქარაოხი

1983

4



# ჭოჯოხი

რატურულ-მხატვრული და  
შეადრებრივ-პოლიტიკური  
შურნალი

საქართველოს მფრალთა კავშირისა  
და აჭარის ბანყოფილების  
ორბანო

ბანომცემის 25-ე წელი

4

1983

ივლისი  
აგვისტო

რა მშვენიერი ზღვა ვეაქვს, აჭარა,  
რა მომავალი, ქვირფასი ბედით...  
ქალაქი - ჩუნი ქვეყნის ფანჯარა  
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



ბათუმი



# სომეხური დაბეჭდილია:

3 ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით

## პ ო მ ე შ ი ა, კ რ ო შ ა

გამია მარშანიძე	6 წიგნიდან „სიზმარეული მესხეთი ჩემი“ (ლექსები)	
ჯეჟალ ჯაფარიძე	12 ივერია (მოთხრობა. დასასრული)	
შოთა რიფია	25 ახალი წიგნიდან (ლექსები)	
რამაზ სურგანიძე	29 ეპრულა (კინომოთხრობა. გაგრძელება)	
იაკობ მელია	46 იმ დღეთა გახსენება (ლექსები)	
ოლეს იურანაძე	48 საქანელა (ნოველა)	
ბორის მებრეველი	50 ლექსები	

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ამირან კილაშაძე	52 სენიერები ზღვაში გაღიან
ლანდოლ კუჭავა	56 გჰადლობთ, ექიმო!.. (დასასრული)

## რ ს ღ ვ ა ი მ რ ი ლ ო ბ ი ს 80 წ ო ლ ი ს თ ა ვ ი ს ა თ ი ს

პარმენ ცხვიტარია	66 დიდი გზის ეტაპები
------------------	----------------------

## მ ე მ ო ზ რ ო ბ ა მ შ ა ლ დ ა ს ი დ ა ლ

იოსებ ბეჰირიშვილი	70 თრი ძმის სოფელი
-------------------	--------------------

## წ ე რ ი ლ ე ვ ი

ალექსანდრე ვიზრო-ნიძე

იური ბიბილაიშვილი	73 დისციპლინა — ზნეობის სათავე
აბელ სურგულაძე	78 ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის
შალვა მარშანიძე	84 აჭარის სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობა, ანტიკურ ხანაში

## კ რ ი ტ ი კ ა დ ე მ ი ა დ ა მ ი ა

დავით კომახიძე	91 საეურადღებო გამოკვლევა
	93 გახულ ორ თვეში

გარეკანის 1-ლ გვერდზე — ბათუმი. სასტუმრო „მელა“. ბ. ლომაძის ნახატი.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. მარნია.



„ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ როგორ ძლიერდება ადამიანთა გონებაზე ხელოვნების შემოქმედება ხალხის კულტურული ღონის აწაღების კვალბაზე. ამით იზრდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი აქტიური ჩარევის შესაძლებლობანიც. მაშასადამე, უდიდეს წილად იზრდება ხელოვნების მოღვაწეთა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მათ ხელთ არსებული მძლავრი იარაღი ემსახურებოდეს ხალხის საქმეს, კომუნისმის საქმეს“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის აპხ. ი. ვ. ანდროპოვის ეს სიტყვება, წარმოთქმული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, შესანიშნავად განსაზღვრავს ხელოვნების პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, გვიჩვენებს სოციალისტური კულტურის უზნიშვნელოვანეს მისიას — აყალიბებდეს, ამადლებდეს ადამიანის სულიერ მოთხოვნებს, აქტიურ გავლენას ახდენდეს პიროვნების იდეურ-პოლიტიკურ და ხეობრივ საზღვრებზე.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვანი მხარდაჭერითა და მოწონებით შეზღუნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პლენუმისა, რომელმაც განიხილა პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები. ასევე საყოველთაო-სახალხო მოწონება დაიმსახურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დოკუმენტებმა, ამ სესიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევამ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ერთსულოვნად მოიწონა პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული საპროგრამო დებულებები და დასკვნები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს პარტიული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას, კერძოდ, ჩითითება იმის შესახებ, რომ „...კომუნისტების, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნების ჩამოყალიბება — ეს მართოდენ პროფესიონალი იდეოლოგების, პროპაგანდისტების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების საქმე როდია. ეს მთელი პარტიის საქმეა“.

ჩვენმა ლენინურმა პარტიამ მკაფიოდ განსაზღვრა თავისი პრინციპული მიდგომა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი. ესაა ჩეცნიერულობა, ალაღმართლობა, რეალისტურობა, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი, სამერმისო გზების მკაფიო ჭვრეტა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა

17440

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა პასუხისმგებლობა ახალგაზრდა ადამიანის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში. კერძოდ, ითქვამს, რომ პარტია დიდად აფასებს ხელოვანის ნიჭს და იგი საზოგადოების უმნიშვნელოვანეს კუთვნილებად მიიჩნია. დიდი მადლობის სიტყვებს იმსახურებენ მწერლები, ეზატურები, მუსიკოსები, თეატრისა და კინოს მუშაკები, ყველა ისინი, რომლებიც ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში აქტიურად ავითარებენ ჩვენი სამშობლოს დიად მრავალეროვან კულტურას.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტია მხარს უჭერს, სათუთად, პატივისცემით ეკიდება ტალანტებს, ხელოვანის შემოქმედებითს ძიებას, არ ერევა ჩისი მუშაობის ფორმებსა და სტილში. მაგრამ პარტია გულგრილი ვერ იქნება ხელოვნების იდეური შინაარსისადმი. „იგი მუდამ წარმართავს ხელოვნების განვითარებას ისე, რომ ეწახურებოდეს ხალხის ინტერესებს. საქმე, რა თქმა უნდა, ადმინისტრირებას როდი ეხება. მხატვრულ შემოქმედებაზე გავლენის მთავარი მეთოდი უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა, აქტიური, გულისხმიერი, ყურადღებიანი და ამავე დროს იდეურად უცხო და პროფეზიულად სუსტი ნაწარმოებებისადმი შეურიგებელი“.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ეს სიტყვები სახელმძღვანელო დებულებაა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკისათვის, მთელი შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის.

კომუნისტური პარტია დიდად აფასებს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებით შრომას, მათ მზადყოფნას ყველაფერი გააკეთონ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად. უკანასკნელ პერიოდში არაერთი თვალსაჩინო ნაწარმოები შეიქმნა თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე, ამის შესახებ კმაყოფილებით ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, კერძოდ, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ხელოვანის შემოქმედების ამოსავალი წერტილი იყო და კვლავ არის მისი მოქალაქეობრივი პოზიცია. მხოლოდ პარტიული მიდგომა უწყობს ხელს თანამედროვეობის წამყვანი ტენდენციების შეცნობას. ჭეშმარიტი ხელოვანი სინამდვილეს არც ზიზილ-პაიბებით აღამაზებს და არც ცხოვრების წრილობიან მხარეებს წამოსწევს წინ ხელოვნურად. მუდამ უნდა გვახსოვდეს დღევანდლობის უპირველესი მოთხოვნა — შემოქმედებითი საქმიანობა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, პარტიის წინასწარდასახულობათა შესრულებას.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ზოგიერთი ავტორი თავის ნაწარმოებში ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ცხოვრებისეულ სიმწველეებზე. ზოგჯერ ნაწარმოების პერსონაჟები უნებისყოფო, ხელმოცარულა ადამიანები არიან. ჩვენს მკითხველებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობას, ისეთი იდეალი სჭირდება, რომლისგანაც ის მაგალითს აიღებს.

ასეთი გმირები მრავლადა ჩვენს გარშემო — ფაბრიკებსა და ქარხნებში, მინდვრებსა და პლანტაციებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო ლაბორატორიებში. იდეურად მტკიცე, შრომისმოყვარე, მამაცი ადამიანები უნდა გახდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მაღალმხატვრული ნაწარმოებების გმირები.

ქართველმა მწერლებმა, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში გაერთიანებულმა ლიტერატორებმა, საერთოდ, ჩვენმა შემოქმედებთმა ინტელიგენციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები აღიქვეს როგორც სამოქმედო პროგრამა დღევანდელ თუ სამერმისო საქმიანობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ ვკითხულობთ: „სსრ კავშირის ერთა და ეროვნებათა ძმური კავშირი, მათი ერთობლივი შრომა, ეროვნულ კულტურათა მზარდი დაახლოება, ურთიერთგამდიდრება საბჭოთა ხალხის შეკავშირების განმტკიცების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის ამოცანათა წარმატებით გადაჭრის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. მას უნდა ვეწეოდეთ ფართოდ, გულმოდგინედ, პატრიოტულ აღზრდასთან ორგანული კავშირით, ვმოქმედებდეთ პარტიული პრინციპულობისა და ეროვნული შეზღუდულობისა თუ ეროვნული ნიჰილიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის პოზიციებიდან, სათუთად ვეკიდებოდეთ ყველა ეროვნების ადამიანთა გრძნობებსა და ღირსებას“.

დადგენილების ეს სიტყვები ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღევანდელ ეტაპზე, როდესაც მთელი ჩვენი რესპუბლიკა ემზადება საყოველთაო-სახალხო ზეიმის — ქართველი და რუსი ხალხების დამოყვრების ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების ბეჭდვა ჩვენმა ყურნალმა კარგა ხანია დაიწყო. სპეციალურად ამ თარიღს მიეძღვნება „ჭოროხის“ მომდევნო ნომერი.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, იდეოლოგიური კადრები, ყველა კომუნისტი მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ენერგიასა და ნიჭს მოახმარენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, განავრძობენ და შემოქმედებითად გაამდიდრებენ ბოლშევიკური პროპაგანდის სახელოვან ტრადიციებს.



## მამია შარშანიძე

### წიგნიდან „სიზმარეული მესხეთი ჩაბი“

განა, ძმები არ იყვნენ აჭარა და მესხეთი,  
 განა, ძმები არ იყვნენ მესხეთი და აჭარა?  
 ამაღ მათი მგოსანი ვარ ხოტბისა შემსხმელი,  
 მინდა რაღაც დიადი ვპოვო... მერე დავჭრა და...  
 წმინდა ტაძრად ვაშენო და შიგ ლოცვად შევიდე,  
 და წარწოთქვა ქებანი ამ მხარის თუ იმ მხარის,  
 ჩემო ტკბილო მესხეთო, შენს შვილს ცოტა შემინდე,  
 თუკი შენი საკადრი გალობა ვერ გითხარი!  
 მალღლები და ახლღები, აშრიალდა მინღორი,  
 გაფენილა ცასავით შენი მწვანე ხალიჩა,  
 შენ ისა ხარ, როგორც მე მარადის ზინღოდი,  
 შენს ცისკარზე, მამულო, შენი დიდი ხვალე ჩანს.  
 შენს სიყვარულს, მესხეთო, გულით ზედ დავაკვდები,  
 თუ დაგჭირდე, მოგკვდები შენთვის, ქედმოუხრელი.  
 მაშ, აღზევდი, აღზევდი, დაარწიე აკვნები,  
 მასუნთქვინე მეც ხარბად კვამლი შენი ბუხრების!

### მესხი გოგონას ნათქვამი

ერთმა მესხმა გოგონამ გულზე ხელი დავიდე,  
 შენ გიფიცებ მესხეთო, შენ, აჭარავ, გადიღებ!  
 ჩემო მთებო, მთიებო, ჩემი საალერსო ხართ,  
 ყანლის მთას რომ გავზედე, ცისარტყელა მესროლა.  
 შორს გაუფრინდი ოცნებით, ვნახე შენი ცხმორისი,  
 ვნახე ხიდი თამარის, — ძეგლი ამ საცხოვრისის.  
 შორს გაუფრინდი ოცნებით, ფიქრი ტალღად დავძარი,

ენახე ნიგაზეული, ენახე სხალთის ტაძარი:  
შენ საიდან? წესხი ხარ? — გაკვირვებით მითხარი,  
გაგიფრინდი კვლავაც და... ენახე შენი ხიხანი...  
მერიემიც გავიცან, გულისვარდიც გავიცან...  
ენახე ქედა, მერისი, კიდეც მოვალ გაისად...  
ენახე სარფა, გონიო და ტალღები აშარი, —  
ისე შემოვიხვიე, როგორც ჩემი თავშალი.  
სიყვარულის გული მაქვს, დიდი, განა პატარა?  
შენ გიფიცებ, წესხეთო, შენ გიფიცებ, აჭარავ!

### ჯამახელ გოგონას მაიკო ყავრელიშვილს

ნეტავი სად გავიგონე შე სოფელი კოთელია?!  
გამახსენდა, გამახსენდა, გზად რომ შუქად მომფენია,  
ჩემს ენახე მოუბარი. „დედაენით“ მომთენია,  
სულ ცოცხლობდეს სულ ხარობდეს, გოგოვ, შენი კოთელია!  
და შე გკითხე: კიდეც თუა აქ სოფელი ჩვენებული,  
ქართულ კოხტა აივნებით, ჩუქურთმებით მშვენიებული.  
მიპასუხე: კი არისო... დიდება, ვინც აღაშენა,  
დანარჩენი, დანარჩენი, ვაჰმე, როგორ გადაშენდა!  
იქ, სოფელი კრწანისია, თანდათან რომ მიიღია,  
თითქოს სადღაც გლოვა ისმის, და ჩემს გულში ტკივილია...  
აკვნებს რატომ არ ვამრავლებთ, ამდენ საფლავს რატომ ვითხრით,  
რად ვნებდებით საღათას ძილს, ქედს მოუხრელს რატომ ვიხრით?  
თუკი მამულს არ მოუვვლით, თუ არ გვძალუძს ბოროტთ ძღვევა.  
თუკი ასე მივიღევით, საქართველო მიიღევა.  
წუთისოფლის გზა-უკუნი ხმლით და მკერდით გვირღვევია,  
სან ცრემლები დაგვდენია და ხან ლალად გვიმღერია.  
და თუ ერთი დაცემულა, ცხრა ძმა ხმალით წინ გაჭრილა,  
ახლაც ისე უნდა ვიყოთ, ჩვენს სამშობლოს თუ დასჭირდა.  
შენც, მაიკო, შენც შესწირავ თავს შენს მესხეთს, შენს ჯაჯახეთს  
და მაია წყნეთელივით ორგულს ხანჯალს დააჯახებ?  
მიპასუხე, გენაცვალე, მძიმე სევდით თვალს ვერ ვახეღ...  
ოცნებაში გხელავ მდიმარს და აღმიქვამ გულში იმედს,  
მერე ერთად შევიყარეთ, მერე ერთად გავიღიმეთ,  
შე შეიღივით გეფერები, შენ მეხვევი როგორც მამას,  
და ჩვენ ერთად ვილოცებით: ჰე, მესხეთო, იყავნ ღარად!

წუხელ რა კარგი სიზმარი ვნახე,  
 ისემც ჩემსავეთ თქვენც ვიხაროდეს...  
 არ ვიცი, სიდან მესხეთში მოველ,  
 ვარდებს უწნავდათ თქვენს მახარობელს.  
 მე მოვდიოდი თქვენდა თაყვანად,  
 მოგფერებოდით თქვენი ტრფიალი,  
 გზა-გზა მხვდებოდნენ მესხი ბავშვები,  
 არსად არ ჩანდა მიწა ტიალი.  
 ყველგან სახლები, ყველგან ბაღჩები,  
 ყველგან ბაღები, ყველგან ვაზნარი...  
 და მესხეთი მე ისე მეჩვენა —  
 თითქოს მნათია უზარმაზარი.  
 ყველგან სუფრა და... ქვევრი, მაჭარი,  
 თითქოს აღმდგარან მამა-პაპანიც.  
 რა სიუხვეა, რა სილიადე,  
 სინამდვილეა ეს თუ ზღაპარი?!  
 ეს იყო ოდეს ჩემი ოცნება,  
 ეს იყო ჩემი სეველა მტანჯველი.  
 ეხვდავ, აღმდგარა ჩემი მესხეთი  
 და დამხობილა მტერი — ქაჯეთი.  
 მე ვილოცები მაღლიან ენით.  
 კარგად მიწყოფე, ღმერთო, მესხეთი.  
 შენთან ვიქნები, შენთან მარადის  
 პოეტი — შენი ქების შემსხმელი.  
 თითქოს ყვავილით სული სავსე მაქვს,  
 თითქოს ამხდარა ყველას მიზანი.  
 რა კარგი იყო, რა კარგი იყო  
 წუხანდელ ღამის ტკბილი სიზმარი!

●

ჩემი სულიც, გულიც ხარ, შენთვის მოიჭრან ეს ხელი,  
 ჩემი ხატი და რჯული შენ ხარ ჩემი მესხეთი.  
 ჩავეკირკიტებ ჟამს წარსულს, სულს ჩემო, დამშვიდდი,  
 ვფურცლქ შენი წარსული და ბავშვივით დავშინდი.  
 ვინ არ კტანჯა მძულვარედ, ო, რამდენი მოვთვალე,  
 ღამის დღანახშირა იმ ურჯულს ოსმალომ.  
 როგორ ვაზმი, ვაზო, და ჩემო ვარდო, სოსანო,  
 როგორ ნაცრად იქეცი ჩემო სულო, ფრთოსანო!

სად რა არა დათრგუნეს, ცეცხლი რას არ შეუნთეს,  
ვერასოდეს ვერ ვიტყვი, ავისმქნელსო შეუნდე.  
ახლა ისეთ ფერთ აჩენ, რომ მნახველი გაოცდეს,  
შენი ფეხვი მიმჭკნარი ახლა უნდა გაცოცხლდეს.  
შენ ძვირფასი ხატი ხარ, მუდამ დასაფიცარი,  
შენი ანომავალი მე ცისკარი ვიცანი,  
შენ ძვირფასი ხატი ხარ, ჩემი დასაფიცარი!

●

ახ, რისთვის გეტრფი, მესხეთო, ასე,  
და რატომ მინდა სულ აქ ვიარო?  
ხატი ხარ ჩემი უსაყვარლესი,  
შენ ჩემი გულის თანაზიარო.  
ბუბუმწოვარი პატარა ბავშვი  
სულ ხომ დედიკოს კალთაში უზის,  
მეც მსურს ჩაგიღო თავი კალთაში,  
წინდა პარნასო შენ ჩემი მუზის.  
აი, ვარძია — ჩვენი თამარი,  
აქ ხომ ჰხატია, აქ ხომ ჰხატია?  
მისი საფლავი ნეტავ სად არი?  
ვაჰმე, რამდენჯერ მომინატრია.  
ეს ხომ თმოგვია? — დალეწილია,  
ღაგრამ ვინ იყო ნეტავ თმოგველი?  
აქ ისტორია დამეწყრილია,  
აქ სერაფიტა იქნებ მოგველის.  
დავიარები აქ სინანულით,  
შენ არც კი იცი, მე რა მაცოცხლებს.  
ჩემი მესხეთის მე სიყვარული  
დიღხანს მაცოცხლებს,  
დიღხანს მაცოცხლებს.

●

რომ ვიყო ახლა მე ახალგაზრდა,  
ნესხელ გოგონას შევიყვარებდი,  
და ჩემს მესხეთში დავსახლდებოდი,  
შენც იზარებდი, მეც ვიზარებდი.  
დავდგამდი კორღზე დიდ სრასასახლეს,  
დიდ მესხურ ბუხარს ავაკვამლებდი,

გავაშენებდი მე ზღაპრულ ბაღნარს,  
სულ მექნებოდა ღიად კარები —  
ბაღის კარებზე მე წავაწერდი:  
— მოღით, მგზავრებო,  
გთხოვთ წასპინძელი,  
გთხოვთ მასპინძელი ხელაპყრობილი,  
ვარდი დავრგე და ვარდებს ვიძლევი!  
გავამრავლებდი ჩემს გვარს, მესხის გვარს,  
სამი რა არის, ათს გავაჩენდი,  
მესხეთის მიწას, საყვარელ მიწას  
სამარადისო კვალს დავაჩენდი.



ახლოს მოდი, მეგობარო, დაჭრილ გულთან გასდე ხიდი,  
არასოდეს არ ყოფილა ჩვენი გული გატეხილი.  
უნდა აღსდგეს ჟამთ სიავით, რაც მოისრა, რაც დაეცა,  
უნდა აღსდგეს, უნდა აღსდგეს თახვირიც და ბოლოშკლდეცა.  
ადიგენში, ასპინძაში სასახლენი აღმართულა...  
აჭ დასახლდი, გამიმრავლდი, იჭიკჭიკე, მანდ ქართულად.  
აჭარელიც მესხია და მესხი არის რუსთაველიც,  
მესხი არის ჩვენი ტბელიც, აღვაზევოთ მუნ მთა-ველი.  
სიყვარულის, სიხარულის ჟამი იდგეს სანეტარო  
და მეც შენი მინდვრის ხნული ჩემი გუთნით გამეტანოს,  
პირველად რომ ტანს აიყრის, იმ ყვავილებს დავეტანო,  
კაკალ გულში გეხუტები, მხარეც, ტურფაც, სანეტაროც!



კვლავ დაგიბრუნდა, მესხეთო, დიდება ნაყაჩადარი.  
ჭირიმე შენი გუგუნის, შენი წაღალი წაღარის.  
ისევ ყვავილობს საოცრად შენი ვაზი და ბაღნარი,  
ახ, როგორ მიყვარს, მესხეთო, შენი ქვეერი და თაღარი,  
შენი ლამაზი ქალები, გზებზე სანთლები ჭადარის,  
შენი მამაცი ვაჟები, მხარბეჭიანი, მაღალი,  
შენა ხარ ლალ-ზურმუხტების და მარგალიტთა აღალი.  
აჭარაც შენ გეფიცება, ძმურად ჩაგიდგა მხარდამხარ,  
ისე მიყვარხარ, არ ძალმიძს, რომ არ გესტუმრო ხანდახან.  
მე სიყვარულის სტრიქონებს შენთვის ჩემს სულში ვპერწავ და...  
და ვიტანჯები მეც იქვე, სად შენი სული ეწამა.  
მოველტვი, შენსკენ მოველტვი, შენი ალერსი მჩვევია,  
ბედნიერი ვართ, მესხეთო, ყველა ვარსკვლავი ჩვენი!

ჩე მესხეთში მღერით მოველ, გამიღიმეს მთა-ვორებმა;  
 უოთაჲ, შენი სტუმარი ვარ, მსურს შენი ხმის გავონება,  
 ჩვენი ერის სიამაყეჲ, ჩვენო დილო შთაგონებაჲ!  
 შენს დაკარგულ კვალს დავეძებ, იქნებ სადმე შეგეყვარო,  
 ახ, ნეტავი გნახავდე და შემოვივლი ცთელ სამყაროს.  
 შენზე ფიქრით მეც გავწამდი და გონება დამერეცა,  
 რუსთაველო, სანატრელო, სად ხარ ნეტავ, სად ხარ ნეტავ?!  
 შენს კვალს მივეყვით იერუსალიმს, ტაძრის კედლებს ცრემლით  
 ვრეცხდით,

ნეტავ ის ხარ — ბერიკაცი?! — და შორიდან შევცბი მეც კა.  
 აკანკალდა გულიც ჩემი, დაჭრილივით მოვიოხე,  
 და მე წყველა გავუგზავნე დანაცრებულ იმ წლებს ოხერს,  
 წმინდაჲ. ღმერთის მოთაყვანეჲ, მაინც დილო მეაზობხე.  
 გადმოგვცემენ, რუსთაველო, გვეარებათ თამარ-მეფე,  
 მისი დიდი სიყვარული პოეზიად ააჩქეფე,  
 გვეარებათ თამარ-მეფე, ჩვენი დიდი თამარ-მეფე!  
 რუსთაველო, ამბობენ, რომ უყვარდიო თამარ ქალსაც,  
 მაგრამ ვაი, ბედი შენი, ბედი შენი გაჰყვა ქარსა.  
 შენს გულს ალალს ოხერა შერჩა, საწარადოდ დაისაჯე,  
 ეჰ, ვინ იცის, ვით იწამე, როგორ მწარედ დაიტანჯე!  
 აბა, თამარს რა ბრალი აქვს, სხვათა ჰქონდა მორჩილება,  
 უღარბაზოდ თურმე თამარს არ შეეძლო ქორწინება.  
 ვახ, იმ დარბაზს, იმ დიღებულთ, ვინაც მაჯა გადაგიჭრა,  
 შენ უკვალოდ გაჰქრი სადღაც, მხოლოდ წიგნი გადაგვიჩნა.  
 ამბობენ, რომ თამარ-მეფე შენს დაჭრილ გულს იცოდებდა,  
 იქნებ, იქნებ შენი სახე ჰქონდა ხატად, სიცოცხლედა.  
 სად ხვაშიადს არ ვეძებდით, სად რა გზები არ მოვლახეთ,  
 არც შენი და არც თამარის საფლავები ვერ მოვნახეთ.  
 ამაღ შეგვჩნა ტანჯვა დიდი და ცრემლები აუწყველი,  
 ჩაუქრობელ ამ ღადართ არვინ დარჩა დაუწყველი.  
 შენს ნაცვლად ჩვენ შენს წიგნს ვკოცნით, შენი წიგნით თამამი ვართ,  
 ავთანდილი შენა ხარ და თინათინი — თამარია.  
 გული ჩვენი შენით ხარობს, ჩვენო ხვითოვ, ჩვენო ოქროვ,  
 აჰ მოვდივართ, შენს ხატებას მუხლმოყრით რომ დაუწოქოთ.  
 ცე მესხეთში მღერით მოველ, ვტკბები მხარით მშვენიერით,  
 შენ გემთხვევი, რუსთაველო, დიდებაო შენი ერის!





ჯიშალ ჯაყელი



გამობდა მცირე ხანი და თითქმის ყველაფერი შეიცვალა...

პატარა კახმა სვეტიცხოველში მიიძინა... მაშინდელი ნახიზმრები მისი ახლა მთლიანად გაცხადდა: — ცივკომპორიდან არწივი მართლა წამოფრინდა, ალავერდზე დაეშვა, ფრთები გაიწვორა, გაიფაშვავა და ბრიალა თვალეპით მიმოიხვდა. რამ ჩაუყენა მას ეს ბრიალი თვალეპში? თავისმა არწივულმა ერთადერთობამ, ქორთა დატყეპამ კაკებზე, ბულბულთა სიბრალულმა თუ დანგრეული ბუდეების სევდამ? იქნებ — ვვავ-ვორანთა ნისკარტის სიბიზმურემ ან ქვეწარმავალთა ქვემშრომობამ?

ცოტაც და... ბურუსი დაიწმინდა, ყველაფერმა თავისი სახე მიიღო და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა.

ზეცამ იმდენად ინათა, რომ გელათის მზის საათი საცნობი გახდა.

დრო ზუსტად აღრიცხა ყველამ: მაშურალმა და მლოცველმა, დიდმა და პატარამ, ყველამ! დილას დილა დაერქვა, შუადღეს — შუადღე და საღამოს — საღამო. ყველამ დაინახა, რომ ჩრდილი დილასა და საღამოს თანაბარი მანძილით გრძელდება, ჩრდილი მოკლდება და ქრება შუადღისას, როცა მზე ზენიტზე დგას. დრო!

გაივო ყველამ — რომელი საათია, რა დროში ცხოვრობს, რა უნდა ქნას, რომ მშვიდობამ გაიხაროს, ვაზმა გაიხაროს, გული გათბეს.

საათი დროის სახელია, დრო — ადამიანისა, ნანგრევი — ომისა, გულის ფეთქვა — სიფვარულისა!... ყველასა და ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. დროსაც — თავისი..

დრო! იგი აუტანლად ზანტიცა და აუტანლად სწრაფიც.

დრო მეფეც არის და/მბრძანებელიც. იგი გვირგვინიანიც არის და უკვირგვინიც. პირველს ყველა კუთხიდან ესლება ქარი, ქარი ხორშაკი, ცეცხლს ხანძარად რომ ანთებს, ხანძარს — უბედურებად. მეორის სულში კი მიმოდის ნდობა იმა კედლისა, რომელიც მას ჰფარავს, ჰფარავს ქარისაგანაც და... სხივებისაგანაც.

დასასრული. იხ. „ჭოროხი“ № 1-3.

დრონი მეფობენო. იმეფონ, ბატონო!  
დრონი ღიანო წყალივით. იღინონ, ბატონო!  
დროში ცხოვრობსო ადამიანი, რამეთუ იმავე დროში ღისო სიცოცხლე მისი-  
ღისო წარსულისაკენ და მომავლისაკენ მომაკვდავთა და ახლადშობილთა საზისა-  
და სახელით.

დროში ღისო თაობა იგი წყალივით, რადგან დროც წყალივით ღის.  
წყალი კი სიმაღლიდან ღის. რძერთმა ნუ ქნას, რომ სიმაღლე მოიშალოს.  
წყალი ქაობს დაემსგავსებოდა, ქაობა — ერთფეროვნებას. ერთფეროვნება —  
უხიცოცხლობას...

ასეთი სიმაღლეა კავკასიონი.  
მის ერთ მხარეზე, ჩრდილოეთისაკენ, თერგი რბის, მეორეზე, სამხრეთისაკენ  
— არაგვი. ორივე საქართველოდან იღებს სათავეს. ორივე საქართველოს ხილა-  
მაზეცაა და სიყვარულიც.

რაც უფრო მეტი სიმაღლიდან ეშვება, მდინარე მით უფრო მჩქეფარება, რაც  
უფრო დაბლიდან, — მით უფრო მდორე. ვეკლას თავისი იერ-სახე შევნიშ, თავისი  
სახელი ჰქვია, თავისი ბედი და ფონი აქვს.

ყოველ მდინარეს გასდევს გზა. გზებიც მდინარესავით მიხვეულ-მოხვეულია.  
როგორც კრიმინალური მცირე მსიარულეებისა და ოროველა — მცირე სევდიანა.  
გზები!..

რამდენი დააკლდებოდა მზისოდენა გულსა და გულისოდენა ქვეყანას მდინა-  
რეთა და გზათა ვაცალიცალებით! რარიც ძნელი იქნებოდა გზა უმდინაროდ და  
მდინარე — უგზოდ. და რაოდენ ბედნიერია მზისოდენა გული და გულისოდენა  
ქვეყანა, რომ მდინარეები არ შრებინან, გზები არ იღვეიან და ამ გზებზე კეთილი  
ადამიანები დადიან. სიკეთე ადამიანისა უპირველესად არის სხვათა სიკეთის და-  
ნახვა, მეგობართა კეთილნადგაწის ვაგება, მისი სიძველის დაფასება, მისი სიას-  
ლითა და სიხარულით განარება. რაოდენ თბება ასეთ დროს გული, რაოდენ ნა-  
თღება ასეთ დროს გზები, რაოდენ მოკლდება ასეთ დროს ჩრდილი თვით ადამიან-  
ისისაცა და სისაც!

...და ასე დამოკლდა ჩრდილი ჭიგოსი, რომელზეც ნაწნავების სიფრთხილითა  
და სინაზით ახვევდა ივერია ჩაცვივულ და ჩალუწილ, ახლა კი კვირტებამოფეთ-  
ქილ ლერწებს ეაზისას. ახვევდა პაპის, მამის, ძვირფასი კახას მაგიერ...

ახვევდა და ვფერებოდა.  
ვასმა აწაწავდა ივერიას სინაზეცა და ვაძლებაც, ტირილიცა და დაბადაგე-  
ბაც. ვასმა წამთარი მოიტირა და იგი აღარ ტირის, წამოღვა იგი და ვვაგილობას  
ესწრაფვის

აღარც ივერია ტირის, მაგრამ კახას ვერა და ვერ ივიწყებს.  
„ტირილი რომ მასწავლე, ვვაგილობა რად არ განმაცდევინე?! — მწარე ღი-  
მილით ამბობდა ივერია და ვენასს ეაღერებოდა.

ახლა შენიშნა, რომ ჭიგოსი ჩრდილი დამოკლდა, — ესე იგი შუადღემ მოატა-  
ნა. დაღლილობაც იგრძნო. სახლში წავიდა, რომ თავისი სავარელი კოკით მო-  
გვისწვაროდან წყალი მოეტანა და დაესვენა.

წყაროხთან, ქვაზე ჩამოჯდა ივერია და ფიქრებს მიეცა. გაახსენდა ის დღე-  
მომაკვდავი მამისათვის აი, აქ, წყაროზე რომ გამოავაზენეს. ახლა წყარო მოდი-  
დებულა... კოკა კაივსო, მაგრამ ამას ივერია ვერ ამჩნევს... გაახსენდა, როგორ  
ანუგეშა და... პაწაწინა ვერცხლის ჯვარი ანუქა სტუმარმა ბიჭმა ვალოდიამ. გა-  
ახსენდა და ხელის ცეცებით მოსძებნა პერანგის შიგნით გულზე ჩამოკიდებული  
პაწაწინა ვერცხლის ჯვარი... მაშინ მხოლოდ შვიდი წლისა იყო გოგონა. მას შე-

მდეგ თერამეტი წელი გავიდა. თერამეტი წელი არაა ცრტა. არც ბევრი არაა თერამეტი წელი, მაგრამ... მას შემდეგ ბევრი ძვირფასი ადამიანი დაკარგა. ამ. ნეტავ თუ გაუთბებოდა გული ოღესმე?

კოკა აესილიყო, მაგრამ ამას ვერ ამწნევდა ფიქრებში წასული ივერია. სწორედ ამ დროს მოსახვევში ქვეითი ბატალიონი გაძინდა. ბატალიონს ახალგაზრდა მეთაური მოუძღვებოდა. ბატალიონს უკან მენარბაზნებები მოჰყვებოდნენ.

ამ დღეს საქართველოში პირველად შემოაბიჯეს რუსმა მებრძოლებმა. ეს დღე მათთვისაც მარადსახსოვარი იყო და...

ივერიამ ამჯობინა დროულად გადასულიყო გზის მეორე მხარეზე და სახლი-საკენ ჩაეხვია. კოკა სასწრაფოდ შეიღვა მხარეზე და ნაბიჯს აუჩქარა.

მეთაური ცხენიდან უცნაურად გადაიხარა და ამ ქალიშვილს დააკვირდა. გაახსენდა ეს წყარო, სახლი, პატარა გოგონას პაწაწინა ვერცხლის ჯვარი რომ აჩუქა...

„ნეტავ რა იქნა ივერია?“ — გაიფიქრა და მხარეზე კოკაშემოდგმულ ქალიშვილს თვალი გაადევნა. ბატალიონი სულ ახლო მოდგა მეთაურთან. შედგომისა აღარა იყო რა და მეთაურის ცხენი ადგილიდან დაიძრა. მიდიოდა ის მეთაური და სულ იმ ოლა-სახლისაკენ იხედებოდა, ამ თერამეტი წლის წინ საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებები თანდათანობით უცოცხლდებოდა და სურვილიც უცხოველდებოდა ნაცნობი ადგილებისა და ნაცნობი ადამიანების ნახვისა. ვველასა და ვველაფერზე მეტად ივერია აინტერესებდა და სული ერთი ჰქონდა, როდის დამაკვებულიყო, რომ... იმ მშვენიერ ივერიასთან მიხულიყო და ბოდიში მოეხადა მისლამი იმ დიდი უყურადღებობისათვის, რაც ნებისთ თუ უნებლიეთ გამოიჩინა. მაშინ დაჰპირდა: „არახოდეს დაგივიწყებ... წერა-კითხვას როგორც კი ვისწავლი, წერილებს მოგწერ... ცხენის ტარებას როგორც კი ვისწავლი, შენც ვასწავლი“...

ივერიამ წერა-კითხვა ვალოდიასე აღრე ისწავლა, ცხენის ტარებაც... მაგრამ გულს ის სტკენდა, რომ ვალოდიამ დაჰპირებები ვერ შეასრულა, მეტიც, ღამის არის დაივიწყა კიდევ. რატომ ვერ შეუსრულა ეს ღამაში დაპირება ივერიას? არ ეცალა? ეტყობა, არ ეცალა. ივერიას გაცნობის შემდეგ ვალოდიას ქვეყნანს დიდი ჭირის დღე ჰქონდა. ამიტომაც ვერ მოიცალა მისთვის... იბრძოდა. თავის მიწა-წყალს იცავდა. ივერია? ივერია მუდამ ახსოვდა, მაგრამ მისთვის ვერ იცლიდა. აპატიებებს ამას ივერია? ვინ იცის. ეს მისი და მხოლოდ მისი საქმეა. ეს მხოლოდ მან იცის. თუ საპატიებელია, აპატიებებს, თუ არა, არ აპატიებებს. ერთი კია, რომ ვალოდიას ნაჩუქარი პატარა ვერცხლის ჯვარი, წერილი ვერცხლისაკე ძეწკვით, დღესაც ძვირფას საჩუქრად მიიჩნია. ერთი დღეც არ ყოფილა, რომ იგი გულდიან მოცილებინოს. ვველგან და ყოველთვის ატარებდა მას, როგორც პავშობისდროინდელ ძვირფას საჩუქარს. და აი, ახლაც იმ შეხვედრიდან თერამეტი წლის შემდეგ, როცა ვალოდია ამჯერად სრულიად სხვა მიზნითა და მიხითა წამოვიდა, ივერიას გულზე ვკეთა იგი, როგორც თილისმა ერთსულიონებისა და მოთმინებისა.

არ იტიროთ, — უთხრა მაშინ ვალოდიამ. და მინც ვერ გადაურჩა ვასივით სუფთა და გულწრფელ ტირილს... ტირილს ნამუსხრევის გამო, ციხეთა პეწის ნამონერევის გამო, თამარისეული ხიდის მოშლის, ლეკთა თარეშის, ძვირფასი ადამიანების დაკარგვის და სხვათა და სხვათა გამო, რაიც ვერა და ვერ ამოიღო გულიდან... და იმის გამოც, რომ სულ რაღაც თერამეტ-ცხრაამეტი წლისა დაქვრივდა. დაქვრივდა იგი უქორწინებოდ, უმეუღლეოდ, ქალწულგზარად და უმწიკვლოდ. დაქვრივდა, რადგან მისი გულისტოლი კახა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. დაიღუპა იგი, რომ გადაერჩინა საყვარელი ივერია.



და ის პაწაწინა ვერცხლის ჯვარი მუღამ გულთან ჰქონდა.  
 უწყვარდა იგი ივერიას. თავის ბავშვობას სეღავლა მასში. მის ლამაზ დაქმწარეულ  
 ბავშვობას. უხაროდა და სწყინდა.  
 ორივეს უფლება ჰქონდა მას!..

\* \* \*

სწელს ნათელმა სძლია.

აღსავალს ცისკრის სხივები შეენთო.

მღვრიე ალიონი დაწდა და გასუფთავდა.

ციცკარი ისე მოებჯინა უღელტეხილს, როგორც ვახს — ყვავილობა.

ბნელი გაიცრიცა და სხივები მარაოსავით შემოადგა ცივობებორს. ცისკარმა  
 აირეკლა სუფთა, ქალწულებრივი ხინაზე. ცივობებორის თოვლიანი წვერო ისე გა-  
 ნათდა, თითქოს უღამაზესმა სღაპრულმა ქალმა თითზე ოქროს სათითე წამოი-  
 გოთ. მალე სხივი ბარადაც ჩამოიჭრა და მაშვრალის სახლის ჭუჭრუტანებშიც  
 შეაღწია. რაკი დაინახა, რომ სიმშვიდის სხივი შემოვიდა, მაშვრალმა გამოაღო  
 კარ-ფანჯარა. ვაი, რამდენი ცული ამბავი შემოჭრილა ოღეს ამ კარ-ფანჯრებში!..  
 ტყვიაც შემოჭრილა, მოწამლული სატევარიცა და, ბოლოს, ყველასა და ყველა-  
 ფერზე უსახური მტერი, ისეთი, რომელიც ვერავითარ განსხვავებას ვერ სეღავდა  
 ჩუქურთმასა და ფილთაქვას შორის. ალბათ, ამიტომაც გაუბირდა ჭკუა, დაეწვრია  
 კოშკი თუ სამრეკლო, ხიდი თუ ტაძარი, დაეწვა სატი თუ ფრესკა...

სხივის გახინჯვა ძე-სორციელს ჯერ არ მოსვლია ახრად, მაგრამ მაშვრალმა  
 სხივიც გახინჯა. მას ჯერ თვალი გაუსწორა და მერე შუბლი მიუშვირა. ვერავინ  
 გაიგებდა, თუ რას ნიშნავდა ეს, მაგრამ მან იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს. მისი  
 მთავარი. სურვილი იყო გაეგო, სხივს მხოლოდ ეღვარება ჰქონდა თუ სითბოც.  
 ეღვარება თვალის გასწორებით გახინჯა, სოლო სითბო — გლეხური, ჭკვიანი  
 შუბლით.

გახინჯა და გაიღიმა.

სუფთა იყო ეს დიმილი. დარწმუნდა, რომ მზე როცა საშუადღეო ძალას მო-  
 იკრებს, სითბოც მოემატება და ნათელიც, მაშინ ჩრდილები ჩაინთქმებიან და ვაქ-  
 რებიან. როდის იქნება ეს? ან იქნება კი? იქნება!.. მერე, ალბათ, გამოჩნდება  
 ქვეყნად ტიტანი, საუკუნოვან მუხას მოაცილებს სულშემსუთავ სუროსს და ფითრს,  
 ხანსაც მოაცილებს მუხას და გაანთებს ქვეყანას. იხამს ამას, მაგრამ როდის?  
 ყველაფერს თავისი დრო აქვს.

როცა გაიღო მაშვრალმა, რომ სხივი იგი არ არის ყალბი და მონივნებითი,  
 მიხედობით გამოაღო კარი, დარაბა, ფანჯარა, ჭუჭკარი, სუფი... გამოაღო ყველა-  
 ფერი, რისი გამოღებაც შეიძლება. გამოაღო გულის კარიც. გამოაღო და სასახ-  
 ლისაკენ გასწია; დღეს სასახლის გაღავანში საღვთის შეკრებაა გამოცხადებული.  
 ამიტომ ყველა იქით მიეშურება: სწავლულიცა და უსწავლელიც, სამხედროც, საე-  
 როც, სახულიერო წარმომადგენელიც. აქ მოვიდა რუსი მეომრების წარმომადგე-  
 ნლობა, რაღა თქმა უნდა, აქ იყო ვლადიმირი, — ყველაბაოვის ცნობილი ვალო-  
 დია, რომელიც უკვე კარგად იცნობდა საქართველოს. მან ბავშვობაშივე ჰევერი  
 რამ გაიგო საქართველოზე, ისწავლა, განიკურნა და წაჰიდა. დაიღო ხათრი  
 და სიყვარული. იგი ახლა ისე გაიზარდა, რომ მას პატივით იხსენიებენ, სახელი-  
 თა და მამის სახელით მიმართავენ, ზოგჯერ კი სამხედრო ჩინის მიხედვით „ბა-  
 ტონო ოფიცერი!“ და ეს ბატონი ოფიცერი, რუსეთის ბატალიონის მეთაური,  
 კარაგაჩის სამხედრო დასახლების უფროსი ვლადიმერ გიორგის ძე ივანოვი რაზ-

ჩე მესხეთში მღერით მოველ, გამიღიმეს მთა-გორებმა;  
 მოთაჲ, შენი სტუმარი ვარ, მსურს შენი ხმის გავონება,  
 ჩვენი ერის სიამაყევ, ჩვენო დიღო შთაგონება!  
 შენს დაკარგულ კვალს დავეძებ, იქნებ სადმე შევეყარო,  
 ახ, ნეტავი გნახავდე და შემოვივლი ჩთელ სამყაროს.  
 ბუნზე ფიქრით მეც გავწამდი და გონება დამერუტა,  
 რუსთაველო, სანატრელო, სად ხარ ნეტავ, სად ხარ ნეტავ?!  
 შენს კვალს მივყევთ იერუსალიმს, ტაძრის კედლებს ცრემლით  
 ვრეცხდით,

სეტავ ის ხარ — ბერიკაცი?! — და შორიდან შევცბი მეც კა.  
 აკანკალდა გულიც ჩემი, დაჭრილივით მოვიოხე,  
 და მე წყევლა გაუფგზავენე დანაცრებულ იმ წლებს ოხერს,  
 წმინდავ. ღმერთის მოთაყვანევ, მაინც დიღო მეაწხოხევ.  
 გადმოგვცემენ, რუსთაველო, გვეარებია თამარ-მეფე,  
 მისი დიდი სიყვარული პოეზიად ააჩქეფე,  
 გვეარებია თამარ-მეფე, ჩვენი დიდი თამარ-ჩეფე!  
 რუსთაველო, ამბობენ, რომ უყვარდიო თამარ ქალსაც,  
 მაგრამ ვაი, ბედი შენი, ბედი შენი გაჰყვა ქარსა.  
 შენს გულს ალალს ოხერა შერჩა, სანარადოდ დაისაჯე,  
 ეჰ, ვინ იცის, ვით იწამე, როგორ მწარედ დაიტანჯე!  
 აბა, თამარს რა ბრალი აქვს, სხვათა ჰქონდა მორჩილება,  
 უღარბაზოდ თურმე თამარს არ შეეძლო ქორწინება.  
 ეახ, იმ დარბაზს, იმ დიდებულთ, ვინაც მაჯა გადაგიჭრა,  
 შენ უკნალოდ გაჰქრი სადღაც, მხოლოდ წიგნი გადაგიორჩა.  
 ამბობენ, რომ თამარ-მეფე შენს დაჭრილ გულს იცოდებდა,  
 იქნებ, იქნებ შენი სახე ჰქონდა ხატად, სიცოცხლედ.  
 სად ხვაშიადს არ ვეძებდით, სად რა გზები არ მოვლახეთ,  
 არც შენი და არც თამარის საფლავები ვერ მოვნახეთ.  
 ამაღ შეგვრჩა ტანჯვა დიდი და ცრემლები აუწყველი,  
 ჩაუქრობელ ამ ღადართ არვინ დარჩა დაუწყველი.  
 შენს ნაცვლად ჩვენ შენს წიგნს ვკოცნით, შენი წიგნით თამამი ვართ,  
 ავთანდილი შენა ხარ და თინათინი — თამარია.  
 გული ჩვენი შენით ხარობს, ჩვენო ხვითოვ, ჩვენო ოქროვ,  
 აქ მოვდივართ, შენს ხატებას მუხლმოყრით რომ დავუწოქოთ.  
 ცუ მესხეთში მღერით მოველ, ვტკბები მხარით მშვენიერით,  
 შენ გემთსკვევი, რუსთაველო, დიდებაო შენი ერის!



მთან ერთად წარმოსდგა სამეფო სასახლის გალავანში მოხდევებული ხალხის წინაშე და რბილი, სასიამოვნო ხმით ლაპარაკობს. ლაპარაკობს იგი რუსეთისა და საქართველოს საუკუნო მეგობრობის აქტზე, ლაპარაკობს მეგობრულად და სიყვარულით, ზოგჯერ კი ქართული სიტყვების მოშველიებით, იმ სიტყვებისა, საქართველოში პირველი ჩამოსვლისას და შემდგომ წლებში რომ იხსწავლა.

ერეკლე მეორის ძემ, ღირსებთან შემოსილი ქართლ-კახეთის მეფემ იქ შეკრებილთ შიშართა მილოცვითი ხატყვით და გამოთქვა რწმენა, რომ ქართველ დარუს ხალხებს შორის მეგობრობა, ურთიერთ სიყვარული და დაფასება შემდგომ საუკუნეებში კიდევ უფრო დაიხვეწება, ამაღლდება და გაკეთილშობილდება.

ხალხი შეირხა და აღუდუნდა. ეტყობოდათ, ბევრი რამ აინტერესებდათ. და აღარც დაავიწყებ. — ხალხის წრიდან ვილაცამ იკითხა:

— მტრებმა რომ ოდეს ქართული მიწები მიიტაცეს, ამას როგორ შეხედავს იმპერატორი?

— როგორც ომინ, ასევე მშვიდობიანობის პირობებში რუსეთ-საქართველოს გაერთიანებული მხედრობა შევცდება საქართველოს დაუბრუნოს ოდეს დაკარგული კუთხეები: აჭარა, მესხეთი, საინგილო და სამხრეთი ვილეთები. ამით საქართველო ძლიერ და მდიდარ მოკავშირედ გადაიქცევა.

— აი, ის ხალხი, ტყვეებად რომ წაასხეს ირან-ოსმალეთში?

— მიწა უადამიანებოდ მიწად არ ითვლება... ქართველი ტყვეები სამშობლოს დაუბრუნდებიან, ეს უცილობელია, — თქვა დამამბეღებლად.

— რამდენად უზრუნველყოფილია საქართველოს სახლერების ხელშეუხებლობა და უშიშროება? — ფრთხილ საქმიანად იკითხა წინა რიგში მდგომმა მოხუცმა და უფროს ოფიცერს კარგად დააკვირდა. ვალოდიას ეს მოხუცი ხაღდაც ენახა, მაგრამ უცებ მისი გასხენება ვერ შესძლო და საინტერესო კითხვაზე პასუხის დროულად გაცემისათვის ხალხისაკენ შემობრუნდა:

— ქართველთა სამეფოში რუსეთის ქვეითი პატალიონი ჩამოვიდა. იგი კარგადაა შეიარაღებული: ხმლებით, სიშტებით, თოფებით, ზარბაზნებით... ჩვენ ამ საბრძოლო ძალებზე დაწვრილებითი საუბრისაგან აქ თავს შევიკავებთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ საქართველო თავისი მტრების წინააღმდეგ ამიერიდან ძლიერი რუსეთთან ერთად იმეებს. ერთი იქნება ჩვენი ხალხის შირიცა და ლხინიც, სისარულიცა და ბედნიერებაც. ჩვენს შეერთებას საუკუნო მეგობრობის აქტი ჰქვია. ეს არის მარადიული დუღაბი. ეს არს უძველესი დროიდან ქართველთა და რუსთა ურთიერთ ნაცნობობის, ახლობლობის, მოყვრობის თვალთსახედი და ყველასათვის ერთნაირად გასაგები კავშირი ხალხთა, კავშირი გულთა, ხმელთა, ცათა შორის. მას ვერასოდეს ვერაფერი ვერ დააკინებებს და დაახუტებს. დიდება ამ კავშირს, ბატონებო!

— დიდება! — ერთხმად დაიბუზუნა ხალხმა.

ყველას მოეწონა რუსი უფროსი ოფიცერის პასუხი. ხალხისათვის ახლა მთავარზე უმთავრესი იყო ქვეყნის მშვიდობა და ადამიანთა სიკაცის უზრუნველყოფა. ხანამ მთლად არ დაცარიელებულა სოფლები და ქალაქები...

სიტყვა რომ დაამთავრა, ვლადიმირმა კმაყოფილების ღმილით გადახედა ხალხს. ხალხი მაღლიერი თვალებით უმხერდა მას, როგორც ახლობელს, მეგობარს...

### თ ა ვ ი ვ ე ა თ ი

„ნუთუ დამივიწყა ივერიამ?“ — გაიფიქრა ვალოდიამ და წამოიღვა, სწორედ ამ დროს შემოვიდა პორუნიკი და გამოეჭიბა:



— ბატონო ოფიცერო!

გალოდია შემობრუნდა და მეთაურისათვის დამახასიათებელი პეწით

— რაშია საქმე?

— სვალ ხახალბო დღესასწაული ქქონიით ქართველებს, ალავერდობა რქმე-  
ვია მას. ქრისტიანული საწესო და ერთერთი გაღვდარული დღესასწაული ფო-  
ფილა. მიქვებმა თქვენთან გამომაგზავნეს საშუამდგომლოდ.

— რა გვიინდაო?

— ამ დღესასწაულზე დასწრების ნებართვაო.

— წაგდენ მხოლოდ რსეულნი, გაიყე?

— დიან, ბატონო. მომეცით ნება გავიდე.

— თაენისუფალი ხართ.

პორუნიკი გავიდა. ფანჯარასთან მივიდა და იქაურობა ვურადღებთ მიმოთ-  
ვლიერა: — „ლამანი ადვილებია... თელავი ასლოხაა, ამისასოც... ყარაღაჯში მა-  
ლე კარგი საცხოვრებელი სახლები აიგება, ქუჩები გაიჭრება, ქართველები სტუ-  
მართმოფეარე, სამეზობლო და სამეგობრო ხალხია!.. განუქება უფრო უხარიათ.  
ვიდრე საჩუქრის მიღება. ვუღიითადებიც არიან და ნიჭიერებიც, მთევასემიფა და  
ლამასებრიც... ნეტავ, სომ არ დამივიწყა ივერიაში?“

გალოდიამ დაინახა, რუსები სამხედრო დასახლების ჭიშკარში შემოსულ  
ერთ გლეხს შემოსვევოდნენ. ფანჯარა გამოაღო და პორუნიკს თითი დაუქნია.  
პორუნიკი ფანჯარასთან მივიდა და ენოდან გასოეჭიმა:

— თითი გემსასურით, თქვენო კეთილშობილებავ?

— რა ზღება იქ?

— კახელმა გლეხმა ვოდრით ხილი მოიტანა, — მიირთვიეთ.

— მერე?

— ფული არა გეაქვსო. — დაიმორცხვეს ჯარისკაცებმა.

— მერე?

— არ ვყიდი, საჩუქრად მოგიტანეთო.

— შადლობა მაინც მოახსენონ...

— მოახსენებენ.

\* \* \*

— ცხენი მზადაა? — იკითხა გალოდიამ.

— მზადაა, თქვენო აღმატებულებავ!

— კეთილი... მე მალე მოვალ. სვალ წამოხვალ ალავერდობაზე შვიდი-რვა  
არწული ბიჭების თანხლებით, რჩეულნი, მხოლოდ, გასაგებია, პორუნიკო?

— გასაგებია, ბატონო ოფიცერო. მაღლობას მოგახსენებთ.

გალოდიამ ჩექმაში ჩარწობილი მათრახი მაჯაზე წამოიგო და ცხენს მსუბუ-  
ქად მოველო. სამხედრო დასახლების გაღაგანს რომ ვასცდა, ცხენს ფერდებში  
ჩექმის წვერით შეუღიტიანა და ორღობეში ისარივით მოსწლიტა.

ამიხასოში მიდიოდა გალოდია.

მიდიოდა, რომ გაეგო ჯავრიშვილებს ამბავი...

მიდიოდა და გული ეთანადრებოდა.

მაინც იმედიანად მიდიოდა.

ანდა რატომ უნდა ვოფილიყო ასე? უბრალოდ, უნდა გაიგოს თუ როგორია  
ივერია, გათხოვდა თუ არა. ის პირველი შეხვედრა ახსოვს თუ არა. თუ ახსოვს,  
რა გულით? თუ არ ახსოვს, თავს შეახსენებს. რა არის ამაში ცული?

არა, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ცული ის არის, რომ ივერიას დანაპი-

რები ვერ შეუსრულა — წერილი ვერ მოსწერა. რა ექნა, მოხვეწება არ ჰქონდა...  
ახლა მისი კულწრფელი მიზანი იყო ჯერ ივერიას მონახულება, მერე მისი  
თვის მშობლიურ კერად წარმოდგენილ ახტალაში მისვლა და იმ თეთრწვერა მკუ-  
რნალის მონახულება, ამ თვრამეტი წლის წინ თავს რომ ევლებოდა, ამხნევებდა,  
ამიძებდა.

ხოფელ ამისახოში ცხენი მხედ შეაჯირითა. მოგვისწყაროს რომ გასცდა და  
ივერიას ჭაშკარს მიუახლოვდა, სულში სინაზისა და შორიდების შირონი ჩაეწვე-  
თა. ცხენიდან ჩამოხტა და სადავე უნაგირზე დაუდგურად შეაგდო. ქაშარი შორცხვი  
ბიჭოვით გაიხწორა და ჭიშკარი შეაღო. მიმოიხედა. არაფერ ჩანდა. კიბესთან მი-  
ვიდა და დაიძახა, — ივერია!

პახუნად ბოხტნის ჭიშკრის გაჭრიალება გაიგონა.

ბოხტნიდან ივერიას დედა მარიამი გამოვიდა და შორიდანვე შეეხმინა:

— შობრძანდით, ბატონო!

სამხედრო რომ დაინახა, ცოტა არ იყოს, შეცბა.

— არა, თქვენ ნუ შეგეშინდებთ, მე ისე... მოსაკითხად შემოვედი.

— მოსაკითხად?

— ღიას, მოსაკითხად.

— ღმერთმა კარგად გიკითხოთ, ბატონო... ამ წუთში სკამს მოგარემოვთ! —  
თქვა და სახლში შევიდა.

„მობუცებულა, როგორ მოხუცებულა! როგორადაც არ უნდა თქვა, წლებს  
მაინც თავისი მიაქვს. თვრამეტი წელი გავიდა“ — გაიფიქრა და რატომღაც გული  
ეტკინა.

მარიამმა დოქით ღვინო, ბოთლით არაფი და კახური, ლამის არის მაჯისხიმი-  
სხო ჩურჩხელა გამოიტანა.

— ეს ყველაფერი რა საჭიროა?

— წყალი თუ გწყურიათ, ღვინო დალიეთ, თუ გნებავთ, არაფი გადაჰკარით.  
ეს ჯავრიშვილის ოჯახია. ამ ეზოდან ჯერ არაფერ გადასულა ჭიქის აუღებელი.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ არ მიცნობთ?

— სტუმარი ღვთისაა, ბატონო. ცნობა რა საფალღებულთა... ასეთთა ჩვენ  
წესი და ალათი.

— თქვენ შგონი მარიამი გქვიათ, დეიდა მარიამი, არა?

— ხაიდან იცით ჩემი სახელი?

— თქვენს ქალიშვილს ივერია ჰქვია, განა ასე არ არის?

— სწორედაც მასეა, შვილო. საიდან, საიდან იცით ეს ყველაფერი?

— მე თქვენთან ნამყოფი ვარ დეიდა მარიამ, მამაჩემს ვახლდი ბავშვობისას,  
მაშინ მამისაგან პირველად გავიგე, რომ თქვენ ღვთის სახელი გქვიათ და ღვთის-  
მშობელი ხართ. — ღიმილით თქვა.

— რათ მოჰყვებით ასეთებს, შვილო...

— თქვენს შვილს ივერიას თქვენივე ლამაზი ქვეყნის სახელი ჰქვია. ალბათ  
მისვლებით, რასაც გეუბნებით.

— ეჰ, შვილო, პირაღმა და ქვეყნის უბედურებამ ღიმილს გადამაჩვია, სუმრო-  
ბის შეკრძნება დამიკარგა... ახლა ისა ვთქვათ, როდის იყავით ჩვენთან და საიდან  
ჰოგესხნებათ ჩვენზე ასე კარგად?

— მე... ვალოდია ვარ, დეიდა მარიამ!..

მარიამს ამ სახელის გაგონებამ ყველაფერი გაასხენა, გაასხარა და მშობლიუ-  
რობის ვრძნობით აავსო.

— აღარა თქვა, შვილო, აღარა თქვა, გამახსენდა, რომ შენა ხარ ის პატარა,



ლამაზი ვალოდია, მამასთან ერთად რომ შემოიარეთ აქ ჭირის დღეზე და მწეხარება გაიზიარეთ ჩემი მიუღღოს გარდაცვალების გამო. გამახსენდა... ჩემს შვილს ივერიას რომ პაწაწინა ვერცხლის ჯვარი ანუქეთ... ახტალაზე რომ მკურნალობდით...

— ვეველაფერი სწორია, დეიდა მარიამ. პოდა მოხაკითხად გამოვიარეთ. ძალიან მაინტერესებს, როგორაა ივერია, როგორი ვახდა ის!. შვიდი წლისა თუ იყო, როცა პირველად ვნახე. მას მერე დიდი დრო გავიდა, საკმაოდ დიდი.

— თერამეტი წელი. — ნაღვლიანად თქვა მარიამმა და თავი დაჰხარა.

— რატომ მოიწყინეთ, ივერია სომ კარგადაა?

— კარგი მოგცეს ღმერთმა, შვილო. — დარდიანად თქვა და არაფერ ჩამოასხა.

— ვმადლობთ, დეიდა მარიამ, მაგრამ ვერ დავუქვ.

— რა კარგი ყმაწვილი კაცი დამდგარა იმ ლამაზი, პატარა ვალოდიახვან... მშობლები როგორა გვაყვს, შვილო?

— ვმადლობთ, კარგად...

— ივერია სადაა?

— ვა, შვილო, ივერია კრწანისში წავიდა პაპა მისა იყალთოელისა და კახას საფლავების მოხანსულებლად. ხალამოს დაბრუნდება. ხვალ კი ალავერდობაზე იქნება აუცილებლად.

ვალოდიამ ბევრი ვერაფერი გაიგო დეიდა მარიამის სიტყვების, მაგრამ მაინც ალბარ ჩაეკითხა რა, გული არაფრით ვატკინოო, და, გატაცებით გაიმეორა:

— მაშ, ალავერდობაზე იქნება?

— აუცილებლად.

— ახლა მეჩქარება და ხვალ იქ ვინასულებ!

ვალოდიამ თავაზიანი ბოდიში მოიხადა და წავიდა.

\* \* \*

უკვდავი ნათელი ედგა ალავერდის გუმბათს ამომავალი მზის სხივებში. წარწარებდა ტაძარი, — ხალხის შემოქმედი და უკვდავი გენიის გამოსხივება, საუკუნეთა და თაობათა უწყვეტი კავშირის მოწმე, ჭირსა თუ ღმერთში, დარბა თუ ავდარში გამობრძმედილი და კიდევ უფრო შექცადულაბებული საკვირველება, სალოცავი და სავედრებელი, განმწმენდელი და აღმწვევებელი ქმნილება თავისი თაღებითა და სამკუთხა ნიშებით.

გალაგნით შემოზღუდული წმინდა ივი ადგილი საფიცარიც იყო და საკრებულოც, საკვირველად მაღალღირსეულიცა და მშობლიურად ახლობელიც. აქ მოდიოდნენ, როცა გულს ვავრი ედით და აქ მოდიოდნენ, როცა გულს ნათელი სივრცეებიზავენ ფრთის გაშლა მოსწყურდებოდა. აქ იმართებოდა დალოცვაცა და დამწყალობებაც, აქ სდებოდა უღირსთა დაკნინებაცა და ღირსეულთა აღზევებაც. აქეთკენ იღტვოდა ხალხი ახლომანლო თუ შორეული კუთხეებიდან, მოდიოდნენ ხანუკვარი მიზნებითა და სურვილებით, მოდიოდნენ ხორაგით, საკლავითა და საფიცარით. და, რაღა თქმა უნდა, სახალხო დღესასწაულზე აქ ხალხის ტევა არ იყო. ამ დღესასწაულს ალავერდობა ერქვა.

ალავერდობა!

სამრეკლოს წართა ვუგუნი წმინდა ვერცხლის მაგიურ პარმონიად დაერსა შემოგარენს და მოედო ადამიანთა გულს, გრძნობასა და გონებას.

სალხი შვირსა.

ლოცვა-კურთხევა თავისი რიგით მიდიოდა.

შეწყალება, დამწყალობება, დალოცვა — თავისით.

იყო ხალხის ბუბუნი და მიმოდგმა.

ერთგან იკვლევბოდა: ძროხა, ხარი, ცხვარი...

ერთგან აჩაღებდნენ ცეცხლსა და ცვრიან მწვადებს ამიშინებდნენ.

ყველა ერთი სურვილით, ერთი იმედით იყო გაბრუნებული, — თავისი გაქმნა-  
ლა უსუნავისათვის და ლოცვით ძიელო იმედი და განწყენდა. შემდეგ კი ემხიარუ-  
ლა, ეღვინა და მოეღვინა სხეცა.

სუამდნენ...

სუკავდნენ...

ცეკვავდნენ...

ფიცობდნენ და... დმერთო შეგცოდე, ერთმანეთზე მიწვე-მოწვევასაც კი იწ-  
ვებდნენ. ერთხელ ამის გამო მეტყვირეს უსუმრია:

„ღამდვარან მაქალათები,  
ხმლები ტრიალებს სისია.  
ეისაც პირ-წვევით მოხვდება,  
ხატის წყალობა მისია.  
ქვივი იყოს დამისა,  
სახვეწარები დღისია“.

მაქალათი — წესრიგგამრიგე მულამ ცდილობდა არ მომხდარიყო რეკნა და  
ჟინთაჭობა, მეტადრე — როცა მათს ხახალსო დღესასწაულზე უცხონი გამოწნ-  
დებოდნენ. და, აი, ისიც...

— სტუმრები მოდიან! — დაიძახა ვიდაცამ.

მხედრები ჯერ კიდევ აღრე, მოშორებით ჩამოქვეითდნენ ცხენებიდან და წმი-  
ნდა ადგილისადმი მორიდების გრძნობით გამოეშორნენ გალაენისაკენ.

— შობრძანდით! — მიმართა მათ წესრიგგამრიგემ და ხალხს გაძახა: — ჩვენს  
ერთმორწმუნე რუსები მოვიდნენ, ხალხსო!

სტუმართა შორის იყვნენ დარჩეული ბიჭები. მათ მოუძლოდა რუსეთის არმიის  
ყარაღაჯის სამხედრო დასახლების მეთაური ვლადიმერ გიორგის ძე ივანოვი.

სტუმრებს აინტერესებდათ ალავერდობის არსი და მნიშვნელობა ხალხის სა-  
სიათისა და ტრადიციების გასაცნობად, რაც მთელი სიხარულით მსოლოდ ასეთ დღე-  
სასწაულებზე ელინდებოდა. ამასთან, ვალოდიას მიზანი იყო ივერიასთან შეზღვედრა...

სოლომონ მწიგნობარმა ლოცვა რომ შოათავა, ამცნეს, ტაძარს სტუმარი  
ეწვიათ.

მწიგნობარი დარბაისლურად შეხვდა იმპერატორის წარმოგზავნილ კაცს და  
სამისო პატივი მიაყო.

ვალადიამ სოლომონ მწიგნობარს მოუწვა მამის ნათქვამი საქართველოზე:  
ისტორია ქართველთა არის თავისებური და განუმეორებელი. არცერთი ქვეყნის  
ისტორიას არ ჰგავს ის. ქვეყანა თქვენი პატარაა, არის და ვონებისთვალშეუდ-  
გამიც... ბედნიერი ვარ იმით, რომ საქართველოში სამხედრო სამსახურისათვის  
განაწილებულმა ჯერ კიდევ ჩემს ქვეყანაში, ჩემს ხალხში, მამის მემკვიდრით ვი-  
ცოდი თქვენი ლაძაზი ქვეყნის შესახებ.

— გმადლობთ, ჩვენც ბევრი რამ ვიცით თქვენი დიდი ქვეყნის შესახებ. ეს  
ცოდნა ხულიერი ნათესაობაა, იგი ხათავა მეგობრობისა. ჯერ არ თქმულა ქვეყ-  
ნად უმეცართა შეგნებული მეგობრობა, უმეცართა ხასარგებლო ერთიანობა. ცოდ-  
ნა და შეგნება ათანბარებს, აღუღაბებს, ალაძაზებს, ადამიანებს. ამას გვანაწივლის  
ჩვენი ისტორია, წინაპრები ჩვენი: დავითი, თამარი, შოთა... ამისათვის იღვწოდა  
სულმნათი ერეკლე, ამ თოხილდე წლის წინ საქვეყნო ხართი რომ გააცვილა მად-  
ლოერმა ვრმა დვთაებრივი მცხეთის წმინდათაწმინდა მიხაძინარში.



— შართალი ბრძანებაა...

— მოიწვიეთ თქვენი მსლესლები აქეთ. — თქვა მწიგნობარმა და ალავერდისა და ალავერდისაზე მთამაგონებლად მოუთხრო.

— კვალ ნათელი დაუტოვეს მთადაწვევს აქ. — თქვა ვლადიმერმა.

— ღობიდან გუშმათამდე ალავერდის ღვაწლი თავისი. ახლაც სიამოვნებით იმსხენიან: იოსებ ალავერდელი, კვირიკე, ფილიპე ალავერდელი, ზეგბედე მთავარებისკომპონი, ნიკოლოზ ნალოყაშვილი, — ნიკოლოზ ირბანი, მარინი ანუ მკინე პავრაციონი და სხვანი.

— ვმადლობთ, მწიგნობარო, საუბრისა და ამ სანახაობისათვის.

— ახლა აქეთ მიბრძანდით. — თქვა და კიბის ქვაწყობილზე გაიყვანა, საიდანაც ნათლად მოსჩანდა შირველი სიერცეები, ტაძრის შივა გალავანი და გალავანმა — ხადღესასწაულოდ მოხუცი, ახლა ღმირსა და გართობას რომ ეძლეოდნენ. — ქვიფობდნენ, უკრავდნენ, ცეკვავდნენ, ხუმრობდნენ და ზოგჯერ კიდევ ფიცხობდნენ.

ქვაწყობილზე ვალოდიას მხარში ამოუდგნენ მებრძოლები.

სახამოვნო შესასვლადობის იყო ვალოდია. ოდნავ მკრთალ სახეს უმწვევებდა მოციხვრო ხალი, კოხტად გადაუარცხნილი ღია წამლისფერი თმები და ასეთივე ფერის უღვაშები.

განწი მიაწოდეს.

დინჯად ჩამოართვა და მადლობა გადაიხადა.

საკმაოდ შემთვრალი ზორბა ალვანელი ლამის ადღის სივრცე შამფურზე წამოკეცულა ცერაიანი მწვადით მისკენ დიმილით გამოემართა.

ვალოდიამ განწი მადლა ასწია და დაიწყო:

— ბატონებო, რუსეთის არმია საქართველოში შემოვიდა კვიილი მიხით, — დაიცვას საქართველო გარეშე მტრებისაგან. დაიცვას სრულიად საქართველო, შემომტყიცოს ირან-ოსმალეთის მიერ მიტაცებული კუთხეები: აჭარა, ახალციხე... მშობლიურ კერას დაუბრუნოს ქართველი ტყვეები, ნაბრძანები გვაქვს გავაკეთო ყველაფერი ეს, რასაც იფაღისწინებს მეგობრობის ტრაქტატი.

რუსეთის არმიის ერთი ნაწილი დაბანაკდა ყარაღაჯში. ამიერიდან რუს-ქართველთა რეკლარული არმია უზრუნველყოფს საქართველოს საზღვრების სელ-შეუხებლობას და იმპერიის პრესტიჟის გაძლიერებას ამიერკავკასიაში.

მიევხალმები თქვენს უძლეველობას, ტრადიციებსა და ადამ-წყესებს, თქვენს სულიერ სიწმინდეს! ამ თქვენს სახალხო დღესასწაულზე ნება მიბოძეთ შევხვა ქართველ და რუს ხალხთა უკუნით უკუნიხამდე მეგობრობის სადღევრძელო! და თუ ოდესმე ჩვენგან ან ჩვენთაგან ვინმე ან რამე არ მოგეწონათ, ეს მხოლოდ უძეცრებას მიაწერეთ. პატიება ხომ დიდსულოვანთა ხვედრია.

— გაემიარჯოთ, გაემიარჯოთ! — გაისმა ხალხის ხმა.

ერთმა შეიძრა და აყრიამულდა იქაურობა. აყდერდა ხალხური საკრავიერი. თუშმა ქაღვებმა მოეპში დაბადებული და მთახავით სუფთა სიმღერა წამოიწვეს, სიმღერა რაინდული და სეკდიანი, ნახი და დარდინი, მკუნებარე და იმედიანი იყო. ვალოდია მის სიციცხლეში პირველად დაეწაფა საოცრად სახამოვნო ღვი-ნოს და, განწი ბოლომდე დახცაღა.

სწორედ ამ დროს ერთმა ალვანელმა თელაველი ჭაბუკი საეკნაოდ გამოიწვია. — როგორ თუ გაბედი თუშის ვოგოსთან ცეკვაო. დაიწყო უხვეულო ბრძოლა და ხმაღლა კვეთება. სტუმრები გააოცა ამ სანახაობამ. მათ ასეთი რამ არახოდეს ენახათ.

ვალოდიამ ეს საბოიხწერო შერაინება თამაშს ვერაფრით მიამსგავსა და და-ბნევიით მიმოიხედა. თანმსლებნიც დაიბნენ.



სწორედ ამ დროს...

სწორედ ამ დროს ციხევერ კაბაში გამოწვობილმა ტანლაძემ ქალიშვილმა ევლზე ნაზად მოხეუული ევლსაბაძი მოიხსნა და მორკინალთა შორის გადაიხროლა. ევლსაბაძი ფარფატით დაეცა და... მორკინალნი თითქოს გაიყინნენ, წამით შემართულ ძეგლებს დაემსგავსნენ, მოძრაობაში გაქეპვებულ კლდისაგან გამოკვეთილ ძეგლებს! მერე... თითქოს მოულოდნელად სული ჩაედგათო, შეიჩხენ, მიშოდგნენ, ხმლები ჩააგეს და გაშველდნენ.

ვალოდია ძალიან გააკვირვა ყოველივე ამან და გაიფიქრა:

„არა, მამას ასეთი რამ ეტყობა, თვალით არ უნანახვს“...

მწიგნობარმა ვალოდიას ვაოცება რომ შეინშნა, დინჯად განუმარტა:

— ეს უბრალოდ, კეჭნაობაა. ისე კი, რაც არ უნდა მოხისხარები შეიბნენ, სამკედრო-სახიცოცხლო ბრძოლას მიეცნენ, თუკი მათ შორის ქალმა მანდილი ჩააგდო, მორჩა! მოხისხარები გაიყრებიან, ერთმანეთს აღარ დახტოცვენ, მშვიდობა ჩამოვარდება.

— კი, მაგრამ ეს მანდილი?..

— სრულიად ჩვეულებრივია. არ გეკონოთ რაიმე მაგიური.

— ქალი?..

— იგიც სრულიად ჩვეულებრივი, ნებისმიერი...

— მაშ, რა ძალა აზავებთ მოხისხარებს?

— ქალისადმი მოკრძალებიზა და პატივისცემის ძალა.

— ნუთუ?! ის ქალი ვინაა, მორკინალები რომ გააშველა ასე დინჯად და ღა-

მაზად?

— ის... ის ივერიაა!

— ივერია? — შეკრთა ვალოდია.

— დიას, ჯავრიშვილის ქალი...

— პო, ვიცე, ვიცე. — დაბნევით თქვა ვალოდია და იკითხა, — შეიძლება მასთან გასაუბრება?

— შეიძლება. — მიიღო საკმაოდ შეფერხებული პასუხი.

— არა, არა, თუნდაც იმის გამო, რომ მან მორკინალები გააშველა, დიას... თუნდაც იმის გამო, რომ... მე მას ბავშვობიდანვე ვიცნობ. — თქვა და აღარ დაელოდა პასუხს, ხალხი მხარუულით გაარდვია, მივიდა ივერიასთან, თავი მდაბლად დაუკრა და უთხრა:

— ხალაში, ივერია... მე ვალოდია ვარ...

— ვალოდია?!

— დიას... ის ვალოდია!..

— მაშ, ის...

— დიას!

ივერიას ბავშვზე ღიმილმა გადაურბინა. წარბების განუშორებელი კმუნნი ვადაეკარა და სახე გაუნათდა. ლამაზი იყო იგი ტანადაც და პირადაც. შავი თვალწარბი, ოღნავ კეხიანი ცხვირი, მხრებზე ჩამოშლილი ოღნავ ზვეული თმები, მოკრძალებულად წამოწეული მკერდი, ჩამოტერწილი მხარ-თეძო, ამაფი გამოხედვა, კდება და შემართება, განუმეორებელ ივერ-ფერს აძლევდა. იდგა იგი კელამპტარივით და სიწმინდისა და სიგვარულის ციური ფერით ანათებდა იქაურობას. ეს ნათელი ყველას ერთხანით ძალით წედებოდა და ყველას თავისად და მკვიდრად მიანდა. ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველა იტყოდა: ივერია ჩემი დაა! დიას, ივერია კდემამოსილების, შემართებისა და უბიწოების, სიწმინდისა და სათნოების სახელია. იგი ერთადერთი და განუმეორებელია თავისი სულის მშვენიერებით, გარეგნობით, ბედით...

და ახლა ივერია იდგა, როგორც ცისფერი ძეგლი მშვენიერებისა. და გუნების თვალით ელატაცებოდა ბავშვობის წლებს, ვალოდიასთან შეხვედრას, კახასთან ნდეს სიყვარულს, კრწანისის ომს, ქვეყნის დიდი პატრონის — ერეკლეს მიძინებას მცხეთის მარადიულ მისაძინარში.

იდგა იგი — ჭკვიანი და სათნო, კდემამოსილი და შემართული, გამოუცნობელი, ქალაქ-ქალური სინაზით იდიმოდა, თუმცა შავი წამწაპების რკალში მარადიული სევდის ანარეკლი ედგა.

ივერია ოდნავ შემობრუნდა, ვალოდიას მიაფრქვია თბილი მხერვა და ღიღრონი, დამარეტიანებული თვალებით ასედ-დახედა.

— მაშ, შენ ის ვალოდია ხარ?

— დიას, ის ვალოდია... დაპირება რომ ვერ შევიხსრულა... შენ რომ დაივიწყე...

— მე არასოდეს დამვიწყებხარ, ვალოდია. ერთი დღითაც არ მომიცილებია ის პაწაწინა ვერცხლის ჯვარი, მაშინ რომ მაჩუქე. აი, ისიც! — გულისპირი ოდნავ გაიწია, უბეში ორი თითით მოსკებნა ვერცხლის ჯვარი, ამოიღო და აჩვენა.

ამაზე ვალოდიამ მადლობა მოახსენა სსოვნისათვის და გაუბედავად თქვა:

— ძვირფასო ივერია, სწორედ ახლა, ამ საზეიმო დღეს, ალავერღში, ცოცხალი, უშორესი წინაპარავით მოწამე ტაძარში, ამ მიღეთი ხალხის წინაშე, ვისთვისაც ანე ძვირფასი ხარ შენ, უმორჩილესად გთხოვ, პატივი დასლო ჩვენს ადრეულ ნაცნობობას, სსოვნაში შემონახულ ჩვენს სუფთა, ბავშვურ სიყვარულს, იგივე ჯვარს, რომელიც ორთავესათვის ერთნაირად საფიცარია და... მომცე ნება გავიმსილო გულისნადები. ალბათ შენა ხარ ის, ვისაც ზღაპრებში და ლეგენდებში ეძებდა ჩემი ერის შემოქმედი გენია სულისა და მომავლის გასაკეთილშობილებლად!...

— ვმადლობ ამ გულასდილობისათვის, ძვირფასო ვალოდია! შენ თვითონ იცი, რომ ჩემს ქვეყანაში ხალხის ხმა ღვთის ხმასთან არის გათანაბრებული, ფიცი კი უზუნაესთან... აბა, რა ბედენაა ქალის მანდილი, მაგრამ მისი პატივისცემით ზავდებიან...

— საოცარია!

— ხალხმა იცის, რომ საქართველოში არ ობლდებიან. მე ამ ხალხის შვილი ვარ, მათ გამზარდეს მამის გარდაცვალების შემდეგ.

— საოცარია!

— აქ შეიძლება მგვობრისთვის მოკვდეს ადამიანი და თავისთავი ყველაზე ბედნიერად ჩათვალოს.

— საოცარია!

— მე მიყვარდა კახა. ერთად! გავიზარდეთ, ერთად ვიბრძოდით კრწანისში. ის დაეცა და თავისი დაცემით გადამარჩინა. მისი სული მოუცილებლად, მუღმივად თანა მსდევს. მე არ შემიძლია ვიყო ვისიმე ცოლი, რადგან სული მისი და სიცოცხლე მისი ჩემში გრძელდება. მე მის სახელს, მის საფლავს ფიცი მივეცი დაერჩე მარადიულ ქვრივად, ჩემი დაუვიწყარი კახას ქვრივად!..

— საოცარია, ღმერთმანი!..

— დიას, გადავწყვიტე! ეს იცის ყველამ. ჩვენში ფიცის გატეხა შეუძლებელია!.. მე ამ ხალხის შვილი ვარ. მათ კარვად იციან ფიცის ძალა და მნიშვნელობა. მინდა შენც იცოდე...

— გავიგებ და დაუცავ.

— შენთვის, მხოლოდ და მხოლოდ შენთვის ერთადერთი საფიცარი მაქვს შემონახული.

— გზაღობ ამ ნდობისათვის. იმედია, შეტყუე, თუ რა არის ეს.  
 — ეს არის ფიცი და-ძმობისა!  
 — და-ძმობისა?  
 — დიან, სუფთა, ნათელი, თანასწორი, მარადიული მეგობრობისა.  
 ამ სიტყვების გაგონებაზე ვალოდია დაიბნა. ივერიამ აღარ დააყოვნა, შბრძა-  
 ნებულ დედოფალივით გაიშვირა ხელი და დაიძახა:

— ჰეი, შაქალათო!  
 — აქა ვარ: — სასწრაფოდ გამოეპასუხა წესრიგგამრიგე.  
 — ნათალეთ ვერცხლი ფანწებშია.  
 — ახლავე, ივერია! — თქვა და შემობრუნდა. იქვე მოიპატრევა სამსეგრო,  
 ხაერო და სასულიერო წარმომადგენლები და წესის აღსრულებას შეუდგა: ფანწე-  
 ბში ნათალა ვერცხლი, ღვინით შეავსო და იპაა მიაწოდა. — ნებეთ, ბატონო.  
 მოწმენი აგერ ბრძანდებიან!


ვალოდია ამ საწებომ გააოგნა, მაგრამ მალე მოუკო სრულ განსჯას და თა-  
 ვანით ივითხა:

— სე რა უნდა ვთქვა?  
 — „შენ და და მე ძმა“, მე კი — „შენ ძმა და მე და“.  
 ივერიათ ფანწი წინ გამოსწია და ვალოდიას უთხრა:  
 — შენ ძმა და მე და!  
 ამის გაგონებაზე ხალხმა დაიბუბუნა: — აამენ!..  
 ვალოდიამ გამოსწია ფანწი და ივერიას უთხრა:

— შენ და და მე — ძმა!  
 ხალხმა კვლავ მქისედ დაიბუბუნა: — აამენ!..  
 საეკლესიო მსახურმა შთამაგონებლად დაიძახა:  
 — წყევლიმც იყოს ამ ფიცის გამტენი!  
 აამენ! — გაისმა უფრო ხმამალა.  
 ვალოდიამ და ივერიამ სასმისები გამოცალეს.

ხმა ხალხისა ვალოდიას მოეჩვენა ქვესკნელიდან ამოხეთქილ, ვულკანივით  
 მოუთეინიერებელ და ცვეცლივით სუფთა ხმად. გაუჩარდა... გაუჩარდა, რომ საო-  
 ცრუბათა ქვეყანა გაიცნო. მოეჩვენა, რომ ეს ვეველა გრძნობასა და სურვილებზე  
 ძლიერი და საამაფოა. მხრებში გაიშალა, ამ მონაპოვართ თაღი ბედნიერად წათ-  
 ვალა და ივერიას უთხრა:

— შენი შტერი ჩემი შტერია. შენი მოკეთე ჩემი მოკეთეა. შარადიულად შევი-  
 ნასხაე ხინათლეს ამ ულამაზესი მეგობრობისას! თაობებს გადაეცემა იგი. გმად-  
 ლობთ, ძვირფასო ივერია! ბევრი რამ ვისწავლე მე აქ და მევერა, ასევე ბედნიერი  
 იქნება ის, ვინც კარგად გაიცნობს საქართველოს!



ახალი წიგნიდან

კვირის ტაძრის ბულვარს

წეტავ, თოვლი როგორ თოვდა  
 მაშინ,  
 პუშკინი რომ მოდიოდა  
 ბაღში?  
 თოვლი თოვდა და ბულვარი  
 ტვერის  
 ჰგავდა სატრფოს გამოგზავნილ  
 წერილს.  
 მაღლით, ზეცით ჰგავდა მოძღვნილ  
 ოდას,  
 ისე თბილად, ისე გრძნობით  
 თოვდა.  
 ის ღღე მარად ღირსი არის  
 ხსოვნის,  
 ის ბულვარი, ის შრიალი  
 თოვლის...  
 დგას პუშკინი, გასცქერს ბულვარს  
 ტვერის,  
 მის წინაა მთლად ქვეყანა  
 მთელი.  
 აზიდულა ცისფერ  
 სიმაღლეზე,  
 თეთრი თოვლი ეფინება  
 წბრებზე.  
 თოვლი, თოვლი, მისპეტაკის  
 რული,  
 დგას პუშკინი, ვით მფეთქავი  
 გული.  
 ვით მდინარეს, მარად  
 მოღალანეს,

ყვავილები მოაქვთ  
 პაემანებს.  
 მეოცნებე სად ნახავდა,  
 ნეტავ,  
 შესახვედრად ადგილს უფრო  
 ნეტარს.  
 დგას პუშკინი, მგზნებარ გულებს  
 ხვდება,  
 ვით სინათლე, ვით ღლის  
 უკვდავება.  
 ეს დღე მარად ღირსი არის  
 ხსოვნის,  
 ეს ბულვარი, ეს შრიალი  
 თოვლის...

### უბრუნდებიან ბუდეს მერცხლები

უბრუნდებიან ბუდეს მერცხლები,  
 გადმოულახაეთ ზღვები, მინდვრები,  
 მიაგნეს კერა სახეუცვლელი,  
 შარშანდელი თუ შარშანწინდელი.  
 კუდშაკრატელა გულმოსატული  
 მაღლიდან დილის ჰანგს გადმოგვძახებს,  
 გულის ფანცქალით,  
 ფრთების ფათქუნით  
 ჰქმნის სიცოცხლეს და ახალ ოჯახებს.  
 ეს საიდუმლო ძლიერ მაკვირვებს,  
 ო, დაილოცოს ძალი ბუნების,  
 ნიჭი რამ მისცა პატარა ფრინველს  
 განახლების და კვლავდაბრუნების?  
 შენ შუბლზე ფიქრი გაქვს დაფენილი,  
 შენ გულზე დარდი გაღვეს ხუნდებად,  
 ერთხელ ბულიდან გადაფრენილი  
 სიყვარული რომ არ დაბრუნდება.  
 უბრუნდებიან ბუდეს მერცხლები,  
 უბრუნდებიან ბუდეს მერცხლები...

რა ფოთლები ჩამორეკა ქარმა,  
ერეკება რემას

ყვითელ-ყვითელს,  
თავწაკრულმა ჩამიარა ქალმა.  
ვერძნობ, სიბერე

ეპარება მინდვრებს.  
არ დარღობდა ესენინი, არა,  
არ მისდევდა

წარსულ დღეთა სურნელს,  
მე კი ვდარღობ,  
ნე კი ვწუხვარ მარად,  
სიჭაბუკეს რომ ვერ დავიბრუნებ.  
როგორ მტკივია,  
როგორ მტკივია გული,  
სიყვარული აღარ გამაცვივებს,  
ის გოგონა ღაწვებშეფაკლული  
ვერ მომიტანს ნიკოჭალის იებს.  
სუფსის პირზე

ყანისპირებს მასთან  
ვეღარ ვნახავ ყვავილებით სავსეს,  
და ჰეპელა,

მისი კაბის მსგავსი,  
ფრთაფარფატით არ შემსვდება გზაზე...  
რა ფოთლები ჩამორეკა ქარმა,  
ერეკება რემას

ყვითელ-ყვითელს,  
თავწაკრულმა ჩამიარა ქალმა,  
ჩანს, სიბერე

ეპარება მინდვრებს.

●

თუმცა სიბერე  
ნიცდის კარებთან,  
მიცდის და თავის  
მაცდურ ხელს მიქნევს,  
ერთ გოგოს  
კიდევ შევიყვარებ და,

მერე, ჯანდაბას,  
რაც იქნეს,  
იქნეს.  
გაჩაზჩაზებულ დარბაზს  
სინათლით  
თავზე მოვახვევ  
გამხელილ ფიქრებს,

მას ერთხელ კიდე  
ვეტყვი სიმართლეს,  
შერე, ჯანდაბას,  
რაც იქნეს,  
იქნეს.  
შენ შევიპირებ,  
კარგო, ველებთან,  
თვალს დაიკოცნი  
და ღაწვებს გიქებ,  
ცოლს ერთხელ კიდე  
გავახელებ და,  
შერე, ჯანდაბას,  
რაც იქნეს,  
იქნეს.  
გინდა თუ არა,  
წაღიშვი ვინმე

ძალას დამატანს,  
ის არამკითხე,  
ერთხელ ვიქნები  
კიდე თამადად,  
შერე, ჯანდაბას,  
რაც იქნეს,  
იქნეს.  
კვლავ დავაღამებ  
მინდვრის ფერებთან,  
კვლავ მოვიგონებ  
სიყვარულს,  
სიერძმეს,  
შენც ერთხელ კიდე  
გამიხსენე და,  
შერე, ჯანდაბას,  
რაც იქნეს,  
იქნეს.

### მ ი მ ო ზ ა

თოვლი ზოდის ლიცლიცით,  
იფარება წი-მო გზა,  
შენ მიტყვრეტ და მიცინი,  
შენ მიყურებ, მიმოზა.  
ოქროსფერო იმედო,  
შენი სანაპიროსა,  
პაწაწინა სიცოცხლე,  
ჩიტისფეხა მიმოზა.  
ხივეარული ძნელია,  
ღარღმა გამახდინოსა,  
ჩემი სადარდელია  
შენი ყელი, მიმოზა.  
ღაუკართ ვიტარა,  
სევდამ ამატიროსა,  
მეტი არა მინდა რა,  
თუ გიყვარვარ, მიმოზა.  
შენთან მინდა თამაში,  
გულზე ზომელხინოსა,

ღაყვარდისფერ კაბაში  
ღამაში ხარ, მიმოზა.  
ღა ვტოვებ ფანჯარას,  
ნუ ვინ გაიკვირვოსა,  
შენ გიყვარდე, სხვას არა,  
შენ, მხოლოდ შენ, მიმოზა.  
იმედად დამრჩენიხარ,  
არ ვიკარებ ღვინოსა,  
ჩემი ხარ და ჩემი ხარ,  
მხოლოდ ჩემი, მიმოზა.  
შენს თავს ვერვის დაუტომობ,  
ნურც ვან დამეცილოსა,  
ლექსით შენზე ვსაუბრობ,  
მხოლოდ შენზე, მიმოზა.  
ო, რა ბედნიერი ვარ,  
ვთქვი, განგებამ მიბოძა,  
ჩემი ხარ და ჩემი ხარ,  
მხოლოდ ჩემი, მიმოზა.



გაძლიერებული ვიწრო, სასხასა ბაღასი აბიბინებულა, ალაგ-ალაგ მთის ყვაილებზე დაქარგული. მწვემებს პირუტყვი, ხარ-ძროსა მიუშვიათ სამოვარზე-თეთონ კი პაანაქება სიცხეს გაშორებიან და ზოგს ხე-ბუჩქის ჩრდილებში, ზოგს კიდე მინდვრის ბოლოს, ტყისათვის შეუფარებია თავი. ღამისი ხანასკვია ამ დროს იმპიქედის ანდომასლო სამოვარზე, სხვადასხვა ფერისა და ჯიშის სა-ქონელი შეფენილა ფერდობზე. აგერ ხარები ბუღრაობენ და ერთმანეთს ემუქ-რებიან, იქეთ კიდე პატარა ბონოლეს დედების ჯიქნები გამოუწოვიათ და ახლა ლაღაჟ კუნტრუმობენ, თავივე ეშვებიან, შემდეგ, დედას დაშორებულები, პლა-ვილს იწყებენ, ძროსებიც ზმუილით კვლავ თავისთან უხმობენ.

ტყის სიღრმეში წაბლის ხის ტოტზე თხუთმეტოდე წლის გოგონა შემოშვია-რა, წინწკლებიანი თავსაფარი ყელზე ჩამოსლია, გრძელი კაბის კალთები აუკ-რევია. წვივებზე ჭრელი წინდები შემოუსხალტავს. კონტად შეკერილი ქალამნები აცვია. ფეხს უდარდელად არწევს, ხელში წიგნი უჭირავს და სმადაბლა, მავრამ გატაცებით ლექსს კითხულობს. ერთ სტრიქონს რომ ჩაათავებს, ნახიზს ვადაბუ-ღავს, იქეთ-აქეთაც იცქირება — თითქოსდა ეშინიან, არავინ დამინახოსო.

„აგერ იარე მცხეთამდე, მცხეთას კი გაგივაკდება,  
წიგნები არ დაასეული, ბატონი ვაგიჯავრდება,  
ყველი და პური თან მივაქვს, წყალიც არ შემოვაკლებს  
სავარცხელი უბეში გაქვს წვერიც არ დავიხავსდება...  
მოახსენე შენებურად რაც რომ ჩვენგან ვეპარება.  
მოახსენე არაველთა...“

გოგონამ კითხვა შეწყვიტა, თავი ასწია და თვალები შორს მიაპვრო, თით-ქოსდა იგონებს რამესო. შემდეგ სახე გაუბრწყინდა:

— აჭარელთაო, რა უშავს, რომ მეოქვა? ბაბამ თქვა არაველებს რა უჭირთ, ჩვენ ვიციითხოთ თუარაო...

„მოახსენე აჭარელთა, აქვსთ, მეფევე შენთან ვედრება:  
სიბერემ არ შევაშინოს, არ ილო ქვეყნის ყვედრება,

ხმალი კიდევ მოიქნე, მოხუცს კიდევ მოგიხდება:  
თუში, ფშავი და... აჭარა შენ სულ თავს შემოგვევლება,  
შავარდნებსავით დავესხათ და სოჯა შევეიშინდება;

თუ ჩვენზედ ღმერთია მწყრალი, თათრობა გადმოვარდება;  
თუ შენი კარგი ქალაქი უსჯულოთგან აოხრდება,  
მამინეუ ჩვენსკენ მოგემართე, მთის ხალხი გაგიმაგრდება,  
თუში, ფშავი და... აჭარა შენ სულ თავსა გენაცვლება  
მანამ ცოცხალი იქნები... აჭარა ვემსახურება;

შენ შემდგომ საქართველოში, ვნახოთ ვინ გაირაკლდება“.

გოგონა წიგნს ფურცლავს. ფურცლების შრიალში არ ესმის, რომ ტყის სი-  
ღრმიდან შქერის ფოთლებმაც გაიშრიალა, ოდნავ გაიწ-გამოიწია და იქედან ადა-  
მიანის თვალი გამოჩნდა. გოგონა კვლავ თავისი საქმით არის გართული, მისკენ  
მოწმირალ თვალს ვერ ამჩნევს.

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი  
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,  
და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი  
ალახნის ეელზედ წამოიხარა“.

— აუ, რამხელა ლექსია! — ჩქარ-ჩქარა კვლავ გადაფურცლა რამდენიმე  
ჰვერდი.

„წამოხტა კაკო ღომივით ზეზე,  
თოფი მოზიდა და შეაყენა,  
და რა იხილა მხედარი ველზე,  
შეპკივლა, მითხარ, ვინა ხარ შენა?  
რისთვის მოსულხარ? — მოყვრად თუ მტრადა?“

— მოყვარე ვარ, ციცაბე, არ შეგეშინდეს. — გაიხმა ტყიდან კაცის ხმა.

ქალმა წიგნი ელვის სისწრაფით დასურა, უბეში ჩაიღო, და ტოტზე ციფვივით  
შეხტა, შეტროტმანდა, მაგრამ წვრილ ტოტებს შოავლო ხელი, თავი შეიკაფა და  
შეშინებული თვალები იმ მხარეს მიაპყრო, საიდანაც ხმა მოესმა.

— ციცაბე, ნუ გეშინია, მეზობელი ვარ. — გაიმეორა ხმამ.

ქალი ტოტზე შიშისაგან ცაცხახებს, შემდეგ ძალა მოიკრიბა და მთრთოლვარე  
ხმით ვახძასა:

— თუ მეზობელი ხარ, სახელს ვერ იტყვი?,

ფოთლები გადაიწია და თავით ფეხებამდე შეიარაღებული ემრულა გამონდა.

— არ შეგეშინდეს, გოგონავ, შე სამტროთ არ ვარ მოსული.

— ახლოს არ მოხვიდე! — იკივლა გოგომ და ჯერ სარტყელში გარჭობილი  
ჯოხი ესროლა თავგამეტებით, შემდეგ — ხელში რაც მოყვა, სის ქერქი, ფულურთ  
— ყველაფერი ზემოდან აყრიდა მოსულს.

ემრულა სახეზე ხელს იფარებს, ნახროლ საგნებს იცილებს თან გულიანად  
იცინის და ხეც უახლოვდება.

— ახლოს არ მოხვიდე-მეთქი! — იკივლა გოგომ, რტოებს ხელი უშვა და ტოტ-  
ზე გაიბრინა, — თვარა ჩამოვვარდება, თავს მოვიკლავ და ბელას განახვებ! — სი-  
მშიმშისაგან ტოტი უფრო და უფრო ჩამოიწია და ის-ის იყო მოიხიჩქინებოდა.

ემრულამ უკან დაიხია.

— რისთვის იკლავ თავს, დაიკო, მხიცი ხომ არ ვარ?

— მსვეცი ხარ, ნადირი ხარ და ოხერ-ტიალი ხარ, აბა, ასე ქურდულად დადიხარ სხვის კერა-კუთხეში!

— რა, ეს ტყვეც შენია?

— ჩემია, ჩემი მეზობლისაა, ხინდის-ნამუსიანი მუშა კაციხაა და არა შენის-თანა ფანალიხა, ხალხს რომ აოხრებს.

— არ ვარ ფანალი, გოგოვ, მე ფანადებს გამოვექვეცი და ახლა იმათ ვაოხრებ.

— მერე ჩემთან რა გინდა? წადი გამშორდი, შენ გზას მიჰყევი! — თქვა ქალმა და ტოტი ისე დაარწია, რომ სემ ტკაცუნა დაიწყო.

— შენ მართლა გიყი სომ არ ხარ! — შემფოთდა ემრულა და უნებლიედ მისკენ გაიწია.

— არ მოხვიდა! — იკივლა ქალმა და მძლავრი ბიძგით ერთი ნაბიჯი კვლავ გადადგა. ამ დროს ლაწანი გაისმა, ტოტი ადგილიდან მოიხრდა და ფოთლებში ახვეული ქალი თავქვე დაეშვა.

ემრულა ადგილიდან მოსხლტა, ტოტს ხელი შეაშველა და ამასობაში ქალი შერნა მკლავებში. ერთხანს ორივე გაოგნებული იყო. შემდეგ ქალმა პაწია მუშტები ჩასცხო სახეში.

— გაშაშეი! — იკივლა და სახეზე ფრჩხილებით დაუწყო კაწრვა.

ემრულამ მყისვე ხელი უშვა და უკუდგა.

ქალს იმელი მიეცა, ტანსაცმელი შეისწორა, თავსაფარი შემოიხვია, სახე დაიფარა და უბიდან ამოვარდნილი წიგნის ძებნას შეუდგა.

წიგნი ემრულას ფეხებთან დავარდნილა, მაგრამ არ ეუბნება, იცის, მონახვის-თანავე გოგო გაიქცევა.

— კარ-შიდამო და ტყე-დრე ვეველას უფვარს, მარა სტუმარსაც დაფასება სჭირდება. — თქვა ემრულამ და გოგოს ირბად გახედა.

— ჩვენ სტუმარიც ვიცით და მასპინძელიც. ჭკვიის სასწავლი სახლში გვევლინება! — მკვანედ მიუგო გოგომ და ბალახებში წიგნის ძებნა გააგრძელა.

— აბა, სირცხვილი არ არის? — არ ეშვება აბრაგი, — არ იცი, ვინ ვარ, რაზე მოეფი, მლანძღავ და მწყველი.

— შე არ მომიხმისარ, არ ვიცნობ და არც მინდა ვიცოდე, ვინ ხარ.

გოგო გაფაციცებით კეცავს სქელ ბალახს და წიგნს ეძებს. ეტყობა ამის გარეშე მართლაც არ აპირებს წახელას.

ემრულა დაიხარა, წიგნი აიღო და ყდაზე დახედა: „ელვანა“ — ამოიკითხა პატრონის სახელი და წიგნი გადაუგდო.

— აიღე შენი წიგნი, ელვანავ. ამ სოფელში სტუმარი არ ყვარებით, მშვიდობით.

გოგომ წიგნი უბეში ჩამალა. ცალი თვალი გააპარა ემრულასაკენ, რომელიც უკვე მიბრუნდა და ბუჩქებისაკენ გახწია, მალე თვალს მიეფარებოდა.

ელვანას ცნობისმოყვარეობამ სძლია და დარწმუნებულმა, ეს კაცი არაფერს დამიშავებსო, უნებლიედ მიაძახა:

— მიღისარ? — მისივე ხმის შერცხვა და კაცს სახე მოარიდა.

ემრულა შედგა, თითქოს ელოდაო ამას, ქალს თვალი გაუსწორა, შემდეგ მობრუნდა და უხმოდ მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

გოგო დამცნრალიყო, აღარ დელავდა, მშვიდად ელოდა სტუმრის მოხლოებას.

— ფანალი რომ ხარ, ვიცი, მარა რომელი ხარ და ჩვენთან რამ მოვიყვანა? — გაბგულულად შეეკითხა ქალი.

— მე ემრულაი ვარ, იმერსეველი.

ემრულას გაგონებაზე ქალი შეცბა.

- შენ ვისი ხარ, ელვანავ? — იკითხა ემრულამ.
- აიაგინი.
- დედა არ გვაგზნებს?
- არა.
- აბა, ვინ გავზარდა ასე ლამაზი და ჭკვიანი?
- ღმერთმა.
- ღმერთი გწამს?
- აბა არა?
- ძვერე წიგნს რომ კითხულობ, ცოდვის არ გეშინია?
- რა ვიცი.
- წამოშვებები?
- ხალ?
- ცოლად წავიყვან.
- არ გაშომიშვებებს.
- ვინ?

- აიშე ხანუმი.
- ვინ არის აიშე ხანუმი?
- ჩემი ხანუმი, მე იმის ძროსებს ვამოვებ.
- წიენიც მან გასტავლა?
- რომ გამიგოს, მოსკლავს.
- აბა, რატომ კითხულობ? არ გეშინია?
- მეშინია, მარა მაინც ვკითხულობ. აბა, რა ვქნა. ბიჭები ჯამეში დადიან,

ქითაბს სწავლობენ. იქ შედექსე რეჯებ ეფენდი იმათ ჩუმათ წიგნსაც ასწავლის.

- რეჯებ ეფენდი?
  - პო. ჩვენთან ჭკუას ვეფლა მოლას, მედექსე რეჯებ ეფენდის კეთილება.
  - მოლას ჭკუა რათ მინდა.
  - რატომ? ბაბამ თქვა, ძალიან ნაკითხი კაციო და თაერთობის დეშმანიაო.
- აი, ეს წიენიც ჩემ ძმას ჩუმათ რეჯებ ეფენდომ მისცა ჯამეში. — თქვა გოთომ და შეცბა, სომ არაფერი დავაშავო, — შენ რა, რეჯებ ეფენდის ხანტროდ მოდი?

- არა, ელვანავ, ასეთი მოლას მტრობა რაეაი იქნება. თუ დექსებს წერს, წიენი უფვარს, ხალს ურიგებს, ასწავლის ქართულ ენას, დედა-ენას. ეს დასტურ წინაი კაცი ყოფილა, მეც ვიცნობ რეჯებ ეფენდის, ჯამეში ვნახე.
- ხაუბარი აფეთქების გამაყრუებელმა ხმამ შეწყვიტა. გოთომ ფურცელში თითები დიციო. ემრულამ ძალაუნებურად დამბახახავ იტაცა ხელი.

- რა ამბავია? — იკითხა აბრაჰმა.
- ჩვენი მეზობელი ბურჯანოღლი ნაქილისეარს ანგრევს.

ემრულას ხახე მოექუფურა.

- მაგ კაცს ვეძებდი, მშვიდობით, ელვანავ. — ემრულა ხანქართოდ გამოეთხოვა ქალს და დაუსტვინა.

უმაღლი მასავით შეიარაღებული ასლავანდა გამოეარდა ბეჩქეზიდან. ემრულამ მათ რაღაც ანიშნა, ელვანას უხმოდ თვალები მოაგლო და ამხანაგებსთან ერთად გაჭრილი კლდისაკენ გასწია. ის იყო, სამეული დღეს გასცდა, აფეთქების ხმამ კვლავ გააყრუა იქაურთა. დაგორებული ქეები რომ აცდინათ, ბიჭები ერთხანს ნაძვის ხის გაბარდნილ ფეხებებს შეეფარნენ.

- დავაგვიანეთ! — თქვა ემრულამ.
- ქილისახთან მაინც უნდა მივიდეთ. — უპასუხა ენვერმა და ზევით აიხვდა, ქეები გიდევ სომ არ მოგორავსო.

— აბა, რა, ბურჯანოღლი თუ არ ენახე და ერთი ჩემებურად კლარი-ცოცხალი  
არ ევახე, იცე ვერ დაგდგება! — ბრაით თქვა ირემამამემ.

— ზაფიდეთ: — სოკლედ მოჭრა ემრულამ.

ივლისა ზუსტებზე სეღის ჭიდებით ბიყვია აღმართს შეყვენენ. აიგაკვს თუ არა,  
ლამას მინდოდა აბალი აფეთქების ბუღში გახვეული შენობის კონტურები  
გამოინდა. იქითაქედან შენობას ამფეთქებლავი უახლოვდებოდნენ, სათი მახე-  
ლავი აინტერესებდათ და არც კი შეუძინებიათ, სამი შეიარაღებული ახალგაზრ-  
და რომ წაადგათ თავზე.

ბუღი გაიფანტა და კარგად გამოინდა თლილი ქვით ნაკები ტანშემოძარცუ-  
ლი ნანგრევი. სადაც კი ხელი შეუწვდა ბურჯანოღლის, ყველა ქვა ჩამოტვლია.  
შენობა ქვას ღორფინებით ვოფილა დახურული, მაგრამ მსახურად ხელს არც  
ინინი გადარჩენია, ამჯერად ეკლესიის გაღაჯანი აფეთქებიათ, თლილი ქვები  
ასლომანსლოა მიმიყრილი. აფეთქებას სასწაულად გადარჩენილი კედელიც მოუ-  
რყვია და ასლა იქ ერთი ქვის გამოღება საჭირო, რომ მთლიანად დაინგრეს.  
გვერდზე ქვების გადასაზიდად მარხილია გამზადებული.

— გისია ეს ქვები! — უცებ იტყვა ემრულამ, რომელიც ამხანაგებთან ერთად  
აქამდე ხელეხამოშეგებული იღვა და ნანგრევებს ისე დაჰყურებდა, თითქოს მი-  
ცვალბებულს გლოვობენო.

— ჩემია! — ანგარიშმოუცემლად ჩასლენილი ხმით ამოიძახა ბურჯანოღლიმ;  
„ვი გრძელ, წარწერებთან ქვას ჩასჭიდებოდა და წამოწევას ცდილობდა.

— არ არის შენი! — მკვასედ უთხრა ემრულამ.

ბურჯანოღლიმ თვალმხეწე წამოშეგებული ვახალასი შუბლამდე აიწია და  
ემრულას მწერალად ასედა. „შენ ვინ გეკითხებაო“, უნდოდა ეთქვა, მაგრამ დამ-  
ბანებზე ხელმოვლებულ ბიჭებს რომ შესედა, ხმა ჩაუწყდა.

— აბა, ვისია, პატრონი არ ვაფხ და... — ამის თქმაღა მოახერხა და ისევ ქვას  
ძოეჭიდა.

— კარგად დახედი მე ქვას. ბურჯანოღლი, წაიკითხე და მიხედები ვისიცაა.  
„ვარდან“, „ცუარი“, — ეწერა ქვაზე, ბურჯანოღლიმ ვერ წაიკითხა, ისე, კი  
მშვენიერად იცის, რომ ქართული წარწერა იყო.

— რა გინდა, კაცო, რას დამადექი თავზე! — ხმას აუწია მან, — ეს ვიარ-  
რები სომ არ წვიდებენ ამ ქვებს? — წარწერაზე მიუღითა, — მჭირდება და მი-  
მაჭვს.

— შე უგუნურო, რა უნდა ააშენო ამ ქვით ამაზე უკეთესი? — ხელი ნანგრე-  
ვისაკენ გაიწვდინა. — შენ იცი, რას ანგრევ?

— შენ სომ არ გინგრევი! — აფირდა ბურჯანოღლი.

ემრულა თავს იკავებს, მაგრამ არ ეშვება.

— დიად, მე მინგრევ, ამათ უნგრევ — ამხანაგებზე მიუთითა — იმათ უნგრევ  
— ასლა ხელი გაიშვირა გლეხებისაკენ. რომლებიც გვერდზე გამღვარიყვნენ და  
ცალფად უსმენდნენ საუბარს.

ბურჯანოღლი გაოვნდა.

— თქვენ მაინც რამ შეგმალათ ჭკუაზე? — ამფეთქებლებს თვალი აღარ მოა-  
შორა ემრულამ — ქვეყანაზე ქვა დილია? აგერ გაღმა კლდე ააფეთქეთ, გათაღეთ  
და აშენოს რაც უნდა ამ სულბოროტმა.

— ჩვენ მეზობელმა ნადში დაგვიძახა, ამაზე უარი არ ეთქმის. — იმართლა  
თავი ამფეთქებელმა.

— შერე, ვერ ხედავთ, რომ მამა-პაპის ნაშენებს ანგრევს? უსტა კაცმა  
ამაზე პირიქით უნდა დააშენო.

— ემრულავ, მე გინობ და გეტყვი: შეიძლება მართალი ხარ, მარა იცოდნენ, რომ ქვეყანას იცნ ვერ ვაახტორებ. — წინ წამოდგა ფართო ბეჭქსიანი მკლავაკაბიწებული კაცი.

— ჩემს გასასწოოებელს, სადაც მუუცდები, გავასწორებ და სხვა სხვევმა ასწორონ. ამის დამკცევი სვალ და სვე სხვს აშენებულსაც ააფთქქის და ვაჭიდის.

— ბურჯანოლლი არ არის კაი კაცი. — მაერია ლაპარაკში ეხვეერი.

— შენ რა იცი, ბიჭო, მე რაფერი კაცი ვარ? — გაცხარდა იგი.

— რამდენი ცალი ქვა წვილე აქედან? — შეეკითხა ეხვეერი.

ბურჯანოლლი ერთხანს არ აპირებდა პასუხს, მაგრამ შეეკითხვა ემრულამაც ვაუშეორა.

— ორმოზდათექსმექტი.

— აი იმ ორმოცდათექსმექტ ქვას რომ ამ არაბაით აქ ამოწილავ და იმ კედელს ვაამაგრებ, მაშინ იქნები კაი კაცი.

— იმ ქვეებით სახლის ბალავარის ამოშენება დეიწყო, რაღას გადმოწილავს. — თქვა ფართობეჭვებთან.

— ვადმოწილავს! — თქვა ირემამემ.

— რა, ბალავარი დავანგრიო? — წამოჭარხლდა ბურჯანოლლი.

— ლანგრიე! — შეაწვევტინა ემრულამ, — დანგრიე და სუთ დღეში ყველა ქვა აქ ვადმოიტანე. დღეს კვირაა, ჯუმა დღეს აქ ვიქნები. წაველით, ბიჭებო!

მიბრუნდნენ და ჩქარი ნაბიჯით გასწიეს.

— შენ, ჩემო ძამიავ, ბალავრის დახანგრევად რომ დავაბიჯოს ბურჯანოლლიმ, ბაბას ვაფიცებ, არ შეეკზაროს წამოხვლა! — მიაძახა ფართობეჭვებთან ირემამემ.

იმან არაფერი უპასუხა, თავი კიდევ უფრო დახარა.

— მე რომ ბალავარს დავანგრეე, მაშინ ჭამეთ. — ჩაილაპარაკა ბურჯანოლლიმ.

— მოი, ჭო, ბექსიავე, მომეხმარე, რაღას გაშტერებულხარ? — უთხრა ფართობეჭვებთან.

ბექსიამ ირიბად გახვდა ბურჯანოლლის.

— მაგ ქვას ხელი უშვი, ხასოვ, აქედან წასადებად ვეღარ მოგესმარებო. როცა დააპირო, დამიძახე, შენი ბალავარი დავანგრიოთ და ის ქვეები აქ მოვწილოთ.

— ვაბეწდი, ჭოვ? — ხასოს მაგივრად ამხანაგი შეეკითხა.

— არა, არ ვაგებებულვარ, ისილორე, კაი საქმეს რომ არ ვაკეთებდი, ვიცოდი, მარა მესობელს არ ვაწვინო-მეთქი — ასალხამოწინწულია, მოვედი და ამ ხნის კაცი ჩვენი ძველები თფლით და სისხლით ნაშენს ვანგრეე, ეს ხელეები მოსაჭრელი მაქ, — ბექსიამ მსხვილი მკლავები წინ გაიშვირა და ტანზე შემოირტყა, სამუშაო იარაღებს დაავლო ხელი და წავიდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. შემდეგ მიბრუნდა.

— ხასოვ, არ იფიქრო რომ იმათი მაჭანვლას შემეშინდა, სახლში ორი იმის-სიგრბე ჩახალოზი მაქ. — თქვა და გზა განაგრძო.

— დახანგრევი ბალავარი შენ სახლში შეინახე! — მიაძახა, მაგრამ ბექსიას მიხი ზმა აღარ ვაუგონია. ხასოს ისილორე წამოეხმარა და წარწერიანი ქვა მარხილზე შეაკლო.

\* \* \*

მდიდრულად გაწყობილ ოთახში ორნი არიან — სიმშაიშვილია სახელოვანი გვარის წარმომადგენელი, თურქეთის სულთანის სამსახურში მყოფი შავშეთის მმართველი და მილიციის უფროსი ნურიბეგ სიმშაიშვილი და სულთანის კანონე-

ბის დაუძინებელი მტერი, საკუთარი კანონებით მოქმედი, ფუხარა ხალხის ცეკვი და ძდიდრების თავზარდაძევი აბრაგი, ახლა ბინაში ემრულა მალაქმა ფე. — ორი სწვდასხვა აზრის, მისწრაფებისა და განსწვავებული ძღვოძარეობის აღძიან.

მაგრამ ახლა ორივეს აქვთ სავრთო, ერთი დიდი იდეალი: გავლელ-შევი-ნებული მიწა-წყლის გათავისუფლება მომხდურთა თარეშისაგან, დედა-სამშობ-ლოსთან შეერთება და საკუთარი ხალხის დახსნა დევრადცია-განადგურებისაგან, უკიდურესი უწიგნურობისა და სიღატაკისაგან.

წურიბევი მთელი სიცოცხლე ქართულ ჩონა-ახალუხს იცვამდა. დღეს პირვე-ლად ჩაუცვამს ოსმალეთის მაიორის ფორმა.

ემრულა ამ ტანსაცმლის დახსნაზე ზიწვს ვერ მალავს, ამას წურიბევიც ხვდება, მაგრამ არ იმწნევს; შინაურულად მოივითხა სტუშარი.

— გავიგე დაპატიმრებული თურანბევი გავიტაცნია. ხად არის ახლა იგი?

თურანბევის ხსენებაზე ემრულა აფეთქდა, იფიქრა, ამის გამო დაძიძასა წური-ბევიმ. აღვიღზე აწრიალდა, თითქოს ხადცაა წამოხტება და გაიტყევაო, მაგრამ ბობოქარ ხულს ზრდილობამ სძლია და თავი დაიძორჩილა.

— იგი ჩემი ძმის მკვლელია. — მხოლოდ ესაა თქვა.

— მერე? მკვლელს სასამართლო მოთხოვს პასუხს.

— სასამართლო და სასამართლო ჩვენთან არ არსებობს, რომ ყოფილიყო, აქა-მდე ასჯერ დახჯიდა. ჩემი ძმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მკვლელი არავის მოუკითხავს. თქვენს მთავრობას, — თვალი მიიტყვას მასპინძელს, — სა-მართალი არა აქვს. არ დავიმალავ, მე თვითონ მიწდოდა გავსწორებოდი, მიწანშიც ამოვიღე, მაგრამ... ქალთან იყო და...

— არ ვსწოლე? სწორად მოქცეულხარ, ეს შენ არ შეგფერის. — შეაქო წური-ბევი.

— მისვდა, რომ ვეძებდი და გურჯინტანში ვადაიკარგა. იქ რუსებმა დაიჭირეს, სადღაც მოეკადათ.

— ჩვენთან აბრუნებდნენ. — შეაწყვეტინა მასპინძელმა.

— კოწია ერისთავის, თქვენი ნათესავის დახმარებით გავიგეთ საქმის ვითარე-ბა. თვითონვე საქმე იხე მოაწყო, რომ ბადრაგი მილიციელებით შეედგინათ. თვითონაც ბადრაგს უნდა გაჰყოლოდა. მოულოდნელად ცისის უფროსმა ბადრაგი დაშალა.

— მილიციელებს არ ეწდობიან. იქ სომ სულ გურია-აჭარადან წასული მო-ხალისეები არიან. — განმარტა ზიმშიაშვილმა.

— პლასტუნების ბადრაგი შეადგინეს, მაგრამ იქ ერთი ბიჭი, სახელად კუშმა, ერისთავის პატივისმცემელი აღმოჩნდა. სწორედ მისი და კოწიას დახმარებით შეეძელით თურანბევის ხელში ჩაგდება, თანაც უბრძოლველად. კოწია რომ არ გწვლემოდა, ალბათ სისხლიც დაიდვრებოდა. მე კი მისი მხოლოდ ხელში ცოც-ხლად ჩაგდება მქონდა განზრახული.

წურიბევი კმაყოფილია. ეღიშება.

— ახლა ხად გყავს?

ემრულამ აღმაცერად ასედა, მაგრამ კვლავ გულწრფელობა არჩია.

— ჩაკეტილი მყავს. ვერ მოვიცალე მისთვის.

— რას აპირებ?

— ეს რა საკითხავია. მხოლოდ მისი სიკვდილი დააწყნარებს ჩემი ძმის ხულს. ჩემი სამართალი ასეთია. — გვერდზე გაიხვდა.

წურიბევი წამოდგა, გაიარ-გამოიარა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. შუა ოთახში



განერდა. ემრულას მიაშტერდა. კარგანას უცქეროდა, მაგრამ აღარაფერი უკეთესი ვაძახებ. თითქოს დაეთანხმა იმს განსრავიას.

— მაგრამ მაინც არასწორად მოიქეცი — ბოულდინელად უხაყვედურა.  
 — რატომ? — ანგარიშდაუცემლად კითხვა სტყვარსა...  
 — იმიტომ, რომ ვართ მველვლის გატაცებით ორი მთაერთბა გადაიკიდეს თურქეთიც და რუსეთიც.

— თუ არცერთს არ გაანია კანონი?  
 — შეიძლება ასეც იყოს... — კვლავ დადუნდა სიმშინაშვილი — მაგრამ ჩვენი ერთადერთი სანა მათს რუსეთია — თავისთვის ნაილაპარაკა — დიდა, რუსეთი. რომელმაც თავის დროე მწვარეველი წელი გაუწოდა საქართველოს. ახლა რუსეთის ვარი სანსევეროდ ქართული მილიციითა და პარტიზანული რაზმებით არის შედგენილი. მათი განსრავა მხოლოდ ერთია — საქართველოს დაუბრუნონ ადრე ოსმალეთის მიერ მიტაცებული მხარეები: აჭარა, ზაგრაფი. იმერსევი. მოწინავე ქართველი კაცები დღეინადაც ბჭობენ ამ სავანზე. მათი შუამავალი, სამურზაგანოელი სამუშია იყო ჩემთან, ვაჭრის საბუთებით შენაიბული გადმოვიდა. ექვეება რუსეთის სარდლობასაც ჩვენი — არ იცის რას მოვიმოქმედებთ. ამიტომ საქართველი ჩვენი წერილობითი აზრი მივიდეს მათთან.

ემრულა მთლიანად ვერ გაერკვია საუბრის შინაარსში. იგი მასპინძელს რაღაც მრავალმნიშვნელოვანი კითხვით შესტყეროდა. ნურბებემა ეს კვლავ თავის ტანსაცმელს დააბრალა.

— ჩვენს საუბარს არავინ იხმენს, ემრულავ, — პირველად მიმართა სახელით აბრაგს, — და უნდა ვისაყვედურო. ბინაში გაცხარებული საომარი მსაძების დროს სამხედრო ფორმაში უნდა იყოს.

ემრულამ ირონიით გახედა მოსაუბრეს.  
 — ხალხს იხიცი უკვირს, ტყვეში გავარდნილი კაცი მთავრობას რომ შევევრიგდი, იმ მთავრობას, რომელიც უკანონობას და ძარცვა-გლეჯას უწყობს ხელს. ახლა მისი ნაბოძები ტანსაცმლით და ჩინებით რომ გარეთ გამოვიდეს... ვიდაცას დელი ვეგონები.

— იმ საქმეს, რამაც მთავრობასთან შეგარიგა და რაც შენ უნდა ვაკეთო. ცოტა ხილველიც სჭირდება, ბინაში! ცოტა მუდამიც არის საჭირო. ახლა რასაც არ უნდა ფიქრობდე, მოეწონს თუ არა ფადიშაჰი, მაინც უნდა მოაწვენი, რომ მისი ერთგული მსახური ხარ.

— ძალიან მიჭირს ამის გაკეთება.  
 — ხანიფათია, და თავისუფალ ცხოვრებას მიჩვეული კაცისათვის მართლაც ძნელია, — დაემოწმა ნური, — მაგრამ გასოვლეს: ჩემი წინაპრები და პირადად მე თითქმის ერთი საუკუნეა ასეთ დღეში ვართ. ვეურჩებით, გვეწიშლება ხულთანი. მაგრამ იძულებული ვართ, მაინც მას ვემსახუროთ.

— რა დავალებისათვის მისტუმრეთ, ნურბებე — პირდაპირ შევეითხა ემრულა, თანაც აგრძნობინა მასპინძელს, მზად ვარ შენი მოთხოვნის მიხედვით მოვიქცეო.

— რამდენი კაცი გყავს? — შეუბრუნა კითხვა ხიმშინაშვილმა.  
 — დღეს ათასორასზე მეტი, ხალხის ღინება არ წყდება, ხულ ჯგუფ-ჯგუფად მოდიან. თუ ასე გაგრძელდა, ერთ კვირაში ორიათასი მეყოლება.

— ეს ძალიან კარგია, ჯილდოსაც მიიღებ, მაგრამ შენი ხალხი აქედანვე იხე უნდა მოამხადო, რომ გადაამწვევტ მომენტში ზურგი არ შეგვაქციონ. დარჩენილი დრო მათს წვრთნას და ვარჯიშს მოანდომე. არ მისცე დაფიქრების და განსჯის საშუალება. იცოდნენ მხოლოდ ერთი: სამშობლო საფრთხეშია და საჭიროა მისი

დაცვა; ვისკან, ამაზე პასუხს ჯერჯერობით თავი ავარიდოთ. თურქები კვავს ათასეულში?

— ანა. ყველა აქარა-შავშეაიდან არიან, მათივე სურვილით, მოხალისეები მისული, რასაც ვეცხვით იმას შოიშოქმედებენ. იუსაბანებად სულ ჩეხი რანძის წევრები არიან.

— რაც შეეხება დავალებას, ძალზე მნიშვნელოვანი და სასიფათოა. ემრულაზ გაცენია: „რა უნდა იყოს ასეთი სასიფათო, რომ ვერ შეგასრულოთ,“ — გაიფიქრა.

— რუსეთის ჯარი და ქართული მილიცია ზედმედ ათავისუფლებენ ჩვენს სოფლებს, თურქები უკან იხევენ, ჩვენამდე მოვიდა ცნობა, რომ დევნიშვაშას გადაწვეტილი აქვს უოპრად დათმოს ქართული პროვინციები — ამისი რწმუნება სულთანსაც მიუცია, მაგრამ დიდი გონიერებაა საჭირო რომ ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდეს. მთავარია, რუსმა სასწრაფოდ დაიკავოს ართვინი და შტკერის სეობის ზედა ნაწილში მოქმედების საშუალება მიეცეს. მე ამის შესახებ უნდა მივწერო გენერალ კომაროვს. წერილის გადაცემა შენმა რაზმელებმა უნდა იკისროს.

— იკისრებენ. — გულდაჯერებულად უთხრა ემრულამ.

— იცოდე, ეს ძალიან საშიშია — კვლავ გააფრთხილა სიმშიაშვილმა, თან მაგიდას მოუყდა და წერა დაიწყო. იგი ატყობინებდა რუსეთის არმიის სარდალს, რომ შეუძლია დახმარება გაუწიოს კვების პროდუქტებით, ფურაჯით და იარაღით, გადასცემს აგრეფილი გადასახადების ნაწილს, რომელიც თურქეთის სელისუფლებას დაუხარჯავი დარჩა, აგრეთვე 2000 ფუთ სორბალს, 1200 ფუთ ქერს და ამდენივე სიმინდს. „2000 ცალი თოფი და 50000 კილოგრამი ორცნობილი ჩამოიტანეს, ინჭარეთ, ართვინი დაიკავეთ“. — ამით მთავრდებოდა წერილი.

ემრულამ პაკეტი საგულდაგულოდ უბეში ჩაიღო, ნურბეგს გამოემშვიდობა, ეზოში გაეზარდა, ცხენს მოახტა და გასწია ართვინისაკენ, სადაც მისი რაზმი იყო დაბანაკებული.

ნასვლისთანავე მხოლოდ მეთაურები შეკრიბა და დავალება გაანდო.

— ვინ წაუა ფეხით არტანუჯში? — გადახედა ოცდაათ რაზმელს და დაუმტაქა.

— ცხენით წახვლა საშიშია, შეგვამჩნევენ.

ოცდაათივემ სურვილი გამოთქვა. წინ ენვერი წამოდგა.

— მე წაეალ, — დაასწრო ისლამ რახტაგანიძემ.

— თნია საჭირო, — თქვა მეთაურმა, — გზები ვინ იცის?

მალაყმაძის წინ კვლავ ენვერი აიმართა, მაგრამ ემრულამ მას სახე მოარიდა.

— ყველაზე კარგად, დურადა ოდაბაშმა. — თქვა ვილაკამ.

ემრულა დაფიქრა: — „ახალი მოსულია, ინდობა?“ — კითხა თავისთავს. სელქვეითნი მიუხვდნენ.

— ახალია, მაგრამ გზები ყველაზე კარგად იცის, უსიფათოდ ჩავა არტანუჯამდე. — თქვა ისევ დურადას მომხრემ.

შეთანხმდნენ.

— სად არის ახლა ოდაბაში? — იკითხა ემრულამ.

— სატუსადოს ყარაულობს, — უპასუხეს.

— მოიფიქრეთ! — ბრძანა მეთაურმა.

ენვერი სახეზე წამოწითლდა და უხმოდ ჩაჯდა.

ისლამ რახტაგანიძე და დურადა ოდაბაში მარტოდ დაიტოვა ემრულამ და დავალება გააცნო. სიმშიაშვილის წერილი, მუშამბაში შეხვეული, რახტაგანიძეს

გადასცა, იმან უბეში საგულდაგულოდ შეინახა, მაღაყმაძეს გამოეთხოვა და ოლა-  
ბაშთან ერთად გავიდა.



ემრულამ ბურან ირემაძე იხმო.

— ღურალა ოლაბაში სხვა ყარაულმა შეცვალოს.

— ვის დაევალოთ?.. — იკითხა ირემაძემ.

— ნიაზ ვანლიში გაუშვი.

\* \* \*

მორეებით აშენებული საბძელი სატუსაღოდ გადაუკეთებიათ. კარები რკინის  
სალტყევბათ გაუფარებიათ, დიდი ბოქლოში დაუდგიათ და გარედან ერთი დიდი  
ყვრო სოფტჯენიათ. ხიაზი ფანრით ხელში მიუაილოვდა საბძელს და კარებთან  
გაჩერდა. ღურალა არ ჩანდა. გაუკვირდა, შესობას შემოუარა, შაგრაშ რომ ვერ  
ხახა, ფანარი ტოტზე ჩამოკიდა, თვითონაც ხის ძირას მიჯდა, თოფი მუხ-  
ლებს შორის მოიქცია და ჩამოყვრდნო. „დაველოდები, ალბათ საცხა ახლოხაა“. —  
გაიფიქრა ლაზმა.

შან არ იცოდა, რომ საბძელში ამ დროს ორნი იყვნენ, არც მათი სმადაბალი  
ჩურჩული ესმოდა.

— არტანუჯში რუსებთან გვეზავნიან, — ამბობს ერთი, — წერილი უნდა წა-  
ვიღოთ.

— შერე, ჩემთან რა გინდა? — კითხულობს პატიმარი.

— აქ ნაღდი სიკვდილი გაქვს, ემრულაი არ დაგინდობს. წამოდი შენც, —  
ეუბნება პატიმარს ლანდი, სიბნელეში მათი სახე არ სჩანს.

— ერთჯერ ვიყავი რუსებთან და თურქებთან მამრუნებდნენ. იქ ჩასვლას აქ  
სიკვდილი მიჩვენია. რაც მოსახლეია, მოვიდეს.

— სიკვდილსაც გაანნია, შე უბედურო, ჩვენთან წამოსვლით კიდევ არის გა-  
დარჩენის იმედი. თანაც მჭირდები, იქ ორნი მივლივართ. ჩვენს შორის ერთი  
სულთანის მტერია. მარტო გამიჭირდება მისი მოშორება, კიდევ გირჩევ, წამოდი,  
სანამ გვიანი არ არის.

— არა! — მტკიცედ თქვა თურანბეგმა. — ახალ ცოდეებს ვეღარ ჩავიდენ.

— აქვე ჩაგაძაღლებ, ღორის შვილო! — ღანდმა იარაღი იძრო და შეშართა,  
სიბნელეში ბებუთმა გაიელვა.

თურანბეგი არ განძრეულა, არც წინააღმდეგობა გაუწევია.

— შე აქ სიკვდილისათვის ვზივარ. ჩემთვის სულ ერთია, ვისი ხელით გავ-  
თავდები, მარა შენ ჩემს სიცოცხლეზე საკუთარი თავით პასუხს აგვბ. შეინახე  
მაი დანა და შენი გზით წადი. — მშვიდად მიუგო.

ღანდს ერთხანს სმა აღარ ამოუღია, ბებუთი ქარქაშში შეინახა.

ვანლიშს მოთმინება დაეკარგა. „ამდენ სანს ხად არიხო“, თქვა, ფანარი აიღო  
და საბძლის შემოვლა დაიწყო. შენობაში ფანარის სხივებიც შეიპარა.

— დაფიქრდი, თურანბეგ, კარებს არ დაგვიქსავ. ყარაულიც მოვიდა, მარა  
გაპეტყვი. წავედი.

ღანდი შიგნიდან კარებს ფრთხილად შიამწვა, ყვრო არ წამექცევსო, ოდნავ  
გააღო, და სანამ ნიაზი შენობას შემოუვლიდა, გარეთ გავიდა, ისევ მოხურა და  
ერთხანს ზურგით მიეყვრდნო.

ამასობაში კარებს ნიაზი მიუახლოვდა.

— სელამ ალექიქუმ! — მიესალმა.

— ალექიქუმ სალამ! — უპასუხა დამხდურმა.



— საყარაულო მივიტოვებია, — უსაყვედურა ნიაზმა.

— წყლის დასაქცევად ვიყავი, — თქვა თან, — პატიმარი ვერსად გაგაქცევინებენ წამოდი, ჩაიბარე.

ყვრო გვერდზე გასწია, კარები გააღო და ვანლიშს საბძელში შეუძღვა. ფან-რით განათდა საპატიორო.

თურანბეგი მიწაზე დაგებულ თივაზე იჯდა. იქვე ჰქონდა ჭიქა წყალი, მჭადის ნატეხი და ყველი. გვერდით დატყეპილი ფალიოსი იდო. ყარაულების შესვლაზე ნელა წამოდგა. გულზე ორივე ხელი მიიღო, თავი ოდნავ დახარა და მიესალმა. ნიაზმა ფანარი ზევით ასწია, კედლებსაკენ მიმოატარა, მერე მათ უხმოვად გასწიეს კარებისაკენ და გარეთ გავიდნენ.

ყარაულმა კარები მიუჯახუნა, ბოქლომიც სმაურით ჩაკეტა, ყვრო კარებზე მიყვდა, მაგრად მიაწვა, გასაღები ვანლიშს გადასცა.

— შენობის უკანა მხარეს ყური ათხოვე, მორი მოშვებულია და იქედან არ გაგეპქვს — ღურადამ დაარიგა ყარაული და დაემშვიდობა.

ნიაზი ისევ იმ ხესთან მივიდა და ჩამოჯდა აქედან კარგად ჩანს საბძელის კარები.

პატიმარი კედელს მიაწყდა, ჭუჭრუტანიდან გაიხედა. ის კარგად ხედავდა ფანარსაც და ყარაულსაც. კარებს მიუახლოვდა, უნდოდა მისწოლოდა, მაგრამ უკან მობრუნდა. დიდხანს შუა საბძელში იდგა და ფიქრობდა, შემდეგ ისევ ჩამოჯდა, წყალი მოსვა. ერთხანს ასე იყო, ჭუჭრუტანიდან შემოსული ფანარის სხივი ძაფივით იყო გაბმული საბძელში და მეორე მხარეს კედლის მორზე ეცემოდა. თურანბეგი სიმიინდის კაკლის ოდენა სხივს მიაშტერდა, ცოტა ხნის შემდეგ შუქმა კედელზე მოძრაობა დაიწყო. პატიმარი კვლავ წამოხტა და ჭუჭრუტანას ეცა. ხიახი წამომდგარიყო და საბძელის შემოსავლელად მიემართებოდა. როგორც კი ყარაული შენობას უკან მოექცა, თურანბეგი კარებს მივარდა და მიაწვა. ჰარი ვაიღო. პატიმარი გავიდა, კარი კვლავ მოსურა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ნიაზი მობრუნდა, კარები შეათვალიერა, კვლავ თავისი ადგილი მონახა და ჩამოჯდა. ერთხანს ასე იყო. საკმაოდ აგრილდა. ყარაულმა ორივე ხელი ჯიბეში ჩაიწყო, ქურქი შემოიკეცა და გაირინდა. მარჯვენა ხელი ჯიბეში ცივ კლიტეს მოხვდა, მოწრდილი რკინა ხელში მომუჭა, მერე რატომღაც წამოდგა, კარებთან მივიდა, კლიტე ამოიღო და ბოქლომს მოარგო, თითქოს მის ვადებას აპირებდა, ბოქლომი ღია იყო. „არ ჩაუკეტია, მაგ მამაცნონებულს“ — თქვა და გასაღების გადაბრუნება დაპირა, მაგრამ შედგა, შემფოთება დაეტყო, სწრაფად სიხკენ გაბრუნდა, ფანარი ჩამოიღო, საბძელთან მივიდა და მკვეთრი მოძრაობით კარები გააღო, საბძელი ცარიელი იყო.

ნიაზს ელდა ეცა. გარეთ გამოვიდა, ერთხანს გაოგნებული იდგა. მხარზე თოფი შეისწორა; კონდასს ხელი მოუჭირა, თითქოს უნდა მოამტერიოსო. „მიდილატა ღურადა მამამადლო“, ლაზურად თქვა. მერე გონება აამოქმედა.

„ემრულასთან მივიდე და აუუსნა ყველაფერი?“ — გაიფიქრა. „არა! იქ არ მივალ. სანამ ვაიგებენ, შეიძლება დავეწიო გველის მოდგმას. პო, მე თვითონ უნდა ვაუუსწორდე“.

ფანარი ხეზე დატოვა და მოკლე ბილიკით მდინარისაკენ დაეშვა.

\* \* \*

შარაგზა სულ მდინარე იმერსევის ნაპირს მიყვება, ხან მდინარეს გაუსწორდება, ხან ზევით აიწივს ხეობებისაკენ. უმთვარო ღამეს კაშკაშა ვარსკვლავები ანათე-

ბუნ. ვაზაზე ორნი მიდიან ზუშად, უხმოდ. მათი ფეხის სმაც კი არ იხმის. წინ რა-სტაგაიანე მიდის, სოგუკერ ბილიკს გადაუხვევებს და მათის ოღაბაში დაწინაურ-დება.

ერთგან აღმართს მიაღვნენ, თითქმის წახვევარი საათი იხე იარეს, მდინარე ქვემოთ დარჩა. მგზავრები დაბურულ ტყეში შევიდნენ. ღურაღამ ერთი მიიხედ-ძონხელა, წელიდან დამბაჩა იძრო და სეშართა, თანამგზავრი მოულოდნელად მობრუნდა.

— მოვეჩვენა რამე? — შევკითხა. ოღაბაში დამბაჩა ძირს დაუშვა.

— სიფრთხილეს თავი არ ტყავა, ჩანმასი გავსინჯე. — თქვა და იარადი კვლავ წელში ვაიპოვო.

ტყე უფრო და უფრო დაბურული გახდა, ახლა ვარსკვლავებაც აღარ მო-ჩანს, საღიდან იმერსუკის მსუილი არღვევს დამის მვედროებას. ავერ წიფლის ტოტსე ფრინველი შეფრთქილდა. ოღაბაში ძირს დაიხარა და მოწრდილი ქვა აიღო ხელში.

— არ ესროლო! — გააფრთხილა ისლამში იხე, რომ უკან არც მობრუნებულა.

— არა! — რაღაც არადაამიანურად გამოხატვა კბილებიდან დურაღამ, ორი მვედროი ნაბიჯი ვაკეთა თანამგზავრისაკენ და მთელი ძალით ქვა თავში ჩახსცხო. რასტაგანიძემ შემოტრუნება სცადა, მაგრამ ვეღარ შეძლო და მოჭრილ სესა-ვით შარაზე გაიშლართა. ღურაღამ მის უბეს ეცა. მუშამაში შეხვეული საგანი თავის უბეში გადაიტანა, წაქცეულს მხრებში შეუჯდა, გზიდან გადაათრია, ბუნქე-ბში შემალა. თვითონ გზაზე ამოვიდა, ტანსაცმელი დაიფერთხა და გზას გაუყვა.

გაიფავა თუ არა, ტყვეც გათავდა. გზაზე საეხე მთუარის შუქი ანათებს. უცებ ოღაბაში შედგა, შარავნის წვეთ ახტა და ბუნქებში ჩაიმაღა. მისკენ კაცი მო-დიოდა, ფეხჩქარა, ქოშინით მოუახლოვდა ღურაღამს.

„თურანბეგი“, — იცნო ღურაღამ, დამბაჩის ჩანმასი სარტყელიდან ამოუღებ-ლად შეშართა.

— შეჩერდი, თურანბეგი! — შესძახა და გზაზე გადმოხტა.

თურანბეგი შედგა, მხოლოდ თავი მოაბრუნა უხალიზოდ, თითქოს ტანი კვლავ წინ გაწევას აპირებდო. ოღაბაში ახლოს მივიდა და ხახეში მიაშტერდა. მის თვა-ლებში სიფრთხილევც იყო, დაცინვაც.

— დამიჯერე?

— ჰო, — ანგარიშმიუცემლად უპასუხა თურანბეგმა.

— ღვივეიანე. მეორე აღარ არის. ახალი ცოდვის ჩადენა აღარ დაგჭირდა, მა-რტომ ვიკისრე, — დვარძლიანად ამოღერდა ოღაბაში.

— ხალ არის ისლამი? — იკითხა თურანბეგმა.

— იმ ღუნიას.

ახლაღა მობრუნდა მთელი ტანით თურანბეგი. ადგილიდან ვეფხვევით ახტა და ორივე ხელით წელში ჩაეჭიდა ღურაღამს.

იმან იარაღზე იტაცა ხელი; დახრჩობის შიშმა თუ თავის გადარჩენის ინ-ტინქტმა ძალა შემატა, დაიხარა და თავი მთელი ძალით თურანბეგს ხახეში ამ-ვერა. ორივენი წაიქცნენ და შარაზე გაგორდნენ. ხან ერთი მოექცეოდა წემოდან და ხან მეორე. ერთი დამბაჩის შეშართვას აპირებს, მეორე ხელს უშლის. დიდ-ხანს გაგრძელდა ბლარძუნი და დმუილი. შეჭიდებულნი წამოღვნენ. პატიმრობას თავისი გაუტანია: თურანბეგს დაღლა დაეტყო. ოღაბაში მარჯვენა ხელი გაითა-ვისუფლა, მთელი ძალით მოიქნია და კისერზე მოარტყა. თურანბეგი გვერდზე ვადავარდა. ღურაღამ დამბაჩა იძრო და წაქცეულს მუცელზე ფეხით შეღვა.

— აღარ წამოღვე. დიდი ხანია ელოდები და ახლა მოკვდები!

თურანბეგმა სული მოითქვა.

— შენგაი სიკვდილი ცოდვებისაგან გამათავისუფლებს. შენ შენივე <sup>სიკვდილის</sup> მტერთა საო, ვერაგა. სურათად, თაღას უცდი, დურადა გკლდაპალო!

— სროლას კიდევ მოეახსრება. ვერ უნდა გელაპარაკო. ნეშთან ერთად რომ წამოხვლიყვავ, ხე სონის ვაგდელულო, თურმე ანლა მე ვიქნებოდი ქვით თავგა-ტეხილი.

— იქნებოდი და ახლაც იქნები! — ისე შეუძახა თურანბეგმა, რომ ოდაბაში შეცბა და ფეხი წაქცეული სხეულიდან ძირს დაუშვა. თურანბეგი ელვის სისწრაფით წამოხტა და მოშუჭული ხელით რაღაც წვერიანი ზაგანი დურადას თვალში აყავა. ოდაბაშის დაბლაველება და დამბაშის გახროლა ერთი იყო.

თურანბეგი უკუიქცა. მკვრიდიდან სისხლმა ამოხეთქა... მერე თითქოს დაიწრია და მიწწმარდა.

— კვალი ზომ დაგამწნიე, დურადა ვირიშვილო!..

ამის თქმაღა მოახწრო.

ოდაბაშს ცალ ხელში დამბაშა უჭირავს, მეორე ხელი თვალზე შემოუსაღტია. თითებში სისხლი მოყოწვავს. ერთი კიდევ შეიდრინა, თურანბეგის სხეულს ფეხი ქვემოდან ამოღო, უბიძგა და ხევი გადამწხა. შემდეგ მობრუნდა და ბარბაციით გზას ვაუყუვა.

— შეხდექ! — გაიხმა სმა.

დურადამ გაიხედა. მის წინ ნიაზ ვანლიში იდგა. სასხლეტზე თითის შეტოკება იყო ნაჭერთა და ოდაბაშიც გათავდებოდა.

— დაუშვი დამბაშა! — უბრძანა ლაზმა.

დამბაშა ძირს დავარდა. თვითონაც არაქათგამოცლილი ჩაიკვცა.

— ხად არის რასტაგანიძე? — დასჭყვილა ვანლიშმა.

— თოღვომს გაღმა ტყეში, დიდი ცაცხვის ქვეშ, ბამგარში.

— წერილიც ამოართვი, ზომ?

ოდაბაშმა ცალი ხელი უბიხაკენ წაიღო. ნიაზმა არ აცალა, ხაკინძის ერთი დიდი მოგლიჯა, წერილი ამოიღო და ზანჯლის ყელში ჩააცურა. დურადას ხელები ზურგს უკან გაუკრა, წინ გაიგდო და ტყისაკენ გასწია.

\* \* \*

რასტაგანიძეს სახეზე წვალი ასხურა ნიაზმა. იგი ერთი შეკრთა და თვალი მოახნილა, წამოდგომაც სცადა, მაგრამ ნიაზმა არ დაანება. არაფერი ასსოვდა. ცოტა სწის შემდეგ ვანლიში მხრებში შეუდგა და გზაზე აიყვანა.

— ანლო სოფელი რომელია? — კითხა ლაზმა ისლამს.

— ვაზისხევიში გავიდეთ, აბესლამიძესთან, ბიძა ჩემი.

თავებრახვეული და ხელებგაკრული ოდაბაში მირზა აბესლამიძეს ჩააბარეს, ემრულასთან აიყვანეს.

— იოტა მიხედვა უნდა, — გააფრთხილა მასპინძელი ვანლიშმა, — თვალი აქვს გამოაწრელი. ისლამს წერილობა მობანეს, შეუხვიეს, ცოტა დანაყრდნენ, წაიძინეს, გამოთნისას მასპინძლის ცხენებზე შესხდნენ და არტანუჯისაკენ გასწიეს.

\* \* \*

— თურანბეგის კვალს ვერ მივაკვლიეთ. — ამბობს ენვერი, — სოფლებში გვეგონა დამალული, ვეძებეთ, კიდევ, მარა ისე გაეს, ახლა ლაზეთში გადაგვასწრო. გამიშვი, იქაც დავძებნი.

ვმწრულა უხალისოდ უხმენს. მეგობარს ზურგი შეაქცია და ხარკმელთან მივი-

და რაღაც მოწვენილობას ამჩნევენ პოლო დროს შეგობრები, მაგრამ კითხვას  
ერიდებიან. თურანბეგის უცნაური გაქრობით ხსნიან ბიჭები შეთაურის ენახვეთში  
ცვლილებას. 8000000000

— გამიშვებ? — ისეუ შეეკითხა ენვერი.

ემრულა ძვეთრად ძოტრიალდა.

— ამ საქმეში არავინ მჭირდება! — სმამაღლა მოუვიდა ნათქვამი მაღაყმაძეს.

— თურანბეგს მე თვითონ მოენახავ და გაუუსწორდები.

ენვერი წამოხტა, აიშრინა.

— შეიძლება მე საერთოდ აღარ გჭირდები. — წყენაც და სიბრანეც ამოაყო-  
ლა ნათქვამს მახაჭამემ. — ამას მეც ვამჩნევ, ემრულავ.

პასუხს აღარ დაელოდა და გარეთ გავარდა.

ემრულამ მშვიდად გააყოლა თვალ.

— რა მოხდის ამ ბიჭს? — ბურანს შეეკითხა.

— აღარაფერს მავალებსო, ნაწყენია, წერილი მე რატომ არ გამატანაო, არ  
მენდობაო, — ჩემთან წამოცდა.

ემრულამ ერთხანს იფუნა. თავი ჩაღუნა.

— ეუფრთხილდები მაგას. ისე თქვენ არ ეიფრთხილდებით. არ მინდა სიფა-  
თში ჩავადლო. ამ ტყე-ღრეში პირველად მაგასთან ერთად გავედი. შენ სომ იცი,  
მაგის რა ვალი მაქვს და მაგასთან რამ დამამეგობრა. — გული გაღაუშალა ვმ-  
რულამ.

— ვიცი, — თქვა ბურანმა, — მარა რახან ეწყინა, მაინც უნდა გაგვეზავნა  
არტანუჯში.

— მეგონა, თურანბეგს გაღაყვრებოდა. შენც სომ ახლდი, სულო? — მიმართა  
მესემიძეს.

— ჰო, — უპასუხა სულომ. — ბევრი ვეძებეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა.  
არჩვეთის ტყის ბოლოს ყვაე-ყორნის უივილმა გაგვიტყუა. მდინარის პირას ჩავე-  
დით. სახელაკორტნილი კაცის ღეში ვნახეთ. ვერ გამოვიცანიო, ტანსაცმელიც  
ღაგლეჯილ-შემომარცვული ჰქონდა. იქვე მივაბარეთ. სეღში აი ეს ჰქონდა დამუ-  
ჭული.

ემრულა მობრუნდა, სულოს სეღისგულზე წვეწამასული გაუსროლედი მას-  
რა ელო.

მაღაყმაძემ გამოართვა და შეათვალღერა.

— ენვერს გახმახე, მოვიდეს.

სულო სწრაფად გარეთ გავიდა. რამდენიმეჯერ დაიძახა, ესოც შემოიარა, მა-  
გრამ ენვერის ასავალ-დასავალს ვეღარ მიაგნო. სადგომში დაბრუნდა.

— ეზოში აღარც ენვერია და აღარც მისი ცხენი.

— მაგი დამბრუნებელი აღარ არის. — თქვა ირემამემ.

— სად წავიღოდა? — იკითხა ემრულამ.

— ვინ იცის. შეიძლება, თავისით გაიქცა თურანბეგის სამეზნელად.

მაღაყმაძემ კიდევ ერთჯერ შეათამაშა სეღში გაუსროლედი მასრა, შემდეგ  
სარკმელთან შემოღო.

— თურანბეგის ძებნა აღარ არის საჭირო. — ჩაილაპარაკა ისე, რომ სარკ-  
მელს აღარ მოშორებია.

ბიჭებმა მზერა მასრაზე გადაიტანეს.

— მდინარესთან თურანბეგი მიგიბარებიათ. — სულოს ვახაგონად თქვა კუთ-  
ხეში მჯღომამ ირემამემ.

— დურაღასაც თვალი იმან გამოთხარა?

— ჰო. საბეგლიდან პირდაპირ ოღაბაშს გამოიკიდებია.



— ცოდვამონანიებული კაცი დავეიმარსავს არჩევთის ბოლოს.  
 ემრულა მათ საუბარში არ ჩაერია.  
 — ბურჯანოლინთან წასვლა დავაგვიანეთ. — შეახსენა მეთაურს ირემმაძემ.  
 — ჰო,— ფიქრებიდან გამოერეკვა ემრულა, — მაგისტრის ვილას ეცალა, მაგრამ  
 არც წაუსვლელობა იქნება. შენ უნდა წახვიდე.  
 — შე, მარტო? — გაიკვირვა ირემმაძემ.  
 — შენ მარტო, — გაუძეორა ემრულამ.— პირდაპირ ნაქილისვართან მიდის, და-  
 ათვალე რე, ქვეები თუ არის ადგილზე. თუ არ არის... — სულოს შეხვდა, თით-  
 ქო მისგან მოვლოდაო საბოლოო გადაწყვეტილებას.  
 — ბურჯანოლინი ისეთი ოხერია, ქვეებს არ დაბრუნებდა, — დარწმუნებით  
 თქვა სულამ. — მივიდეთ ჩვენ თვითონ, დავუნგრეთოთ ბალავარი და ქვეებიც გად-  
 მოვზიდოთ.  
 — არ ივარგებს, — თქვა ემრულამ, — ბურჯანოლინი უნდა დავსაჯოთ. ყვე-  
 ლაზე დიდი სახველი იქნება...  
 — მისივე ხელით დაანგრიოს ბალავარი და თვითონვე გადმოზიდოს ქვეები-  
 — დაამთავრა მეთაურის სათქმელი ირემმაძემ.  
 ემრულამ რაღაცა დაწერა.  
 — აი ეს წერილი სოფლის მუსტარს გადაეცი. — უთხრა მალაყმაძემ ბურჯანს,  
 ქალაქი ორად გადაეცა და გადასცა.

\* \* \*

სასო ბურჯანოლინი კარგ სასიამოვნო იყო არტაქსანიდან დაბრუნებულმა მენა-  
 ხირემ უთხრა, ცხვარი და ბატკნები უკლებლივ ჩამოვიყვანეთ. ოჯახის უფროსმა  
 ახლად ამოშენებულ ბალავარს გადასცა და ის იყო, სასლში შესვლას აპირებდა,  
 რომ შარაზე ცხენოსანი შენიშნა. იგი თავაწყვეტილი მოაჭვენებდა ბედაურს. „ვინ  
 უნდა იყოს?“ — გაფიქრა სასომ და შედგა. მხედარი პირდაპირ მისი ვზოსაკენ  
 მიდიოდა. არ მოეწონა ამ სისხამ დილით სტუმრობა. ამასობაში მხედარი ღობეს  
 მიუახლოვდა და ჩამოსტა. სასომ იცნო მოხული.  
 — რა ამბავია, მამულავ, სომ მშვიდობაა?  
 მამულამ ავშარა ხარზე ჩამოაცვა და ეზოში შემოვიდა.  
 — არც თლათ მშვიდობაა, სასოვ. წუსელი მენახირემ როგორც კი ჩიხში  
 შემორეკა საქონელი, თვითონ თქვენთან წამოვიდა. დაწოლისხანს ერთჯერ კიდევ  
 დავსედე ცხვარს, მშვიდად იყვნენ. შუალამეზე რაღაც ხმა მომესმა, ვიფიქრე,  
 მგელი არ იყოს-მეთქი, გარეთ გავედი. ჩიხის კარი ღია იყო, ცხვარი მეცოტავა-  
 დავთვალე, ოთხი თავი აკლდა.  
 ბურჯანოლინი ენაჩავარდნილი უსშენდა.  
 — ღმერთმა გვეითხა, სასოვ, — თქვა ბალკონზე გამოსულმა ცოლმა.  
 — გაწუმდი, ქალო! — იყვირა სასომ, — მერე რა ქენი, ბიჭო — მიმართა  
 მამულას.  
 — რა უნდა შექნა. ვაგვარდი ხარინაირის დღელში, ჩამიჩუმი არ იხმოდა.  
 წიფლებთან მივედი, რას ნახავ, მარტო გახრული ძვლები ყრია, — თქვა მამუ-  
 ლამ, ხელები უმწეოდ გაასავსავა და თავი ჩაქინდრა.  
 სასო ერთხანს მუნჯივით იყო.  
 — რაღა ჩემი ცხვარი დაგლიჯეს? — ანგარიშმიუცემლად ცოლს შეხვდა.  
 იმასაც ვეონა, შე მეკითხებაო.  
 — ღმერთმა გვეითხა, სასოვ. — გაიმეორა ცოლმა.



— არ გაბუცდები, შე ძაღლისშვილო! — იღრიალა ხასომ.

— არ გაბუცდები, — სიტყვა შეუბრუნა ცოლმა. — ღმერთის ყველას გვეგშინოდეს.

— ღმერთი პაღ სწამს მაგ უამურს, რძალო, რაც ეს პლაკები მოათრია, იმის შემდეგ ჩვენს სახლში სიმშვიდე აღარ არის. — ხასოს მოხუცი დედაც გამოსულიყო აიფანსე.

ხასომ დედასაც შეუბღვირა.

— ქალები რომ იწყობთ უმფთობას, იმიტომაა კარგად საქმე. — ოღნავ მობილდა პურჯანოღლი.

— ქალებს ნუ მუხსმენ, ხასოვ — ურჩია მამულამ.

— რაფერ ნუ მოგვისმენს, შვილო. არ გახსოვს, მაგ ნაქილისვარიდან ტარიელამდე რომ წვიღო ბუნის ქვა და მეთრე დღეს წყალში დეისინო? ოსოს ბადემა მაქ ძროხებზე შერევა, სუყველა რომ დეისოცა, თვითონაც უნდომად შეიქნა, დაგაიწყდა?

— ჩვენ ასლა ცხვარი დავკარგეთ, ხვალ უარესი დავგვემართება. — კვერი დაუკრა რძაღმა.

ხასო სახლში შევიდა, ხასწრაფოდ გადაიცივა, რძაღ-დედაბოილს სიტყვა მიუგო, „სახლში ხვალ დაბრუნდებით“, მამულას რაღაც გააღულაპარაკა და მასთან ერთად ეზოდან გავიდა.

შუალამზე ქალები ეზოში ცამეტობდნენ წლის ბიჭთან ერთად წარწერაან ქვას ეჭიდებოდნენ. დიდი წვალეებით ქვა მარხილზე შეაგდეს და ნაქილისვარისაკენ გააცურეს.

— ხვალ რომ დაბრუნდება, რა უუთხრათ, ნენი? — ეკითხება რძაღი.

— არაფერი. ჩვენ არ ვიცით, ვინ წვიღოვო.

— დაგვიჯერებს?

— ნუ დაგვიჯერებს, ცოლვაც მის კისერზე იყო.

— ამათი მეშინია, — ბავშვებზე მიუთითა რძაღმა, — ღმერთმა ამათსე არ მკითხოს. — თქვა და მარხილს მთელი ძალით მიაწვა.

— ამას რასაც ვაკეთებთ, ღმერთი ხედავს, ნუ გეშინია, — დაამშვიდა დედაბოილმა.

ქვა ადგილზე მიიტანეს, მარხილი კარაპანში შეაგდეს და სახლში ავიდნენ.

გამთენიისას ხასოც დაბრუნდა. უგუნებოდ იყო. დასაწოლად მოემშალა.

დედაბოილს თხის ტყავზე იჯდა და ლოცულობდა.

— არ დაწვე, ხასოვ. აქ მოდი რაცხა უნდა ვითხრა.

ბურჯანოღლი სექვსე ჩამოჯდა.

— სიხმარი ვნახე წუსვლის, — იცრუა დეღამ, — დემესნიშრა ვიღაცა ჭერიდან მეღაპარაკებოლა კაცის ხმით, რომ შევსედე, თავი ცხვარის ქონდა, ქიებიანდ რამდენ ქვასაც წვიღებ ნაქილისვარიდან, იმდენ ცხვარს ავართუამო, მითხრა, შე ვარ ასლა თქვენი ცხვრების პატრონიო.

— შრიყვები ხართ! — იყვირა ხასომ და ლოგინისაკენ გასწია, მაგრამ ამ დროს გარეთ ვიღაცამ დაიძახა.

მუხტარი იყო.

შეშოსვლისთანავე ჯიბიდან ორად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა და კითხვა დაიწყო: „მუხტარო! შენს სოფელში ძველ ნაშენ-ნაგებს ოსმალეზმა რომ ვერაფერი უყვებს, ასლა შენი ხალხი აფეთქებს და ანგრევს. თუ ხვალ საღამოს

ბურჯანოვლი ბალავარს არ დაანგრევს და ნაქილისვარზე არ მიიტანს, საკმა  
შენთან და მასთან გვექნება, სამართალს ჩვენ გავაჩენთ.

ემრულა“.

წერილს მრგვალი ბეჭედი ჰქონდა დასმული. ქალაღი კიდეებშემოწერილი  
იყო. ეს მკაცრ შურისძიებას ნიშნავდა.

ხალხმა ვერ იწამა ხასწაულიც, ღმერთის ძალაც. ახლა ამ რწმენას იმერზე-  
ვის სოფელ დიობანიდან გავარდნილი აბრაგის, ემრულა მალაფმობის მუქარაც  
დაემატა.

— სად იყო ეს წერილი? — იკითხა ხასომ

— უცნობმა კაცმა მომიტანა, — თქვა მუსტარმა და დაუმატა, — შენ ხასლი  
აშენო, ხასოვ და მე ემრულამ ყურშური შესროლოს, რაფერ უნდა იცხოვრო იმ  
ხასლში?

— ემრულაი არც ამას დააფრის ზეირს. — თქვა დედამისმა — ვერ ზედავ,  
რას იწერება?

ბურჯანოვლიმ თავი მხარში ჩარგო.

მეორე დღეს, გათენებამდე, ხასომ ოთხი ქვა მოანგრია ბალავარს და მარტომ,  
სხვის დაუსმარებლად ნაეკლესიარზე მიიტანა.

შიშს ვერ გაუბლეს ბურჯანოვლებმა და მეზობლებსაც შეატყობინეს. მამაკა-  
ცებმა თავი მოიფარეს. ბექსია სოლომონიძეს პატრონზე აღარც უკითხავს, ბალა-  
ვარი ისე დაანგრია. ქვები ნაეკლესიარზე მოწიდეს, თავთავის აღვილას დააწუვეს,  
კედელიც გაამაგრეს, იქაურობა გაწმინდეს და ფიცა დადეს, არც ჩვენ შევეზებით  
და დასანგრევად არც ვინმეს მივუშვებთო.

(გაგრძელება იქნება)



იმ დღეთა მახსენება

ოცდახუთი

ოცდახუთი იყო,  
 ოცდახუთი კენტად...  
 და ჰხურავდათ კიდევ  
 ვაჟკაცურად ქული,  
 სიყვარულს და ლუკმას  
 მარად ყოფდნენ ერთად:  
 ყველა ერთისათვის,  
 ყველასათვის ერთი.  
 ოცდახუთი კენტად,  
 სწორედ, ოცდახუთი...  
 დუღუნებდა ბუგი,  
 დუღუნებდა ნელა.  
 ნაირფერი შუქით  
 ჩანდა ცისარტყელა.  
 გაზაფხული იდგა,  
 გაზაფხული მაშინ,  
 მწვანე სამოსს შლიდა  
 ბარშიაც და მთაშიც  
 და თავს გვაწონებდა  
 მგალობელი შაშვი.  
 გაზაფხული იდგა,  
 გაზაფხული მაშინ,  
 ...ციტ გაისმა გრგვინვა  
 და გაუარდა მეხი...  
 და ვაიგო ყველამ  
 რად წაიქცა ვერხვი:  
 ოცდახუთი ნომქე,  
 ოცდახუთი გემირი,  
 აეფარა მკერდით  
 საზღვარს, როგორც ფარი,  
 რომ არ შემოეღო

დუშმანს რკინის კარი,  
 ომში ასე ხდება.  
 ფრთებს შლის შლევი ქარი,  
 მავთულების ჟღერა  
 ტყვიის ზუზუნს ერთვის.  
 ოცდახუთი ჩემს წინ  
 სჩანს დაცხრილულ მკერდით,  
 რას ნოითხოვს ნეტავ,  
 სულთმობრძავი ერთი?  
 არაფერი ისმის,  
 ისიც აღარ არის,  
 გმირის ჩანაფიქრალს  
 ახმიანებს ქარი:  
 კაცს სიცოცხლე ერთხელ  
 მიეცემა, ძმაო!  
 სიკვდილისგან ერთხელ  
 დაღონდება მაინც,  
 და სიცოცხლეს შესსას  
 შენვე დასდე ფასი,  
 რომ დიდებად ღირდეს  
 თვითეული წამიც.  
 ...ოცდახუთი იყო  
 ოცდახუთი კენტად,  
 და ჰხურავდათ კიდევ  
 ვაჟკაცურად ქული,  
 სიყვარულს და ლუკმას  
 მარად ყოფდნენ ერთად, —  
 ყველა ერთისათვის,  
 ყველასათვის ერთი, —  
 ოცდახუთი კენტად,  
 სწორედ ოცდახუთი.

(ხალხურ მოტივზე)


ვრივალმა, როგორც მეგზურმა,  
ცეცხლიან გზებზე მატარა,  
ცრემლის წვეთებით ამივსო  
საწუთრო, ბედის მათარა.  
რას იზამ? ჭმუნვით განიშნა:  
ომი ნამდვილად ომია!  
სანგარი გამაჭრევიანა,  
საფლაუი გამაზოძია.  
მწყურვალს და ბაგე გამშრალსა  
მიწა რომ დამაკოცნია,  
სანთლად ამინთო ჩინარი  
სამშობლო დამალოცნია.  
არ შემახვეუნა წაწითაც,  
არც შეისმინა მან არა,  
ასე, მატარა, მატარა,  
და ცხრა მთა გადამატარა.  
წინ ცხრა მაისი შემომხვდა,  
და გამარჯვება მახარა.

ქროლევით დაჰქონდათ  
შრაპნელებს ელდა  
და შემზარავად  
წიოდნენ ქარში,  
ვზის პირას მტრისგან  
განგმირულ დედას  
სისხლიან მკერდზე  
ეკვროდა ბავშვი.  
არ მტოდნეს ომის,  
სუსტსა და უძლურს, —  
როდი ესმოდა  
მადლი და ცოდვა,  
ზელის სავსავით  
ეპოვნა ბუძუ  
და მკერდსმიკრული  
მძინარე წოვდა.

ქრის ნიაექარი...  
ფრთების ნარნარით  
ხალდაც ინქარის  
... თეთრი თოლია.  
იქნება გულის თანაზიარი  
ცელქრა ნიაემა

აივოლია!

ირწევა პალმა,  
შუქმოცემციმე,  
თავზე ევლებს  
სხაყთა არილი,  
მის ფოთლებიდან  
მზე შემოგცინებს,  
სანაპიროზე  
როცა ჩაივლი.  
და ზიბლავს ასულს  
შავი ზღვის პირი,  
ეს სილამაზე,  
მზე და ზაფხული, —  
რომ მოვინება  
ორმოცდართის  
გულზე არ ჰქონდეს  
შემოხლართული.  
ეავლას!  
მზეჭაბუკს  
ზღვის ფსკერზე სძინავს,  
და სარეცელი  
ამშვენებს ბროლის.  
სატრფოს თავის ცრემლს  
ამაოდ სწირავს,  
აღარ ამოდის  
გულიდან ომი.



## ს ა მ ა ნ ე ლ ა

უკრაინულიდან თარგმნილი ეს ნოველა პოლტავაში მცხოვრები შწერლის ოლეს იურენკოს კალამს ეკუთვნის, იგი ავტორმა სპეციალურად ჩვენს ჟურნალს ვამოუგზავნა.

ისე მეჩვენებოდა, თითქოს ამ კვლზე ყველა თავთავი დამწვარიყო. ვეფხვს ოდენ შავი ნამწვი და ფერფლი ეფინა და იყო გაშავებული, თითქოს ვიდაცამ სახნისით კვალი ვაავლო. წინა საზზე ხანგარს გარდა ღოჩანდა თინით შემოზღუდული ორმოები — ისე ყვითელი, თითქოს არც ფოთლები დასცვივდაო... ის დღე იყო, როცა ღვება ღრუბლებიდან უეცრად ჩამოცვივდა ავიაყუმბარები, ხოლო ტირიფის კორომიდან ჰაუბიცებმა დაიკრიბა. კვამლსა და მტვერში გახვეული მცენარეები დიდხანს ტრიალებდნენ ჰაერში, ხოლო მსუბუქ ნიაგს არ შეეძლო ოჩის სიმყარლის გაფანტვა... იმ დღეს მზე არ ჩანდა. დარტყმა იმდენად სწრაფი იყო, რომ ფაშისტების დივიზიის ერთი ბატალიონი უკანდაუხვევლად განადგურდა...

მკვდარ კვლზე მეჭვემეხე ვიაჩესლავ ბაკალოვიც მოვიდა. მან კარგად იცის თავისი საქმე. ბუნებამ, გარდა ცისფერი მახვილი თვალისა, რაღაც არაჩვეულებრივი უშფოთველი სიხარულის გრძნობაც მოამადლა. გააფთრებული ბრძოლის დროსაც კი შეეძლო მადლა, ცაში ტოროლას დანახვა. ის კი არა, ნექტარისათვის ყვავილიდან ყვავილზე გადაფრენილ ფუტკარსაც შეამჩნევდა ხოლმე.

მამის სახელით არავინ მიმართავდა, სლავკას ან სლავას ეძახდნენ. ზურგჩანთიდან სამგზავრო ალბომს რომ ამოიღებდა, მეგობრები უძალდ გარს შემოეხვეოდნენ და ეხვეწებოდნენ, დავეხატე ისტორიისაოვისო. საერთოდ, ასეთ შესანიშნავ დღეებში, როგორც დღევანდელი დღე იყო, როცა მტრის ბატალიონი ნაცარტუტად აქციეს და ბერლინისაკენ მიმავალი გზა შემოკლდა, რატომღაც ყველას უნდოდა ამ ისტორიულ ალბომში მოხვედრილიყო. და სლავკაც არავის ეუბნებოდა უარს. ფანქრის რამდენიმე მოსმა და ყველა ცნობილობდა თავის თავს: ან თვალით, რომელშიც გამარჯვების სიხარული ბრწყინავდა, ან ტუჩებით, რომლებიც სიამაფით აბურცულიყვნენ — „ხომ დაგიფრინეთ!“, ან ქოჩორში გაყრილი ხუთივე თითით, თითქოს იძახის: „აი დედასა!“ ერთი სიტყვით, ივანე ივანეს ჰგავდა, პეტრე — პეტრეს! ხანდახან სლავკა მეტად უხვი და პატივისმცნველი იყო. ასეთ დროს ზურგჩანთიდან ალბომის ნაცვლად პატარა ვატმანის ფუ-

რცლებს ამოიღებდა ხოლმე და ხატავდა პორტრეტებს, რომლებსაც ვადა-  
ჭკრავდა ირონია, სუმრობა.

აჰა, მარინეს გაუგზავნე, — მიუბრუნდებოდა ხოლმე ჩეგობარს, რო-  
მელიც ეს-ეს არის დახატა.

— მარინე არ ჰქვია, — უხერხულად აიჩინდა მხარს მეგობარი.

— მაშ, ოლგას.

— არც ოლგა. ქსენია ჰქვია.

— ქსენია?

— ძალიან კარგი, მალე სლესარენკო გამხდარიყოს.

— თუ დაძვლოდება...

— დაძვლოდება! ასეთ გვარდიელს უარს როგორ ეტყვის. სომ დაიწვა  
სირცხვილით!

სლავკა სურათს გაუწოდებს და ვინც პირველად დაინახავს მის სახეს,  
ხარხარებს. მერე სიცილი ვველას გადაედება და ვიღაცა ურჩევს:

— ვლობა, არ გაგზავნო, ისტორიას შეუნახე...

უცებ ნარმარ ველზე ბავშვების ყივილ-ხივილი გაისმა. სლავკამ ზოი-  
ხედა და მაშინვე ბავშვებისაკენ გაიქცა.

სოფლის განაპირას, სადაც გადაშავებული ველი იწყებოდა, აღუბლას  
ხალში, რომელსაც დიდი ხანია ერთი მარცვლიც არ გამოუსხამს, იღვა  
მსხვილკალიბრიანი ვერძანული ქვემეხი, რომლის ყირაფის კისერივით  
გრძელი ღულა მიმართული იყო აღმოსავლეთით, მზისაკენ, იმათკენ, ვინც  
სამუდამოდ დაადუნა იგი!

ღულაზე თოკი მიებათ, რომელიც ფიცარს იმაგრებდა. საქანელა! ნა-  
წდვილი საქანელა! სლავკამ ეს რომ დაინახა, ტაშიც კი შემოჰკრა.

საქანელასთან ბავშვები ფუსფუსებდნენ, მოსწონდათ თავიანთი ნახე-  
ლაგი. ძალიან უხაროდათ, ხმაურობდნენ, როგორც ათავთავებული ყანა ჟუ-  
ჟუნა წვიმაში. სლავკა კი მოშორებით იჯდა ხის გადანაჭერზე და ბავშვე-  
ბის სინარულით ტკებებოდა.

\* \* \*

როგორც კი ომი დამთავრდა, ვიანესლავ ბაკალოვმა ჩვენს მუშათა  
კლუბს აჩუქა თავისი ზღაპრული პანო, რომელსაც „საქანელა“ ერქვა.  
კლუბში რომ შევიდოდი ხოლმე, ყოველთვის ვჩერდებოდი ამ საქანელას-  
თან, რომლისკენაც მუდამ მიმიწევს თვალი, სული და გული. ჭეშმარიტად,  
რა ბედნიერია, ვისაც სიცოცხლე ეღირსა! და კიდევ — რა ბედნიერებაა  
ბავშვობა! ამიტომაც ვდგავარ აქ და ვიხსენებ, როგორ მოხდა ყოველივე...  
ამიტომაც ვფიქრობ: „რა კარგი იქნება გაემართოთ საქანელები პლანეტის  
ყველა კონტინენტზე, — დაე, დედამიწელი ბავშვები გაერთონ! საქანელა  
ხომ ქვემეხი არ არის!“

აგაპი ერთი წიგნისა

ვერც ზურმუხტი შეედრება, ვერც ოქრო და ვერცხლი —  
 წიგნს, ანთებულს წმობელ მიწის სიყვარულის ცეცხლით.  
 წასაკითხად როცა გაშლი, სუყველაფერს იტევს:  
 ირანიდან დაძრულ ლაშქრის აზვაგებულ ზვირთებს,  
 ზღელში დაღწეული ხმლებით — ძველ მესხეთის მკვიდრებს,  
 ცხენთა ფლოქვით გადათქერილ ბიზანტიის მინდვრებს.  
 დაავლევებს წიგნი მერნებს, ხატავს ომებს ფიცხელს,  
 კომეტიებერ გააფლავებს თორელს, ახალციხელს.  
 ძიწა სისხლში იზილება, გრგვინავს ომი ცხარე,  
 სასხლის ტბიდან იმზირება გასისხლული ზთვარე.  
 ვულში ხედება, არ აცდენენ აწივლებულ ისრებს  
 და ფრაზები ანათებენ სვიმონ მეფის ხმლისებერ.  
 კენესის ძიწა ნასისხლარი, ინაცრება ზვრები.  
 შთებად დგება საზიზლარი და ძვირფასი მკვდრები...  
 ყველაფერი ამ წიგნშია, მამულს უძღვრს გზნებით  
 საქართველოს ისტორია — დაწერილი ხმლებით.

ბ ე რ ი კ ა ს ე ბ ი

ერთად ხნავდნენ, ერთად სხლავდნენ, ერთად ჭრიდნენ ხე-ტყვეს,  
 გულითადი მეგობრები პავლია და პეტრე.  
 ძათ ოჯახებს აქ არ აღეწერ, არც ბავშვობას, სიყრმეს,  
 ოთხმოცდაათ წლის რომ გახდნენ, ზე იქიდან ვიწყებ.  
 შეაღებდა პეტრე პაპა პავლეს სახლის კარებს,  
 — მაგ ბუხარზე ვინ მივაბა, გამო ახლა გარეთ!  
 შინ დაკლული ღორი მაქვს და მწვადებს შეეწვავ მალე,  
 ჩემთან რომ არ წამოხვიდე, მეწყინება პავლე!  
 პავლეს ღიმილთ აღდაკრული ეღრციება სახე,  
 — ხად ხარ, ბიჭო, დაკარგული, შენი კუბო ვნახე.  
 რას მიმართე იმ შენს სახლში, გათრობს ერთი ჭიქა,  
 შიშველიბრე ღვინის სმაში, გაგაცალო სიქა!  
 ეს სურათი სხვა სურათით იცვლებოდა მალე:  
 მთორე დღეს პეტრეს კარებს უკაკუნებს პავლე.  
 — წამო ჩემთან, სტუმარი მყავს, ხვანჭკარულით შევეთვრეთ,  
 ახლა შენ რომ უარი თქვა, ხმას არ გაგცემ, პეტრე!  
 თბილ ბუხართან სუფრას უსხდნენ, ჭუკჭუკებდნენ ტკბილად,

კითხულობდნენ — ნეტავ გარეთ ბინდია თუ დილა?  
 უკანჯრებს იქით ტყე ჩანდა და ხეთა ლურჯი ზოლი,  
 ნაძვებს ციდან ბლუჯა-ბლუჯა ევრებოდა თოვლი.  
 დაკორბებულს ჰგავდნენ მუხებს, გადაბელილს წალდით,  
 აფიქრებდი — არ აწუხებთ მათ არაფრის დარდი.

\* \* \*

მოდოდა ცივი თოში ტყის ტოტების ხლეჩით,  
 და ჩაფლული იმ დად თოვლში, შეღები ნახეს ტყეში.  
 მოფელმა კი გალურსულმა იმ თოვლიან ხევეში,  
 ორი კუბო ტყიან მთაზე აიტანა ხვნეშით.  
 ხაფლავს თხრიდნენ, თეთრი თოვლი ვეშაპივით იწვა,  
 ურემანეთში აიზილა თოვლ-ჰყაპი და მიწა.  
 და თქვა ხალხმა, ტკბილად განვლეს ცხოვრების გზა გრძელი,  
 შაგრამ ბოლო ნაბიჯები დარჩა მართლა ძნელი.

\* \* \*

წღვეულს კიდევ გადავხედე ნოხუცების სახლ-კარს.  
 სუფრას, ღვინოს, სახლის კედლებს სხვა ელფერი დაჰკრავს.  
 დაღუმებულ აივანზე დიდხანს ვიდექ მარტო,  
 კედელს ისევ შეჰკვიდია პავლეს შავი პალტო.  
 კვლავ სიმღერა იმის მთაში, ღვინოს ისევ სვამენ,  
 ისევ ღვება ხეობაში გალურსული დამე.  
 თოვლი ტყეებს ისევ პენტავს, ისევ ჭრიან ხე-ტყევს,  
 თბილ ღუმელთან აღარ სხედან პავლია და პეტრე...

### კ მ რ ტ მ ს ი

არც ნარინჯები ამშვენებს,  
 არც ბაღნარები ფორთოხლის,  
 კლდეზე აელვებს ჩანჩქერებს  
 კოხტა სოფელი კორტოხი.  
 ყანები ვულს ახალისებს  
 ნიავის ფრთებზე რწეული,  
 ძირს საკალმაზე წყალი ჩქეფს,  
 ლოდებზე გადაწხვრეული.  
 ბინდი დღის ფერებს რომ წაშლის,  
 დღე ბნელ ტყვერებში მიწვება,  
 აქ აჭარღლის ოჯახში,  
 აკვანი მრავლად ირწევა.  
 წიგვზის ტყეს კადეფინება  
 მთვარის ნაქსოვი მარმაში,

სახლებსაც ჩაეძინებათ  
 დღეების იავნანაში.  
 ბინდბუნდს სიმღერა ანაზებს.  
 დობილს გასძახის დობილი,  
 გოგო ჩაივლის შარაზე  
 ალვისებრ ტანაშოლტილი.  
 ჭიშკართან სულგანაბული  
 ბიჭი ქალს მზერას ადევნებს,  
 მთვარე მადლიდან დაჰყურებს  
 ტელევიზორის ანტენებს.  
 არც ნარინჯები ამშვენებს,  
 არც ბაღნარები ფორთოხლის,  
 კლდეზე აელვებს ჩანჩქერებს  
 კოხტა სოფელი კორტოხი.



აზიკან კილურაძე

# სეინერები ფოქაში ბაჭინ

სეინერის კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ მერაბ რაზუმოვა აჭარის თევზჭერის ფლოტის სამმართველოს კაპიტნის სამსახურში შემიყვანა. გავაფორმეთ სათანადო საბუთები და ეკიპაჟთან დავბრუნდით. ბიჭები მზად იყვნენ. ძრავი ჩართეს და სეინერი წელა მოშორდა ნავმისადგომს.

ბათუმელ მეთევზეებს საკუთარი ნავსადგური არა აქვთ. გემები ხან სავაჭრო ნავსადგურის გემთმისადგომებთან აყენია, ხანაც თევზის ქისაღებ უბანზე. დღეს წყნარი ამინდია და სეინერები ნავსადგურის შესასვლელთან პირდაპირ ნაპირს მიუყვებიან. აუარება პატარ-პატარა გემი დგას და მათ შორის გავლა ჭირს. ჩვენი სეინერის კაპიტანი ივანე მადლიანი კარგა ხანია მივლინებაშია. მის მავიერობას უფროსი თანაშემწე მერაბ რაზუმოვი ეწევა.

ახალგაზრდა კაცია მერაბი. ბათუმის სასწავლებელი აქვს დამთავრებული. მუშაობდა საქართველოს საზღვაო ხანაოსნოს გემებზე. რომ დროჯახდა ერთხანს კიდეც უმაღლიადად მინაურებს, მაგრამ ოცდა პირველი ქალიშვილი შეეძინა, მაშინ კი დაყარა ფარ-ხმალი და შორეულ ცურვას დაანება თავი, მეთევზეებთან გადავიდა საბუთაოდ. მას შემდეგ მუშაობდა და მეთევზის ტვირთს ვაჭკაცურად ეწევა.

სეინერმა, რომლის კიჩოსაც 214 აწერია, ბოდაში დატოვა და გაშლად ზღვაში გავიდა. აქედან, კაპიტნის ხილურიდან, ხელისუფლივით ჩანს ბათუმის შემოგარენი. რეიდზე მღვარ გემებს გვერდი აუარეთ და დასავლეთისაკენ ავიდეთ კურსი.

— თუ თევზი დავიჭირეთ, აი, ამ ტრაულერს ჩავაბარებთ. — მეუბნება მერაბი და განაპირას მდგომ გემზე მიმანიშნებს. ეს ტრაულერი „ვეივილია“, რომელიც მეთევზეთა დასახმარებლად გამოუძახიათ. აჭარის თევზჭერის ფლოტის სამმართველოს საამქროები მოძალდებულ საქმეს ვერ აუდიან. „ვევივილია“ კი სეინერებიდან მოტანილ თევზს პირდაპირ საყინავ საამქროში ღებულობს და ყინავს. მეორე დღეს კი საწყობს აბარებენ.

შორეული ნაოსნობის ბევრ გემზე ვყოფილვარ. ისინი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ხომალდებია, რომელთა მართვის პულტი უახლესი თვითმფრინავის კაბინას ჰგავს. ამ სეინერზე პირველად ვნახე ძველებური საჭე.

სეინერი წელა მისრაალებს წყნარ ზღვაზე. მარცხნივ დარჩა ბათუმის შუქურა. თვალს მიეფარა ზღვისპირა პარკი, მერე ქალაქის გარეუბანს ჩავუარეთ. მერაბმა ექლოლოტი ჩართო. ისარი აწიკვიდა, ქალაქის ლენტზე ზღვის ფსკერი და ზედაპირი გამოისახა. მათ შორის ხანდახან მოყვანსურო წერტი-

ღვები რომ წინდება, ეს თეგზიაო, მისხნის კაპიტანი და ამატებს: ამაზე დაყოფა არ ღირს, ოც კლოვირამ სტაურიდულასაც ვერ ამოვიღებთ.

რა დასაჯერებს, ოთხხაორმოცდაათი მეტრი სიგრძის ბადე ჩაუშვა ზღვაში და ოც კალოგოამზე მეტი თევზი ვერ დააჭირო? თურაბს ეცინება და ქვემოთ ვასახანს — ენვეო, ანოლი ერთი აქ.

ხიღურზე დაბალი დაბალი ჯუბამოსურული კაცი ამოვიდა.

— ესვეო, ქაჯაიაა, ჩვენი რადისტი და ძველი მეთვესე. — გამაცნო კაპიტანმა. ოცი კარგი ძოღბარი და თევზაობის ჩინებული მცოდნე ყოფილა. სანამ ჭლონის დელტას მივადგებოდით, თევზჭერაზე და სხვადასხვა თევზის თვისებებზე მშვენიერი ლექცია წამიკითხა.

თუ აქამდე ზღვის ფსკერი სწორი იყო, თანდათან გამოიკვეთა წყალქვეშა რიფები, ხერე ორმოებმა იწყეს გაოჩნება. უცბად ისარი მარჯვნივ გადაქადა, ხიდრმემ თავდათან მოიმატა. 10, 15-25, მოხედვაც ვერ მოვასწარი რომ ორმოცდაათი მეტრი უჩვენა.

— აქ თევზი ბლოძადაა, მაგრამ რად გინდა. აი, ეს წვეროები, ავერ რომ გამოისახა, წყალქვეშა მთებია. დაყრი ბადეს და მშვიდობით, დაკარგულია, ან თუ მოახერხე და ამოიღე, ორ დღეს ვერ მოკერავ, ისე იქნება დახეული. — მეუბნება ენვერ ქაჯაია და სინანულით აყოლებს თვალს ზღვას, რომელიც მაინცდამაინც აქ იფარებს ამდენ თევზს. თევზი კი არც ისე მამიტი ყოფილა, მე რომ მეგონა. დღისით თურმე ღრმა ადგილებს ეძებს, ფსკერზე ეშვება და იქ ისვენებს. ასეთ დროს ექოლოტი უძღურია — ფსკერსა და თევზს ვერ ასხვავებს. უმჭროლოდ კი მებაღურები ბრძებს ვგავართო, — ამბობენ ბიჭები.

ჭლონის დინებამ გემი შეარყია. არაუის მოუქცევია ყურადღება. ყველა თავისი საქმით იყო ვართული. ბრავადირი იაშა ანანბა ბაგირებს ხსნის და ბადეს ჩახაშვებდა აწვობს, მატროსები სურენ მაკარიანი, იური გაბიცილოვი და სხვები ამწვებს ამზადებენ, მზარეული ნიკოლოზ მიროშენკო თავის პატარა სამზარეულოში კარტოფილს თლის, ბარდას ხარშავს და წვნიანს გეპირდება, უფროსი მექანიკოსი ხუსეინ კახიძე სამანქანო განყოფილებაში ტრიალებს, მეორე მექანიკოსი ევეკნი რიბალოვი დამხმარე ძრავს ამზადებს დასამუშავად. ერთი სიტყვით, ყველა თევზის საჭერად ემზადება.

თევზი კი არა სჩანს.

— ცუდი ფეხის ვყოფილვარ. — ეუბნები ბიჭებს.

— ეს არაფერი, ორ-სამ დღეს რომ იხეტიალებ თევზის ძებნაში, მაშინ ნახე. — მამშვიდებენ მეთევზეები.

ამასობაში გონიოსაც მივადექით, ღამდება, სოტელში სინათლეები აინთო. შორს გონიოს ციხის კონტურები შავად გამოისახა..

ქონჯურბზე კი ოთხივე კუთხით პროექტორები ანთია. ნეტავ როგორი იყო აქაურობა მაშინ, სულხან-საბა ორბელიანი რომ შეჩერდა?

ჩვენს სეინერზეც აინთო სანიშნო ნათურები, სვლას ვუკლებთ. ახლა მართო არა ვართ. მარჯვნივ, ახე, ას მეტრში, ცნობილი კაპიტან ბრივადირის გვი უკლებას გემია, მარცხნივ ვასილ სკალოზუბოვისა. ცოტა მოშორებით კიდევ სამი საშუალო სიდიდის სეინერის ეკიპაჟი ეძებს თევზის ქარაჯანს. ეს ძნელი გამოსაცნობი არაა, გემი თუ პირდაპირ მიჭყვება კურსს თევზს ეძებს, თუ წრის დარტყმა დაიწყო, თევზი აღმოუჩენია და ბადეს აყრის.

ჯერჯერობით ყველა გემი პირდაპირ მიდის ჩვენი ექოლოტი საიმედოს არაფერსა გეუბნება. სამავიეროდ ბიჭები ქილიკობენ.

მებაღურები მხარული ხალხია. განსაკუთრებით მაშინ ირთობენ თავს, როცა თევზი არაა. ამით, ალბათ, იმედგაცრუებას ფარავენ.

ეკოლოტზე წვრილ-წვრილი წერტილები მატულობს. მალე წერტილების  
მაგვირად ერთი მთლიანი მოყავისფრო ფერი გაეფედა.

წერტილების  
წარმოშობის  
წინადადება

— არის თევზი! — თქვა მერაბ რაზუმოვმა და სადღაც ქვემოთ  
რიალდა. ერთბაშად შეიძრა ყველაფერი. მექანიკოსებმა სამანქანო განყოფილე-  
ბა მიატოვეს და ამწყვებთან დაიკავეს ადვილი, კაპიტანმა პროექტორი ჩართო.  
მერე ზღვაში კორპის ღიდი ნაჭერი გადაავლო და დააკვირდა, წყალი საით  
წაიღებდა.

— დასავლეთის დინებაა. — ჩასძახა ქვევით.

— მარჯვნივ აიღე და ისე ჩაუვშავთ. — ეს იაშა ანანბას ხმაა. ახლა იგო  
ხელმძღვანელობს გემის მართვასაც და ბადის ჩამოებასაც. ჩვენი გემი წრებზე  
მიდის, ხელნელა ეწყება წყალში. ზღვის ზედაპირზე მას კორპის საცობები აკა-  
ვებს. პროექტორი ამ წრეს მიჰყვება. გემი სვლას უკლებს. აი, წითელ მკობრა  
და სეინერიც გაჩერდა. ყოჩაღ, ბიჭებო! რა ზუსტადაა ყველაფერი გაძრეული.

მზარეულმაც დატოვა მისი ქურა და გემის მარჯვება მზარეს დაიკავა ად-  
გილი. სწორედ აქ უნდა მოაქურთონ ბაღე, აქედან ამოიღონ თევზი. იქამდე კი  
ჯერ ფსკერზე დაშვებული ფოლადის გვარლი უნდა დაიხვიონ ვადაპირებ-  
მა, ბაღით, ტომარა გააკეთონ და რომ დარწმუნდებიან, თევზი ვედარსად გაგვე-  
ქცევათ, მაშინ ზედა ტროსსაც დაამოკლებენ, ნადავლს გემთან ახლოს მოი-  
ტანენ.

ჯალამბრის დოღზე ჭრიალით ეხვევა ფოლადის გვარლი. ფსკერზე წრე  
ვიწროვდება და თანდათან ჭირს ძუშაობა, უჭირს მძლავრ ელექტროძრავს.  
ფაციფუტზე ეპტყობ, რაღაც ვერ არის რიგზე. გახსაკუთრებით მერაბი და იაშა  
ანანბა წუხან. ალბათ, მხოლოდ მათ უწყვიან, რომ ტროსი ფსკერზე რაღაცას  
გამოედო და ახლა ბეწვზეა არა მარტო სადავლის ამოღება, არამედ ბადის ბე-  
დიც, ღმერთმა ნუ ქსას და დაიხვს. ერთი-ოთი დღე იაიცი მოუადებიათ მის  
წესრიგზე ძრვანას. შემდეგ კი ვინ იცის, იქნებ ჩამოცხეს. მაშინ დაემშვიდობე  
პირველ ადგილს და პრემიას. არადა 214-ე სეინერის ეკიპაჟმა წელს პირველ  
კვარტალში გაანადღა წლიური გეგმა.

იქნებ დაუჯერებლადაც გეჩვენოთ, მაგრამ ერთმა ფაქტმა ყველა აალაბა-  
რაკა; ამ გემის ეკიპაჟმა ერთ დღეში შეასრულა აპრილის გეგმა — დაიჭირა 35  
ტონა სტავრიდულა. სხვა თევების დატვირთვისთან შედარებით ეს, რა თქმა  
უნდა, ცოტაა, მაგრამ ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, თევზიც კლებულობს  
და გვემაც.

ზღვის ზედაპირზე მოტივტივე კორპის ნაჭრები თანდათან ავიწროვებენ  
რკალს. რაღაც ოციოდე მეტრი ამორებს გემს ბადეს. პროექტორის შუქზე  
ცხადად ჩანს, როგორ დულს ზღვა. სინათლეც არაა საჭირო, ისეც კარგად ვხე-  
დავ ვერცხლისფრად მოფენილ ზედაპირს. საოცარმა სანახაობამ გამიტაცა იმდენი  
თევზია, რომ ბაღეში ვერ ეტყევა. ისე აწვებიან ერთმანეთს, წყლის ზედაპირს ამოც-  
დნენ, წყალზედ ვეღარ უწევენ და პირს აღებენ, ჰაერში ხტებიან. ცხრა წყვილ  
ხელს საიმედოდ უჭირავს ბადის სადავები. თევზსა და გემს შორის მანძილი  
ჯერ შემცირდა, შემდეგ კი ბაღე სეინერის კედელს მიაკრეს. საიმედოდ დამა-  
გრეს და აფართხალებული თევზის მორევი გოფირებული მსხვილი მილი  
ჩაუშვეს. მძლავრი ტუმბო ჩაირთო და მიღმა წყალი და თევზი შეისრუტა.  
ტროუმში პირველი ტონა თევზი ჩაიტალა.

ტრაულერები ათობით ტონა თევზით საკვებ ბადეს ციმციმ აიტანენ გემბა-  
ნზე, მაგრამ სულ სხვაა შავი ზღვის საშუალო სეინერი, რომელიც სამოც

ტონამდე თევზს ძლივს იტევს. ამიტომ ბადის დაცლა ამ მეთოდით ხდება. მათა-  
ოთალია, იგი ძებადუოებს დიდ დროს ართმევს, მაგონს სხვა გზა არაა.

ჰეოლოგიის, სახან თევზს იღებენ ყველა ამ საყისთა დაკავებულნი.  
სეიხეოი ახალი კარავნის საქებრად გაეხათა. ბიჭებმა სასადილოთი მი-  
მიწვივს,

საჯესთან მდგომმა ბრიგადირმა ზარი ჩართო. იაშა ანანბას ნიშანზე ბი-  
ჭებმა კვებანზე თავთავიანთი ადგილები დაიკავეს.

ისევ აჭრიალდა ჯალაძებოები. ისევ წრეზე ვანეწყო კორპის ნაჭრები.  
თითქის ყველაფერი ისევ ისე მიდის, თოგორც პირველი თევზჭერისას.  
ოლონდ ესაა, რომ ახლა უფრო ადვილად დაჰყვა მეთევზეებს გვარლი. ამ ადგი-  
ლას ზღვის ფსკერი სწოთია და სამშრობაც არაა.

ისევ გაძალებით მუშაობს ტუმბო. თევზის ვერცხლისფერი ნაკადით იე-  
სება ტრიუმბი. ირგვლივ თევზისა და ზღვის სუნი დგას.

არცკი შემომხნევი, ჩვენს გარდა სხვა გემები რომ წასულან.

— ხომ ხედავ, ნერვებმა უმტყუნათ, ვერ გაძლეს და წავიდნენ, ვინც მოი-  
თმენს ის მოიგებს, ტყუილა კი არაა ნათქვამი. — მეუბნება კაპიტანი.

214-ე სეინერის ეკიპაჟმა ბადის მეორე ჩაშვებაზე თვრამეტი ტონა თევზი  
დაიჭირა. ის იყო, ბაღე აკერიფეთ და ნავსადგურისაკენ გამობრუნებას ვაპირებ-  
დით, რომ სამი სეინერი მოგვიახლოვდა. ერთი გივი უკლებასი იყო, ორი კი მეთე-  
ვზეთა კოლმეურნეობისა. როგორც ჩანს, მათაც მოისმინეს ჩვენი და გივის საუ-  
ბარი და გამოსწიეს.

ჩვენი სეინერი უკვე მძიმედ მიაბობს ზღვას. ტრიუმბი 38 ტონა ჩინებულ  
თევზია, ახლა მთავარია, დროზე ჩაბარდეს გადასამუშავებლად.

ღამის სიბნელე გაიცრიცა და ჩვენც მივადექით რეიდზე მდგარ „ყვირი-  
ლას“. სეინერებიდან ნასროლი ბავირები ტრაულერებზე დაამარგეს მებღვაურებ-  
მა და გემები მჭიდროდ მიადგნენ ერთმანეთს. ახლა მილებს გამართავენ და ჩვე-  
ნი ტრიომიდან პირდაპირ საყინავ სააქროში წავა ღამის ნადავლი.

ბიჭებს დადლილობა ეტყობათ. მერაბ რაზუმოვი, იაშა ანანბა და ენვერ  
ქაჯაია ვახტზე დგებიან. სხვებს დასასვენებლად უშვებენ.

რიტმულად მუშაობენ ტუმბოები. ღამის სიწყნარეს თოლიები აჭრთხოებენ.  
ესენი სანიტრები არიან. ზღვის ზედაპირზე დარჩენილ თევზებს საწსლავენ.  
დილით ვერცერთ სტავრიდას ვერ ნახავთ მოტივტივეს. სანიტრები პატიოსნად  
ასრულებენ თავიანთ საქმეს.

სეინერზე სიცოცხლის ნიშანწყალს მანქანები ამჟღავნებდნენ. ნავაფარმა  
ბიჭებმა ჩათვლიმეს. კაპიტანმა თავის პატარა კაიუტაში შემიყვანა და თავისივე  
ლოგინზე მიმიჩინა ადგილი. აქ მეტი საწოლი არცაა.

უძილობამ და კაიუტაში დასადგურებულმა სითბომ თავისი გაიტანა და  
მეც ჩამთვლიმა. კაპიტანმა გამადვიმა, უკვე ნავსადგურში ვართო. ტრაულერი  
თევზსაჭერი ფლოტის ნავმისადგომისაკენ გაეშურა. აქ თუ დაავიანე დიდხანს მოგი-  
წევს რიგში ყოფნა.

თენდება. ვარსკვლავები გაფრმკრთალებულიყვენ, აღარც თოლიები ჩა-  
ნდნენ. ეს ისეთი დროა, ზღვაზე ყველაფერი რომ წყნარდება და ღამის ნადი-  
რობის შემდეგ მისი ბინადრები დასასვენებლად სიღრმეში მიისწრაფვიან.  
სეინერი ნავმისადგომს მიაბეს...

ბიჭებმა საჩუქრად ზღვის მამალი გამომიტანეს, ულამაზესი თევზი. წითე-  
ლი, დიდფარფლიანი...

გამოსასვლელში უკან რომ მოვიხედე, ჩვენი სეინერი წყნარად ირწეთდა  
ზღვაზე.

წარმატებას ვისურვებთ, ბიჭებო!

# გმადლობთ, ექიმო!..

ამბროსი პერტიახე ბევრი გულთბილი სიტყვა მითხრეს მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა...

— სულიერი რაინდობა ამბროსი პერტიახის აუცილებელი თვისება ვასლდათ, — იტონებს მწერალი ილია რურუა, — იმ წლებში ვახეთის რედაქციების ფანჯრებში შუქი ჩვეულებრივზე გვიან, ნაშუაღამევს ქრებოდა. საათის ისრები შორივი დღის წუთებს ითვლიდა, როცა რედაქციიდან გამოედიოდა და ღამის სიწყნარეში ბათუმის მთავარ ქუჩას გავედოდა. კუთხეში, ძველი აფთიაქის კარების საფეხურზე, შორიდანვე დავლანდეთ ს-ცნობი ფაგურა. არ შევამცდარვართ, ნამდვილად ამბროსი პერტიახე აღმოჩნდა — აჭარის ფანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, შესანიშნავი ექიმი, იშვიათი სათნოებისა და მომსახურელობის ადამიანი. ხელში წამლების ფლაკონები ეჭირა. ეკითხეთ — ამ დროს აფთიაქში რამ წამოვიყვანათ, ასეთი რა ვაგჭირვებიათ?

როგორც გამოირკვა, დღისით მასთან სამინისტროში ვიდაც ქალი მისულა — ერთადერთი შვილი მიკვდება და მითხრეს, თუ გადაარჩენს, მხოლოდ პენციდინით. ეს პრეპარატი მაშინ ჩვენში არ მზადვებოდა, უკვდავების წამლად ითვლებოდა და მისი შოვნა ადვილი არ იყო.

— დასაძინებლად დაეწევი, — დაამთავრა ამბის მოყოლა მინისტრის მოადგილემ, — რომ იმ ქალის სახე გამომეცხადა. ვერაფრით ვერ მოვისვენე, რადგან ეჭვი მომეძალა — ვაი, თუ ლეფიცირებული წამალი რაიმე მიზნით აფთიაქში დაუკავეს-მეთქი. თანაც დაპირებული ვიყავი, ბავშვს ვინახულებდი. ბალიან დატვირთული დღე მქონდა და ვერ მოვიცალე.

და აი, შუაღამით საწოლიდან წამომდგარი ექიმი მიდის აფთიაქში, რათა პირადად დარწმუნდეს, მიუვიდა თუ არა ავადმყოფს წამალი. რეცეპტი მისი რეწოლუციით აფთიაქში არ აღმოჩნდა. მინისტრის მოადგილეს ეჭვები უფრო მიეძალა: რატომ არ გაიტანა დედამ წამალი? ხომ არაფერი მოუვიდა ბავშვს? იქნებ დედას, უბრალო დამლაგებელ ქალს, ძვირადღირებული წამლის ფული არ აღმოაჩნდა? ყველა შემთხვევაში საჭიროა შეჭირვებული ადამიანების მონახულება, მაგრამ როგორ? იცის მხოლოდ ის, რომ დედა-შვილი რუსები არიან. როსტოვიდან ევაკუირებულნი, და ცხოვრობენ „არდაგანის ფაზარმების“ დასახლებაში.

ექიმის შესწოთება, ცხადია, ჩვენც მაშინვე გადმოვივლო. მაგრამ ამ საოცარი გულის კაცმა მხოლოდ ერთი ჩვენი კოლეგა — გიორგი ლორთქიფანიძე დამიზაგრა. თითქმის გათენებამდე უძებნიათ და, ბოლოს, კითხვა-კითხვით მაინც მიუგნიათ. ანთების გათანგულ ბავშვს უკვე ცნობიერება ჰქონდა დაკარგული. მინისტრის მოადგილეს ბიჭისათვის საკუთარი ხელით დაუკოთბაა ნიშნა. სასწრაფო-თილი დედა დაუმშვიდებია, სთანადოდ დაჟრიგებია. მთელი ის დღეები ფეხით დადიოდა იმ სიშორეზე, ვიდრე ბავშვმა არ მოიხედა..

ეს შესანიშნავი მოქალაქე და მეკურნალი კარგა ხანია ცოცხალთა შორის აღარ არის, მაგრამ ეს ამავე პირველადი სიცხადით ცოცხლობს მესხიერებაში. დღეს, სამწუსხროდ, ზოგიერთ თეთახალათიანს სენივით შეპყრია ვუჭყვნი მოყვარულობა. მართლაც რამდენად იმცირებს თავს და ამცირებს თავის პროფესიულ მოწოდებას. ექიმი, რომელიც პალატაში შედის და მარჯვნივ სხვათა და სხვათა ვაჟი ავადმყოფებს განსხვავებულად ეკიდება, მათ ქონებრივ შესაძლებლობას თუ თანამდებობრივ ცენს ზომავს. იგი უკვე საყოთარი სიხარბის მსხვერპლი გამხდარა.

ჭეშმარიტი ექიმი უფროსილდება თავის პროფესიულ ღირსებას, მისთვის უცხია ანგარება და მწიკვლი. ნამდვილი მეკურნალი ყველაზე მალე ადამიანის უარყოფით სამსახურს აყენებს და პირველობას მადლიერების სიტყვას, ანიჭებს. რა სჯობს, როცა გადარჩენილი ადამიანი თავის მეკურნალს ეტყვის: ვმადლობთ ექიმო! ამბროსი პერტიას, როცა მისი გადარჩენილი ადამიანის გამოჯანმრთელების ამბავს ეტყოდნენ, სახეზე კეთილი ღიმილი გადაეფინებოდა. იგი პირნათელი, მისხნობიერი და უხარბო იყო.

— ამბროსი პერტია ვერ კიდევ მშინი წლების დასაწყისში გავიცანი, — ვვითხრა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ღვაწლმოსილმა ექიმმა ვიორგი ხეჩინაშვილმა. — ხშირად ვხვდებოდი ერთმანეთს ექიმთა საზოგადოების სხდომებზე. იყო ნიჭიერი, ზედმიწევნით შრომისმოყვარე ახალგაზრდა. საზოგადოებამ მალე გაიცნო, კარგი ექიმისა და მოქალაქის სახელი ღამიკვიდრა.

ცხოვრებამ დაგვაასლოვა, მასსოვს, რარიც უხაროდა ტყუბი ვაჭების შეძენა... ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი ერთმანეთს, ის მინისტრის მოადგილე იყო, მე კი სამინისტროს მთავარი მეან-გინეკოლოგი. მივლინებაშიც ხშირად ერთად ვიმყოფებოდი — ხან თბილისში, ხან აჭარის რაიონებში.

ცხოვრებაში მეტად უბრალო და გულითადი იყო. ზუმრობა უფერადა. ერთ წვეულებაზე თამადის მოადგილე რომ დასახველეს თქვა: რა ექმა, არ ვიცი, დიქტორმანი, ბედმა სულ მოადგილეობა მარტეუნაო.

ამბროსი პერტია იყო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის დიდი მცოდნე, ერთდერებული ექიმი-თერაპევტი, ზედმიწევნით წინდახედული, დანჯი, შრდიდი და თხიქტური კაცი. აქტიურად მონაწილეობდა ექიმთა საზოგადოების მუშაობაში. ჩემთან ერთად იღვწოდა ექიმთა სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემის აღდგენაში, იყო მისი პირველი ნომრის რედაქტორი. მას მრავალი სამეცნიერო ნაშრომი პქონდა. მათ შორის ნარკევი აჭარის ჯანმრთელობის დაცვის ოქტორიდან.

ბატონი ამბროსი სიკვდილამდე პიპოკრატიის ფიცის ერთგული დარნა. — პერტიების ოჯახი დიდხანს მარქის ქუჩაზე — ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, — მთამბო პარტიისა და კომკავშირის ვეტერანმა იაკობ ყაჭვიშვილმა. — ბიანხი გადმოდგებოდა, მეზობლებს მოგვიკითხავდა. მოგვიხივარულებოდა. ჩვენს სახლში ვინმე თუ ავად გახდებოდა, ისიც წამლებით ხელში მოვიდოდა.

მასსოვს, დედა ავად გამიხდა. ბატონ ამბროსის ვიხოვე ენახა. სალამის გეწვია. მოიბოდიშა — ძალიან დატვირთული დღე მქონდა და უფრო ადრე ვერ მოვიცადე. კოლეგებიც თან ახლდნენ — მარკ ტერ-მინასოვი და ზურაბ წერეთელი. სამივემ გულდასმით გასინჯა ავადმყოფი. წამლები გამოუწერეს და კარგხანს ტკბილად ესაუბრნენ.

სტუმრების წასვლისთანავე დედამ სასოუძალთან მომიხმო ოა მკითხა: შილო, რა ღვთისნიერი ადამიანები არიან, მათმა სიტყვებმა კარგ გუნებაზე დამაყენაო.

შემდეგ ამბროსიმ დედაჩემი კვლავ მოინახულა და რარიც ვაეხარდა, ავად-

მყოფი წამომდგარი რომ დაუხვდა. მოხუცის ბაგეს დიდხანს მისი ლოცვა-კურთხევა არ მოსორებია.

კიდევ რა დამამახსოვრდა? — პარტიის ქედის რაიკომში ვმუშაობდი. უკეთესად დღეს ექიმთა ბრიგადა გვეწვია ამბროსი პერტიას თავკაცობით. მეტად ძლიერი შემადგენლობა იყო: ენოლოგი ვალერიან მაქაცარია, ნევროპათოლოგი სარკ ტერმინასოვი, გინეკოლოგი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იოსებ ჩარკვიანი, თერაპევტი პლატონ გიგინიევილი და სხვები.

ახალი ამბავი — ბათუმიდან საუკეთესო ექიმები ჩამოვიდნენ და ყოველგვარ ავადმყოფობას იკვლევდნენ, თოფივით გაეარდა სოფლებში, ხალხის ნაკადი რაიონულ ცენტრს მიაწყდა. ათობით ავადმყოფი გასინჯეს და საჭირო დახმარება აღმოუჩინეს. ზოგი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ სოფლებში ლექცია-მონსტრაციებიც წაიკითხეს, ინდივიდუალური საუბრებიც გამართეს სანიტარიულ-ჰიგიენურ საკითხებზე. 10 დღემდე დაჰყვეს რაიონში და მეტად სასარგებლო საქმე გააკეთეს. ისინი მართლაც სახალხო ექიმები, კეთილშობილი ადამიანები იყვნენ, ბევრს ახსოვს მათი გულის სითბო და უმწიკველი სამსახური...

ერთხელ, თურმე, ამბროსის უთხრეს: ეს და ეს ექიმი პაციენტებისაგან ფულს იღებს და სულ ოქრო-ვერცხლშიაო.

— ექიმი კი არა გამოძმალველი ყოფილაო. — მოუჭრა.

— რაო, შენ ოქრო-ვერცხლი გაწყენს?

— ხალხის მადლობა, ჩემი ოქრო და ვერცხლიაო, — მიუგო ამბროსიმ.

პერტიების ოჯახისათვის უცხო გახლდათ მოხვეჭის სურვილი, მეშინაური ფუფუნებით გატაცება. მხოლოდ სიმშვიდე, ურთიერთგაგება და კეთილი განწყობილება სუფევდა ოჯახში.

ახლაც მარქსის ქუჩაზე ამ სადარბაზოს წინ რომ გავივლი, ინსტინქტურად შეკერძები, მაღლა ავიხედავ, ასე მეონია, აივანზე მომღიპარი ამბროსი გამოვა და ტკბილად მომესალმება...

\* \* \*

აჭარის ასრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის რამაზ სურმანიძის ნაამბობი: არიან ადამიანები, რომლებიც იმდენ სიკეთის მარცვლებს თესვენ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაგამახსოვრდებათ. ისინი ღამაში სიტყვებით კი არა, არამედ საქმით, სულთ და გულით ეხმარებათ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს. ასეთი კაცი, ასეთი მკურნალი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ ამბროსი პერტია. 50-იან წლებში გავიცანი იგი. შემდეგ სამსახურმა მის შვილებს დამაკავშირა..

ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმადამთავრებული ჭაბუკი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ დედაქალაქიდან დიპლომების გამოგზავნა დააგვიანეს, განცხადებების მიღების დრო იწურებოდა. ვიღაცამ მითხრა, ნუ აყოვნებ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მიდი, ამბროსი პერტია უთუოდ დაგეხმარებაო.

მინისტრის მოადგილემ შეწუხებული რომ დამინახა, ზეზე წამოღვა, ხელი ჩამოართვა და მკითხა, შვილო, რა გაგჭირვებიაო.

გულდასმით მომისმინა, გამამხნევა, კარგია, მთიელ ბიჭს ექიმობა გადავიწყვეტიაო. მერე ყურმილს დაწვდა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში დარეკა-ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგეს რუბენ სირაძეს ვაცნო საქმის ვითარება. თუ ძმა ხარ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაუკავშირდი,

დაბეჯითებით სთხოვე სამინისტრომ დაანქაროს დიპლომების გამოგზავნა. ექიმო  
ლიბიტიანი მთელი ბიჭი ჩემთანაა, დიპლომს ელოდება, წელს აუცილებლად  
უნდა ძოხვდეს ინსტიტუტში. ხომ იცო, რარივ ვეჭირია მთაში ექიმები.

მალე დიპლომიც მივიღე და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტიც გავხდი.  
კიდევ რა დამამახსოვრდა? სტუდენტობის წლებში პროფესორმა ვიორგი ნა-  
თიძემ დამავალა მომეზადებინა სამეცნიერო ნაშრომი „აჭარის მოსახლეობის  
კვების თავისებურება და ხასიათი“. წერილიც გამომატანა და დამაბარა, აჭარის  
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ამბროსი პერტია ნახე, ის უთუოდ დაგე-  
ხმარებაო.

ბატონმა ამბროსიმ ჩემი ვიზიტის მიზანი რომ გაიგო, მითხრა: კეთილი, ეს  
საკითხი მეც მაინტერესებსო. ვის არ დაურეკა, რა არ იღონა. მალე საქმეც აეწი-  
ყო. ჩემმა ნაშრომმა მოწონება დაიმსახურა.

უკანასკნელად 1963 წელს შევხვდი. მაშინ შუახევის რაიონის მთავარი ექიმი  
ვიყავი. მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე წიგნი დავწე-  
რე და პატივცემულ ამბროსის ვთხოვე მისი რედაქტორობა. მაღლობა მითხრა და  
დასძინა: სჯობს, ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმონ, კარგი იქნება თუ ამ საქ-  
მეს ლევან გელაძეს მივანდობთ, შესანიშნავი ექიმა და პოეტიცო.

ამბროსი პერტიას შვილებთან ჩემი მეგობრობა სამედიცინო ინსტიტუტში  
დაიწყო და გრძელდება.

ნუნუ სიკეთითა და პატიოსნებით სავსე ადამიანია. ყველამ როდი იცის, რომ  
ეს მოწოდებით ექიმი და სათნო ქალი დონორია. მან ერთადერთი ვაჟიშვილის  
ტრაგიკულად დაღუპვის წინააღმდეგ სისხლი გაიღო, სხვას დაეხმარა, საკუთარ  
შვილს კი ვეღარ უშველა...

ნოდარ პერტია შესანიშნავი ვაჟკაცი იყო, ერთდღიერი ქორუგა, კარგი  
სპორტსმენი და მამულიშვილი. ბუნებით კეთილსა და ოპტიმისტს სიმხნევე სიკვ-  
დილამდე არ დაუკარგავს. მძიმე წუთებშიც ნათესავეებსა და მეგობრებს უფრთხი-  
ლდებოდა.

რეზო პერტია უნარიანად უძღვება ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს  
სამკურნალო დაწესებულებას, პატიოსანი და თავდადებული მუშაკია.

როცა პერტიების ოჯახზე — ექიმთა დინასტიაზე — ვფიქრობ, თვალწინ  
მიდგება მათი ადამიანური სიკეთე — მოყვასისადმი ერთგულება, თანადგომა,  
თავდადება, გამტანობა და სიყვარული... სწორედ ასეთი ადამიანები, ჭეშმარიტად  
სახალხო ექიმები სჭირდება ქვეყანას...

ხელქვეითებისადმი მეტად ყურადღებიანი და გულისხმიერი კაცი იყო, ამბო-  
ბდნენ ამბროსი პერტიაზე, დიდ პატივს სცემდა ადამიანის შრომისმოყვარეობასა  
და პატიოსნებას. თვითონაც კაცური კაცობის განსახიერება იყო და ხელქვეითე-  
ბისაგან ამას მოითხოვდა.

მარტო მოთხოვნა კი არა, დახმარებაც იცოდა, მალე გაიკებდა, ვის რა უჭირ-  
და და უღწინდა, წაქცეულის მოსარჩლე იყო, თანამდგომი.

მომავალი თაობები მაღლიერების ვრძნობით მიიხსენიებენ იმ მოღვაწეთა სა-  
ხელებს, რომლებმაც მთელი ცხოვრება მაღარაის შესწავლასა და მის წინააღმდეგ  
ბრძოლას შესწირეს. ასეთ მეზობლთა რიგებში იყვნენ სალომე ავალიშვილი და  
ამბროსი პერტია. ისინი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ აჭარაში მაღა-  
რიის პრობლემის შესწავლას, ამ დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შე-  
მუშავებასა და განხორციელებას.

სალომე ავალიშვილმა და ამბროსი პერტიამ დასტამბეს წიგნი „მაღარაის  
ლიკვიდაცია აჭარაში“, სადაც ვკითხულობთ:

...მაღარიამ აჭარაში და საერთოდ საქართველოში მოსახლეობა არანაკლებ  
იმისკენ ვიძრე ვარეშე ძტრებთან ბრძოლაში...

...რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარის მთელი რიგი სოფლები  
ბის მოსახლეობა მთლიანად ამოწყდა ამ მძიმე დაავადებისაგან...

1954 წელს აჭარაში გამართულ სიმპოზიუმზე ამბროსი პერტიამ განაცხადა:  
მაღარია აჭარაში პრაქტიკულად ლიკვიდირებულია, ვინ მთელის, აჭარის შვიდ-  
კოსებმა რა დიდი შრომა მიახმარეს ამ საშვილიშვილო პრობლემის გადაწყვე-  
ტასო.

ამბროსი პერტია დიდ დროსა და ენერჯიას ახმარდა მეცნიერულ ნაშრომთა  
რედაქტირებას, დასაბეჭდად მათ მომზადებას. თვითონაც ნაყოფიერ მეცნიერულ  
საქმიანობას ეწეოდა. 20-ზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა. ორჯერ გამოიცა ამბრო-  
სი პერტიას მონოგრაფია „ნარკვევი აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიი-  
დან“. დაიბეჭდა მისი სხვა მონოგრაფიებიც. ყურნალ-გაზეთებშიც სისტემატურად  
აქვეყნებდა სტატიებს ჯანმრთელობის დაცვის აქტუალურ საკითხებზე.

ამბროსი პერტია მუდამ სრუნადა ახალგაზრდა კადრების მეცნიერული კვა-  
ლიფიკაციას ამალღებისათვის. პრინციპულბა, კომუნისტის საქმის უსაზღვრო  
ერთბულბა, ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი შეურიგებლობა, აღამიანე-  
ბის, ფაქტების, მოვლენების პიროვნული, რეალისტური შეფასება თან გასდევ-  
და ამბროსი პერტიას მთელ მოღვაწეობას. დიდ თუ პატარა საქმეს, რომელსაც მას  
ანლოზნენ, ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობით, ხალხისა და პარტიის წი-  
ნაშე მოვალეობის დრმა შეგნებით ეკიდებოდა.

ამბროსი პერტიას საქმიით და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად  
დაუფასდა — დაჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით, ჯანმრთელობის  
დაცვის წარჩინებულის ნიშნით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ და  
აჭარის ასსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდებები.

ამბროსი პერტიას ბინის კარი მუდამ ღია იყო ჭეშმარიტი მამულიშვილე-  
ბისათვის. აქ სხვადასხვა დროს ნახავდით ბათუმელ მედიკოსთა შესანიშნავ წარ-  
მომადგენლებს — ზურაბ წერეთელს, პლატონ გიგინიშვილს, ვიორგი ხენინა-  
შვილს, ვარლამ ვიორგაძეს, მიხეილ ლოლუას, ვალენტინ ვგორიკს, ილია მარ-  
კოვს, თამარ ბეთანელს, ირაკლი დიასამიძეს, ვენო მგალობლიშვილს, აენი  
დიასამიძეს, აუკი ტიკარაძეს, ხალიხ აბაშიძეს, ვახტანგ დიასამიძეს, ირაკ-  
ლი ბასილიას, ლუკი დგებუაძეს... აქ ხშირად კამათობდნენ მედიცინის პრობ-  
ლემებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების ამბებზეც.

\* \* \*

ამბროსი და ელისაბედ პერტიების ოჯახის იშვიათი პატიოსნება მთელს  
ბათუმშია ცნობილი, დედა შვილებს სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს, პატიო-  
სნებასა და უანგარობას, ურთიერთ გატანასა და თანადგომას ასწავლიდა.

— დედაჩემს ძლიერ უყვარდა მეუღლე, — მიამბობს ნუნუ, — შვილებსაც  
მისღამი სიყვარულსა და პატივისცემას შთავყავონებდა.

ელისაბედი უჩვეულო გულისხმიერებით ვანიცდიდა ამბროსის ყოველ წარმა-  
ტებასა და გასაჭირს, თავს ევლებოდა მეუღლეს, სითბოსა და სიყვარულს  
არ აკლებდა, ამბროსიც გულწრფელად ემადლიერებოდა მას. ყველაფერს ცოლ-  
შვილთან ყოფნა ერჩია.

ამაობაში სუფრა გაიშლებოდა და პერტიების ოჯახში სიცოცხლისა და  
სიყვარულის სადღეგრძელო შეისმებოდა. ამბროსი თავის საყვარელ „მრავალკა-

ბერს“ დაიწყებდა, მაშ მუხღლე და შეიღებინა აჭვეკობინენ, ტკბილი მელიოდით  
ბით ივსებოდა სახლი.

ყოველივე დიდი სიყვარულს შეუქმნია. ადამიანის არსებობის მიზანი სხვა  
ბიხათვის აღებინებების მიიჭებაა, მაგობ რაოდენ მძიმეა, როცა ბედი შენ თუ  
თონ გიპუხთლებს.

ანლა ათითონისეული ბინის კედელზე თთხი უდროოდ წასული ვაჟკაცის ხუ-  
რათი ჰკიდა. შათსაიი ქალი ამ სულოთუბა ელოდებოდა, ე. ათუთება, უსათება...

ცხოვრების შუადლე ახლასან დასდგა. თმები კი შევევოცნლა. ამბობენ, მამას  
ჰვავსო — მტკიცე ხასიათის ქალია, კეთილშობილი, სათნო, ნაზი... იგი სიწოდე-  
ბით ექიმია, ძლიერ უყვარს თავისი მოციქულია, ადამიანის განსახიბი გულთან  
ბიაქვს, მალაბოდ ედება სატკივარს.

— ექიმობა ბავშვობიდანვე არჩეული და შესისხლსორცებული მქონდა, —  
ამბობს ხუნუ პერტია. — ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ მამა და ბიძა ექი-  
მები იყვნენ. ჩვენს ოჯახში ხშირად გაიგონებდი: გვიშველე, ექიმო!

მამაჩემი, აპბროსი პერტია, დაუხარული კაცი იყო. მოყვასი, ავადმყოფის მო-  
სარჩლე და შემწე. ერთი შემთხვევა ჩემს სულს ძლიერ დააჩნდა და, ალბათ, ჩემი  
მომავალი პროფესიაც განსაზღვრა.

...ზაბთონის ჭირვეული ღამეა, რომ იტყვიან ძაღლს გარეთ არ გააგდებს კაცი.  
ჰოდა, ამ დროს ვიდაც კარებს აკაკუნებს, თან მუდარით ექიმს კითხულობს.

— მამაჩემი ავადაა, — პასუხობს ნოდარი.

— ვაიმე, რა ვქნა, შვილი მიკვდება, — ქვითინით ამბობს სიცივისაგან გათლში-  
ლი კაცი.

— მობრძანდით, გათბით. — ვებატიყებით ავადმყოფის მამას.

ხმაური საწოლ ოთახშიც იჭრება, მამა ტანთ იცვამს.

— სად მიხვალ, სად, სიცხიანი? — ემუდარება დედა.

— რას იზამ, ელისაბედ, ასეთია-ჩემი მოვალეობა.

მამა გვიან ღამით დაბრუნდა შეცოებული. ყველანი გარს შემოვივისხა, სიყვა-  
რულით გადმოვივხედა და თქვა: კარგ დროს მიუხსნარი მაც ბავშვს, გათუნებამდე  
დიფტერია დახრჩობდა...

მამაჩემს საშუალო სკოლის მედალზე დამთავრების ატესტატი რომ მივუტა-  
ნე, შუბლზე მეამბორა და მითხრა:

— ყოჩად, შვილო, ძალიან გამახარე.

— სიხარულთან ერთად საფიქრალიც და საზრუნავეც მოგვემატა, — მიუგო  
დედამ.

— ასეა, ჩემო ელისაბედ, წავა, ისწავლის და ჩიტივით გაკვიფრინდება, —  
შემდეგ წამით ჩაფიქრდა და მკითხა, — სწავლას სამედიცინო ინსტიტუტში აპი-  
რებ ხომ?!

— კი მამიკო, სხვა პროფესია ვერც წარმომიდგენია.

— კეთილი, შვილო!

ინსტიტუტში ხშირად მაკითხავდა. თბილისში მისი გამოჩენა ჩემთვის ზვი-  
მი იყო. ინსტიტუტში ხვდებოდა ჩემს პროფესორ-მასწავლებლებს, ზოგი მისე  
სტუდენტობის მეგობარი იყო. ზეპირად იცოდა ჩემი ამხანაგების სახელი და ვკა-  
რი, ხშირად მიტყოდა: ყურადღებით უსმინე ლექტორს, წერე გარკვევით. მთავა-  
რი არ გამოგრჩეს, მერე დასძენდა, ცოდნა ყველა პროფესიის ადამიანს მოეთხო-  
ვება, ექიმს კი ორმაგად. ექიმი მოწოდებით უნდა გახდეს და არა მხოლოდ საე-  
ქიმო განათლების მიღებით. იტყოდა.

— ქალაქის № I საავადმყოფოში მუშაობა ახლადდაწყებული მქონდა, — განა-

გრძნობს ნუნუ. — მამა ყოველდღე გამოემკობხადა ავადმყოფების ისტორიას, ერთად ვარჩევდით — სწორად ჩავატარე თუ არა მკურნალობა, რამე ხომ არ დავაკელი, კიდევ რა დაზმარება ესაჭიროება ავადმყოფს. ძალას მმატებდა მამის შექება, გამზნევა, თანადგომა.

ბათუმის № 1 და № 3 საავადმყოფოებში დღიად აფასებენ ნუნუ პერტიას, სადაც მთელი მეთხედი საუკუნე გაუტარებია.

გამოცდილი ექიმი კვლავ ავადმყოფის პალატებში ტრიალებს. აქ მთელი მისი ცხოვრებაა, სიხარული და ცრემლი, რწმენა და იმედი. მარტო მკურნალობის ხელოვნება რას გიშველის, თუ არ გაგაჩნია დიდი ადამიანური სითბო და სიყვარული, ხშირად უთქვამს ნუნუს, მიხარია, როცა ავადმყოფები ჯანსაღდებიან, სიცოცხლე და ხალისი უბრუნდებათ, ეს ექიმისათვის ყველაზე დიდი საჩუქარიაო.

მამის გარდაცვალების შემდეგ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დაიბარეს და უთხრეს, რომ ამ სამინისტროს პოლიკლინიკაში მამაშენი უნდა შეცვალო.

სიტყვა არ გაუტეხია. ჯანმრთელობის ამ კერაში ნუნუ პერტია წამყვანი თერაპევტი იყო, ამჟამად კი მთავარი ექიმი.

მწერალმა და ჟურნალისტმა გიორგი ლორთქიფანიძემ შენიშნა: შესაშური თვისება აქვს ნუნუს, არ იცის ავადმყოფის გარჩევა, ყველას ეხმარება, პატრებს მიავებს, გულის სითბოს გაუყოფს. 15 წელზე მეტია მკურნალობს, ზედმიწევნით იცის ჩემი საფიქრალიც და სატიკვარიც. მჯერა მისი და ვენდობი მას. ყველა ოჯახში დიდი სიხარულითა და იმედით ელიან ქალბატონ ნუნუს. როგორ არ უნდა უმადლოდე ადამიანს, რომელმაც ბევრჯერ გიხსნა გაჭირვებისაგან.

პოლიკლინიკაში ასეთი ამბის მოწმე გავხდი: წამლები თუ მიიღეთ, თავს როგორ ვგრძნობთ, გეთყვავ, — ეკითხებოდა ნუნუ პერტია თავის პაციენტს.

— ცუდად ვარ ექიმო, ის წამალი ვერ ვიშოვე.

— აქამდე რატომ არ გამავებინეთ, აკი გითხარი, მკურნალობის გადადება არ ივარგებს-მეთქი?

ავადმყოფი შეწუხებული მისჩერებოდა მკურნალს.

ახლა რაღა ვქნათ, თავისთვის ჩაილაპარაკა ნუნუმ, პალტო სჩქაროდ ჩაიცვა, პაციენტს მიუბრუნდა და უთხრა: დედაჩემი მაგ წამალს სვამს. სახლში ერთი ფლაკონი მეგულება, წავალ და მოგიტან.

და აი, ის ერთი ფლაკონი წამალი ქალბატონმა ნუნუმ ორ ავადმყოფს უწილდა...

ჩვენი პროფესია ყველაზე ჰუმანურია, ამბობს ნუნუ, ვერ წარმომიდგენია ექიმი, რომელსაც ადამიანის სიცოცხლე აბარია, გულგრილად მოეპყრას პაციენტს. მკურნალის სახელსა და ღირსებას გაფრთხილება უნდა, ჩვენს თეთრ ხალათს ლაქები არ უნდა აჩნდეს!

...დაღის ქალაქში სანდომიანი ქალი, ყველასათვის ნაცნობი და ახლობელი. შავები აცვია — ჯერ მამა გამოეცალა ხელდან, შემდეგ მეუღლე, ბოლოს ძმამ დაწვევითა გული, უკანასკნელად კი ერთადერთი სათაყვანებელი შვილი დაეღუპა... ხომ აუნახდაურებელი დანაკლისია, მაგრამ უნდა იცოცხლოს, ექიმმა ავადმყოფის გადარჩენისათვის უნდა იცოცხლოს, გაჭირვებულს არგოს, წაქცეულს ხელი შეაწყველოს, სხეულს სატიკვარი შეუმსუბუქოს.

ტყუპი ძმები, ნოდარი და რეზო, პატარაობისას ისე საოცრად ჰგავდნენ ერთ-მანეთს, თურმე მშობლებიც ძლივს ასხვავებდნენ.

ძმები პატარაობიდანვე სპორტმა გაიტაცა, სწავლობდნენ ფეხბურთის სკოლაში, თამაშობდნენ აჭარის ნაკრებში... ნოდარი ჩინებული მოსწავლე იყო, იგონებს რეზო, ბევრს კითხულობდა, საათობით შეეძლო წიგნზე მუშაობა, მეც ამიყოლიებდა.

შრომაც გვიყვარდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი მშენებლობაზე დაყვავით. მამა პატარაობიდანვე კაცთმოყვარეობასა და პატიოსნებას გვინერვავდა. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი მომავალი პროფესიის არჩევაც.

მამის შეგონება დიდად დაგვეხმარა, ძმები თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები გავხდით. ვისწავლეთ დროის ყადრი. ბევრს ვმეცადინებდით. ნოდარი წარჩინებული სტუდენტი იყო.

გარდა სწავლისა, სხვა საზრუნავიც გვექონდა: სპორტი (ინსტიტუტის, ფეხბურთოვლითა გუნდში ვთამაშობდით), სამეცნიერო წრეში მეცადინეობა, კომკავშირული დაჯალბება (ნოდარი კურსის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო) და ვინ მოთვლის, კიდევ რა.

ღელ-მამა მხარში გვედგა, აინტერესებდათ, ვინ ვეკითხავდა ლექციებს, რა სიახლენი იყო ამა თუ იმ მეცნიერებაში.

იმ შემოდგომაზე პათოლოგიური ანატომია გვეწყებოდა. მამამ გვითხრა, საინტერესო დარგია, მოდი, ერთად წავიმეცადინოთო. საქმე კარგად აეწყო — მამჩემი და ნუნუ კითხულობდნენ, მსჯელობდნენ, მე და ნოდარი ვუსმენდით. ასე თითქმის ერთი თვე გაგრძელდა და ჩვენი ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგა.

პათოლოგიურ ანატომიას აკადემიკოსი ვლადიმერ ჟღენტი გვიკითხავდა, მართალი ვითხრათ, ძალიან გავკვიადვილდა ამ საგნის სწავლა.

ნოდარ პერტიამ საეკიმო ნათლობა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიღო. დიდმა კოლექტივმა დახმარების ხელი გაუწოდა მას.

ნოდარი კარგა ხანს ბათუმის № 1 საავადმყოფოში მუშაობდა, აქ დასპეციალდა, გამოცდილი ქირურგის აენი დიასამიძის ხელმძღვანელობით, შემდეგ ლენინგრადშია, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიის კათედრაზე...

ნოდარ პერტიამ გაიარა გზა რიგითი დასტაქრიდან ქალაქის მთავარ ქირურგამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა № 3 საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ, სიცოცხლის უკანასკნელ ღღემდე კი № 1 საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაზე ედგა სათავეში.

მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი დასტაქარმა ნოდარ პერტიამ, ასობით ოპერაცია გააკეთა მან, ასობით სიცოცხლე გადაარჩა. მის სახელს ყველგან სიყვარულით წარმოსთქვამდნენ.

ნიჭიერი და გულისხმიერი პედაგოგიც იყო, წლების მანძილზე ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმში ასწავლიდა;

ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობასაც ეწეოდა 15 წამრით გამოაქვეყნა. დისერტაციაც მზად ჰქონდა, მაგრამ მისი დაცვა არ დასცალდა... ქალაქს დააკლდა შეტად ნიჭიერი დასტაქარი, კაცური კაცი, ჰუმანიტატი მამულიშვილი.

რეზო პერტია პირნათლად ემსახურება ექიმის ძნელსა და საპატიო პატივს სიას, აპასთან იგი ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მოავადმყოფოებს კოლექტივს წინამძღოლობს.

პიოველი ნათლობა ურუნის საექიმო ამბულატორიაში მიიღო. ასე ამბობს. იოლი ან არის სოფელში ბუშაობა, იქ თერაპევტიც ხარ და ეინურტიც, უროლოგიც და გინეკოლოგიც... ავადმყოფის ბედი ჩემზეა დამოკიდებული, თუ რაძე-ხად სჭირს გადაწყვეტილებას მიიღებო.

თითქმის ორ სედიწადს იმუშავა საექიმო პუნქტის ვამევედ, პაციენტთა სიევარული და პატივისცემა დამსახურა. შემდეგ პიოფილი მეცვალა, ყველ-ყვოცხვირის ექიმი გახდა.

ეს ეთმა შემთხვევამ განაპირობაო, ამბობს რეზო. ახალგაზრდა კაცს ყურის არეში საშინელი ტრევილები პქონდა. ჩემმა დახმარებამ სასურველი შედეგივერ გამოიღო. ვადაწყვეტე კარგად შემესწავლა ეს პრიოფილი. მისკოვის ექიმა დახელოვნების ინსტიტუტში ყველ-ყურ-ცხვირის სხეულებათა პრიოფილი დავსპეციალდი.

...რესპუბლიკურ საავადმყოფოში ყველ-ყურ-ცხვირის ექიმად დამნიშნეს. მართალი ვითრათ, ბედმა გამიღიმა, გვერდით მეტად გამოცდილი ექიმებო აღექსანდრე ლორია და დურსუნ დიასამიძე მეყავდნენ. ვანა შეიძლება დაიფიწო ამ ადამიანთა უანგარო, კეთილი სამსახური? უფროსი კოლეგები ყველაფერს ავეთებდნენ, რომ თავიანთი გამოცდილება ჩემთვის გადმოეცათ.

1970 წელს ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაიხსნა ყველ-ყურ-ცხვირის განყოფილება და მის ვამევედ გადამიყვანეს. ვული დამწყვიტა კარე კოლექტივთან განშორებამ.

საავადმყოფოში ვვიან დამით გამომიპახეს. შეიღი წლის ვოვოს თბერაციის შემდეგ ძლიერი სინსლიან დენა პქონდა. ჩემს უფროსს კოლეგას დურსუნ დიასამიძეს დავეურვეე და ვთხოვე სასწრაფო დახმარება. მანაც არ დააყოვნა. რატომღაც დადლიდი, სოთენთილი მეხვევა, ძაგრამ კითხვის დოო არ იყო როგორც იქნა, ერთობლივი ბრძოლით ავადმყოფი მძამე ბდგოთაოვობიდან გამოიყვანეთ. დურსუნს ხელი ძაგრად ჩამოვართვი და მამინ მიგზედი, რომ მას ძალი სიცხე პქონდა. ბარაქლა მის ვაჟეკობას, შუაღამით საწოლიდან წამომდგარმა ავადმყოფმაც ამ ყოფამი არ მიმატოვა. შემდეგაც მუდამ მხარში მიღვას დურსუნ დიასამიძე, კარგი სპეციალისტი, ვულგახსნალი აღამიანი, შინაგანი ღირსებით აღსავსე მეგობარი.

აქვე მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ვახტანგ დიასამიძე, რომელიც წლების მანძილზე ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს თავეკობდა. მან დიდი პატივი დაგვლო ახალგაზრდებს.

— ბავშვთა საავადმყოფოში ბევრი სიახლეა, — მამბობს მისი მთავარი ექიმა რეზო პერტია. — ამენდა ჩვილ ბავშვთა კორპუსი. ჩვენთან, აჭარაში, პირველი მოეწყო რეანიმაციური განყოფილება, მწყობრში ჩადვა ექსპრეს-ლაბორატორია-საავადმყოფო უახლესი აპარატურით აღიჭურვა, დაინერგა კვლევის ახალი მეთოდები. აქ ბევრი კვალიფიციური ექიმა.

რეზო პერტიამ თავისი ცხოვრება ექიმ ოკულისტს თამარ გოგოლიშვილს დაუკავშირა. ვაჟიშვილს ამბროსი (ამიკო) დაარქვეს, მასაც ექიმობის პრიოფისა და ანათლეს, პატარა ნუნუც, ვინ იცის, იქნებ მკურნალი გახდეს.

კარგი შეიღი ეზრდება რეზოს. ამიკოს ერთ წერილს ვაგაცნობთ, რომელიც მან მწერალსა და მეტნიერს ლევან სანიკიძეს 1979 წელს მისწერა:

„საბჭო“-ს მწერალი!

იქნებ უსიყვარულო იყოს, რომ III-ა კლასის მოსწავლე, თქვენ გწერს, სადაც იყავი დიდი სიბრძნეა დატოვა ჩემზე თქვენსა წიგნსა „საბჭო“-ს ხელში“, გადავწყვიტე, რის წილი სიბრძნეა.

თქვენი პირველი წიგნი გასულ წელს გამოვიდა, ჩვენთან ისე ცოტა იყო. რომ ძალიან იყავი ახლ კი გაყიდულა, ამიტომ დღემდე მხოლოდ ბიბლიოთეკიდან შეძლო მისი გამოტანა. სადაც მაშინ არ მომცა წაკითხვის ხელა. წელს კი მეორე ნაწილი სიბრძნეა. მე აღარ მომიტოვია ნებართვა, დავიწვე კითხვა და ვეღარ მოვიცილებდი. ვაკეთებდნენ ვსწავლობდი, თუ საჭმელს ვჭამდი, თქვენი წიგნი ბედო და ვკითხულობდი. ძალიან გააცივდა. რა კაჯად ახიობთ წიგნის დასაწყისში — ქართულ ხმალითა საგოდებელს: ძართლა ქართულ ხმალს ქარქაში არ ღირსებია. ახლა უკვე მოუთმენლად ველი მესამე წიგნს. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო მეორე კლასში წავიკითხე. მაშინ ძალიან მომეწონა და ინტერესითა ვკითხულობდი. შექმდე კი აღარა, მიუხედავად, რომ იქ ცოტა რამ გწერა; ვკითხულობდი ისტორიულ მოთხრობებსაც, მაგრამ მეტი მინდოდა მცოდნოდა. ამას კი თქვენს წიგნში ვკითხულობ.“

პატივისცემით III-ა კლასის მოსწავლე ამიკო პერტია“.

მწერალმა პატარა მამულიძემ მოსწერა:

„მშენიერო ქართველო ყმაწვილო, ამიკო პერტია!

თქვენი საოცარი წერილი დაგვიანებით წავიკითხე და უმაღლე პასუხს გაახლებო.

აღტაცებული ვარ თქვენი გონების სინათლით, ზნემაღალი აღზრდილობით და ეგზოტ „ნადრევი განსწავლულობით“.

მადლობა ღმერთს, რომ მაინც და მაინც გვეზრდებიან თქვენისთანა მამულიძე-შვილები.

მადლობა თქვენს დედას და მამას ეგზოტ „დიდი ბიჭის“ გაზრდისათვის. მაპატიეთ, რომ „უქარქაში ხმლების“ I-II წიგნებს ვერ გიგზავნი (უბრალოდ — აღარ მაქვს). მე-3 წიგნს კი აუცილებლად მოგიძღვით.

გოცნით მრავალგზის, მომავალი საიმედო მამულიძელო! თქვენი ლევან სანიკიძე“.

\* \* \*

ბათუმელს ახსოვთ ამბროსი პერტია. ჭეშმარიტად სახალხო ექიმი, მომხიბვლელი ადამიანი, უანგარო კაცი. დაგიწყება არ უწერია ნიჭიერ დასტაქარს ნოდარ პერტიასაც.

სიცოცხლის სადარაჯოზე კვლავაც საიმედოდ დგას პერტაების ოჯახი-ექიმთა დინასტია. ბევრს ახსოვს ამ ადამიანთა კეთილი, უანგარო სამსახური, კიდევ ბევრს მალამოდ დაედება მათი მადლიანი მარჯვენა.



# რსსსკ-ის მეცნიერებათა აკადემიის მიმოხილვა

## დიდი გზის ეტაპები

ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს

3. ი. ლენინი

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთიდან აღმოსავლეთში, რუსეთში გადაინაცვლა. ეს შემთხვევითი არ იყო. საამისო პირობები დიდი ხანია მზადდებოდა.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე. მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი წინასწარმეტყველებდნენ საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის რუსეთში გადანაცვლებას. ისინი სიყვარულით იხსენიებდნენ რუს ხალხს და მის განმათავისუფლებელ ბრძოლას, აღფრთოვანებული იყვნენ მისი გმირული წარსულითა და აწმყოთი, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდნენ რუსეთის პროლეტარიატს, როგორც რევოლუციურ შესაძლებლობათა უშრეტ წყაროს. სწორედ ამიტომ, კ. მარქსი წერდა „ამჯერად რევოლუცია აღმოსავლეთში დაიწყებაო“.<sup>1</sup>

ლონდონში სლავთა მიტინგისადმი მისალმებაში 1851 წელს კ. მარქსი და ფ. ენგელსი წინასწარმეტყველურად აღნიშნავდნენ, რომ პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ რევოლუციურმა მოძრაობამ რუსეთში გარდაუვალად უნდა მიგვიყვანოს რუსეთის კომუნის დაარსებამდეო.<sup>2</sup>

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში (1882 წ.) მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ რუსეთი ევროპაში რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს წარმოადგენსო.<sup>3</sup>

ჩართლაც, რუსეთის მუშათა კლასი 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბრძოლო დროშებით გამოვიდა. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო პროლეტარიატის უდიდესი ბრძოლისუნარიანობის მობილიზაცია და კონსოლიდაცია. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა შეეძლო რევოლუციურ პარტიას. მაგრამ/ასეთი პარტია რუსეთში XIX საუკუნის დასაწყისამდე არ არსებობდა. თვითონ ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში ახალი ტიპის პარტიის შექმნის საკითხი, პარტიისა, რომელიც პრინციპულად განსხვავებული იქნებოდა დასავლეთ ევროპის ოპორტუნისტულ-რევოლუციონისტული პარტიებისაგან. მხოლოდ ასეთ პარტიას შეეძლო სათავეში ჩადგომოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას, დაემხო „ხალხთა საპყრობილე“ და დაემყარებინა დემოკრატიული წყობილება. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა.

ჯერ კიდევ 1895 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინმა გააერთიანა პეტერბურგის 20-მდე სოციალ-დემოკრატიული წრე და ჩამოაყალიბა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“. ეს იყო ახალი ტიპის პარტიის სერიოზული ჩანასახი.

ვ. ი. ლენინმა, პირველ რიგში, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა „მკირე თეორიის“ მქადაგებლებს — ლიბერალურ ნაროდნიკებს, რომელთაც კაპიტალიზმის თვისებების მცენარედ მიანიდათ და მას „უღლეურს“ უწოდებდნენ.

მეორე მხრივ, მუშათა რევოლუციური მოძრაობის გზაზე დიდ დაბრკოლებას ქმნიდნენ „ლეგალური მარქსისტები“, რომლებიც თავს მარქსისტებად ასაღებდნენ, სინამდვილეში სულსა და გულს აცლიდნენ მარქსის მოძღვრებას, უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას. ლენინი მათ შეუპოვრად ებრძოდა, როგორც მარქსიზმის ფარულ მტრებს.

განსაკუთრებით დიდი ბრძოლა დასჭირდა ლენინს ისეთი ოპორტუნისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ, როგორც იყო ეკონომიზმი. „ეკონომისტები“ სავესებით უარყოფდნენ მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას.

პირველ ხანებში „ეკონომისტები“ საგრძნობი გავლენით სარგებლობდნენ მუშებს შორის, განსაკუთრებით დიდი იყო მათი გავლენა პეტერბურგსა და მოსკოვში. ამიტომ ვ. ი. ლენინი დაჟინებით მოითხოვდა მარქსისტული პარტიის შექმნას, რისთვისაც საჭირო იყო პარტიული ყრილობის მოწვევა, რომელიც გაერთიანებდა მთელს ქვეყანაში გაბნეულ მარქსისტულ წრეებსა და ჯგუფებს.

რსდმპ I ყრილობა ჩატარდა მინსკში 1898 წლის 1-9 მარტს. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება პარტიის შექმნის შესახებ და აირჩია ცენტრალური კომიტეტი, ხოლო მის ორგანოდ გამოაცხადა „რაბოჩაია გაზეთი“. სამუშაოდ, სულ მალე დააპატიმრეს ცენტრალური კომიტეტისა და ყრილობის დელეგატმა და სხვა თვალსაჩინო პარტიულ მოღვაწეთა უმრავლესობა.

ამრიგად, პარტიის შექმნას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, შეინიშნებოდა დაქუცმაცებული წრეები და პარტიული ჯგუფები ერთმანეთისაგან მოწყვეტილად მუშაობდნენ. ამიტომ მთავარ საზრუნავს კვლავ წარმოადგენდა ბრძოლა რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. სამისოდ ვ. ი. ლენინი გადაწყვეტდა როლს ანიჭებდა პოლიტიკურ გაზეთს, რომელსაც უნდა შეესრულებინა არა მარტო პოლიტიკური პროპაგანდის ტონა და ავტორიტეტის, არამედ კოლექტიური ორგანიზატორის როლიც.

ასეთი გაზეთი იყო „ისკრა“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 11(24) დეკემბერს. „ისკრამ“ პირველივე დღიდან შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. გაზეთი მტკიცედ იდგა რევოლუციური მარქსიზმის თვალსაზრისზე და თავის ფურცლებზე სისტემატურად ამხელდა ყველა ჯურის ოპორტუნიზმს და დაჟინებით მოითხოვდა მისგან სრულ გამოიჯნას.

„ისკრის“ უკომპრომისო ბრძოლას მალე დიდი შედეგები მოჰყვა — პროლეტარიატის საგრძნობი ნაწილი რევოლუციონერი მარქსისტების მხარეზე გადავიდა.

ოპორტუნიზმის მხილებაში და რევოლუციური პარტიის შექმნაში დასაოჯობელი როლი შეასრულეს ვ. ი. ლენინის ადრინდელმა შრომებმა, განსაკუთრებით ნაშრომმა „რავაკეთოთ?“.

„ეკონომისტები“ უარყოფდნენ მუშათა მასებში სოციალისტური შეგნების აარღიდან შეტანას. მათი მტკიცებით, სტიქიური ბრძოლის პროცესში მუშათა კლასი თვითონ გამოიმუშავებდა სოციალისტურ შეგნებას. ვ. ი. ლენინმა ვაცამტვერა „ეკონომისტების“ ყალბი კონკრეცია. მან ცხადყო მუშათა მოძრაობაში მოწინავე რევოლუციური თეორიის უდიდესი მნიშვნელობა. ლენინის სიტყვით, მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს.<sup>4</sup>

გაზეთმა „ისკრამ“ და ვ. ი. ლენინის შრომებმა უდიდესი როლი შეასრულეს პროფესიონალ რევოლუციონერთა კადრების აღზრდაში და ყრილობის მოწვევისათვის პირობების მომზადებაში.

„ისკრის“ გამოსვლას მხურვალედ მიესალმნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატები, რომლებიც მტკიცედ იადგნენ ლენინურ-ისკრულ პოზიციებზე და ბრძოლა გააჩაღეს ისკრული მიმართულების ქართული გაზეთის გამოსაცემად. ეს ბრძოლა დამთავრდა გაზეთ



„ბრძოლის“ გამოცემით (1901 წ.), რომელიც ლენინურ-ისკრული იდეების დაუღწევლად  
პროპაგანდისტი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

„ბრძოლა“ დიდი როლი ითავსებდა დაქუცმაცებულ წრეებისა და ჯგუფების მარქ-  
სისტულ ორგანიზაციად გაერთიანებაში. 1901 წლის 11(24) ნოემბერს შეიქმნა რსდმპ თაი-  
ლისის კომიტეტი, ხოლო იმავე წლის 31 დეკემბერს ჩამოყალიბდა ლენინურ-ისკრული  
მიმართულების ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია მუშათა-  
შორის და სულ შოკლე ხანში დარაზმა ისინი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სარძო-  
ლველად. ბათუმის პროლეტარიატი მისაბაძი გახდა მთელი რუსეთის მუშათა კლასისათ-  
ვის. ამის შესახებ გაზეთ „ისკრის“ 43-ე ნომერში ვკითხულობთ: „მუშათა მოძრაობის  
არც ერთ ძველ ცენტრში, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ბრძოლაში  
— პეტერბურგში, მოსკოვში, ხარკოვში, ოდესაში — 1902-1903 წლების მთელ საავი-  
ტაციო პერიოდში არ მხებრხდა მოგვეწყობა თუნდაც რამდენადმე მნიშვნელოვანი დემონ-  
სტრაცია... ამ მხრივ გამოჩაყლის წარმოდგენს ბათუმის კომიტეტი. სწორედ ამიტომ  
პატარა ბათუმს უფლება აქვს მიუღოცოს თავისთავს მიმდინარე წლის 9 მარტის დემო-  
ნსტრაცია“.<sup>5</sup>

ბათუმის ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვა-  
ნელობის მაღალ პოლიტიკურ დონეზე და ბათუმის პროლეტარიატის პოლიტიკურ სიმ-  
წიფეზე მეტყველებს ბათუმიდან პეტერბურგის კომიტეტის სახელზე გაგზავნილი სამი  
შეკრება. ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ქუჩის შეკრება. ბათუმის მუშები მოითხოვ-  
დნენ რუსეთის მუშათა პარტიის შექმნას, რომელსაც სათავეში ეყოლებოდა ცენტრალური  
კომიტეტი.

ამ შეკრებაზე რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა უპასუხა, რომ თავის მოვალეობად  
მიანიხი ბათუმელ ამხანაგებს აცნობოს შემდეგი: კომიტეტი ამაჟამად დასაქმებულია სწო-  
რედ სათანადო პირობებისა და ღონისძიებათა შექმნაში ამ გაერთიანების რაც შეიძ-  
ლება სწრაფად განხორციელებისათვის. აგრეთვე პარტიის ყრილობის უმოკლეს ვადაში  
მოწვევისათვის და იმედოვნებს, რომ ამ ყრილობაზე ბათუმელი ამხანაგების წარმომადგე-  
ნლებსაც შეხვდება.<sup>6</sup>

ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია ყოველმხრივ ეხმარებოდა პეტერ-  
ბურგის კომიტეტს პარტიის ყრილობის მოწვევაში და ახალი ტიპის რევოლუციური პარ-  
ტიის შექმნაში.

პარტიის II ყრილობის მოწვევას წინ უძღოდა პარტიის პროგრამის გამოუმუშავება-  
ამ საქმეში ლენინს დიდი ბრძოლა მოუხდა „ისკრის“ რედაქციაში. მან შეძლო პროგრამის  
პროექტში შეეტანა პუნქტი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

1903 წლის 17(30) ივლისს გაიხსნა პარტიის II ყრილობა (სხდომები მიმდინარეობდა  
პირველად ბრიუსელში, ხოლო შემდეგ, კონსპირაციის მიზნით — ლონდონში). ყრილო-  
ბას 26 ორგანიზაციიდან 43 დელეგატი, ესწრებოდა, მათ შორის ბათუმის ორგანიზაციის  
დელეგატიც.

დელეგატთა შემადგენლობა არ იყო ერთგვაროვანი. ესწრებოდნენ როგორც მტკიცე-  
ასევე მერყევი ისკრელები, „ეკონომისტები“, ბუნდელები და სხვები. ასეთ ვითარებაში  
ლენინსა და მის მომხრეებს დიდი ბრძოლა მოუხდათ ოპორტუნისტებთან პარტიის აგე-  
ბისა და შემადგენლობის პრინციპების გამარჯვებისათვის;

ვ. ი. ლენინმა ყველა საკითხში მოწინააღმდეგეთა გამოლაშქრებას გამანადგურებელი  
ლახვარი ჩასცა. ყრილობამ მიიღო „ისკრის“ მიერ გამოუმუშავებული პროგრამა.

პროგრამის მიღების შემდეგ ყრილობა შეუდგა წესდების პროექტის განხილვას. წეს-  
დებოს წესდების საკითხზე ბრძოლამ თავისი ისკრული ყველა მოლოდინს გადაჭარბა. გან-  
საკუთრებით დიდი დავა გამოიწვია პირველმა პუნქტმა, რომელიც პარტიაში წევრად მი-



ლებას ეხებოდა. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ფორმულირება: ლენინისა და მარქსის ფორმულირება. პირველი მოითხოვდა პარტიის წევრად მიღებული ყოფილიყო ყველა ვინც აღიარებდა პროგრამას, მარტოვალურად დაეხმარებოდა პარტიას და იმუშავებდა მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში. მარტოვის ფორმულირება იწონებდა ლენინის ფორმულირების პირველ და მეორე მოთხოვნას, მაგრამ სავალდებულოდ არ თვლიდა მესამეს — პარტიის ერთ-ერთ ორგანიზაციაში მუშაობას. მარტოვის ფორმულირება ფართოდ უღებდა კარს ყველა შერყვე არაპროლეტარულ ელემენტს.

სამწუხაროდ, ყრილობამ მიიღო წესდების პირველი პარაგრაფი მარტოვის ფორმულირებით. ასე გაგრძელდა 1905 წლამდე, როცა პარტიის III ყრილობამ გააუქმა იგი და მიიღო პარტიის წევრობის ლენინური ფორმულირება.

ყრილობამ უარყო ბუნდის მოთხოვნა ეცნოთ იგი ებრაელი მუშების ერთადერთ წარმომადგენლად. ყრილობამ უარყო აგრეთვე „ეკონომისტების“ მოთხოვნაც, რათა მათი საზღვარგარეთული კავშირი ეცნოთ პარტიის წარმომადგენლად საზღვარგარეთა.

უკმაყოფილო ბუნდელეებმა და ორმა „ეკონომისტმა“ ყრილობა დატოვეს. ამის შემდეგ ძალთა თანაფარდობა შეიცვალა ლენინისა და მისი მომხრეების სასარგებლოდ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და „ისკრის“ რედაქციის შემადგენლობის არჩევის დროს ლენინელებმა დიდი გამარჯვება იხეიშეს. ამ შემთხვევიდან ლენინის მომხრეებს ეწოდა ბოლშევიკები, ხოლო დამარცხებულ მოწინააღმდეგეებს — მენშევიკები.

ყრილობაზე ბოლშევიკების გამარჯვებაში და მარქსისტული პარტიის შექმნაში მოკრძალებული წვლილი შეიტანა ბათუმის ისკრულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ. მისმა წარმომადგენელმა ყრილობაზე ყველა საკითხზე მხარი დაუჭირა ლენინისა და ლენინელების.

პარტიის მეორე ყრილობას ფრიად საპატიო ადგილი უკავია სკვპ ისტორიაში. ყრილობაზე შეიქმნა ახალი ტიპის მარქსისტული (ბოლშევიკური) პარტია, რომლის სახელთან და ხელმძღვანელობასთან განუყრელად არის დაკავშირებული დიდი ოქტომბრის გამარჯვება და მძლავრი სოციალისტური საზოგადოების აშენება. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მოკლე ისტორიულ ვადაში წარმატებით განხორციელდა კვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და კულტურული რევოლუცია. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში.

დღეს საბჭოთა კავშირი მტკიცედ უდგას სათავეში მშვიდობისათვის მებრძოლ ხალხს. როგორც სკვპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, „...კომუნისტები მუდამ იყვნენ ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლები, დღეს კი ისინი იბრძვიან კაცობრიობის ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის, ადამიანის სიცოცხლის უფლებისათვისაც“.

**პარმენ ცაჭიბანიძე,**  
პროფესორი

**შენიშვნები:**

- 1 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1947 წ., გვ. 311.
2. იგივე. გვ. 348.
- 3 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 3.
- 4 ვ. ი. ლენინი, ტ. 5, გვ. 461-462.
- 5 გაზ. „ისკრა“, № 43, 1903 წლის 1 ივლისი.
- 6 გაზ. „ისკრა“, № 23, 1902 წლის 1 აგვისტო.



## მ რ ი ქ ე ი ს ს ო ფ ე ლ ი

ავტომანქანამ ცენტრალური გზიდან სოფელ ბობოყვათისაკენ გადაუხვია და მდინარე დეხვას ხეობას აუყვა.

წინ ქობულეთისა და შუახევის რაიონების მოსაზღვრე მთავრების ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე შეფენილი სოფელი გადაგვეშალა, მდინარე ორად რომ ჰყოფს.

აჭაურბა ჩაის პლანტაციებს, ციტრუსოვანთა და ხეხილის ბაღებს დაუშვინებია. საკოლმეურნეო შრომის, საბჭოთა წყობილების ცხოველყოფილობაზე ისიც შეტყველებს, რომ სოფელში შვიდასამდე კაპიტალური ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლია, ორას ეზოში მსუბუქი ავტომანქანაა. სვეტიანი კულტურის სასახლია და კოლმეურნეობის კანტორის, აფთიაქის, მუზეუმისა და სხვა ობიექტების ნახვის შემდეგ თავს ქალაქში წარმოიდგენთ.

დაგვა ორი ძმის სოფელია. აქ ქართველებთან ერთად ბედნიერად ცხოვრობენ და შრომობენ ბერძნები, რომლებმაც სიყვარული და პატივისცემა დამსახურეს.

ეს ახლა, მაგრამ ასე როდი იყო უწინ, სიღატაკე, უმეტრება და უუფლებობა სულს უბუთავდა ქართველებსა და შემოხიზნულ ბერძენებს, რომლებმაც იძულებული იყვნენ აქ დასახლება. მათ არჩევანი მოუწონა ციხისძირ-ჩაქვის მფლობელმა, ცნობილმა პატრიოტმა ხუსეინ ბეჟანიძემ. მან შრომისმოყვარე ბერძნებს თავისი სოფლების რამდენიმე უბანი უსასყიდლოდ დაუთმო, რაც ქალაქ ათენში 1908 წელს გამოქვეყნებულ იქნა კალფოლოლუს წიგნშიც „ბერძნები კავკასიაში“ აისახა.

— ჩვენი წინაპრების პირველი ნაკადი 1881 წლის მარტში დასახლდა დაგვაში. ესენი იყვნენ კაპასაკალიდები, კოვიტიდები, სიდორაშულოები, საღვარიდები, ლაზარიდები და სხვები, სულ 21 ოჯახი, — გვეუბნება კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი დიმიტრი ცაცანიძე.

მოსულებს მოეწონათ ქართული მიწა, უწყინარი, შრომისმოყვარე, სხვების გამტანი ადგილობრივი მოსახლეობა, მალე შეეზარდნენ ერთმანეთს და კიდევაც დამეგობრდნენ. ჩემს თანამემამულეებს სიღატაკის, რელიგიისა თუ ეროვნული წარმოშობის გამო აქ ისე არ დევნიდნენ, როგორც ოსმალეთში. ერთი სიტყვით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოხიბლეს ჩვენი წინაპრები, შეიხიზნეს ისინი და გვერდშიც ამოუდგნენ. და, აი 1907 წელს დაგვას ბერძენთა უფრო დიდი ნაკადი ეწვია. ამ დროისათვის მათმა რაოდენობამ უკვე 602 კაცს მიაღწია.

რა თქმა უნდა, ბერძენებსაც უჭირდათ ცხოვრება. მეფის მთავრობა მათაც არაფერში არ უმართავდა ხელს და 1910-1912 წლებში დაიწყო ციტრუსოვანთა გაშენება, თუმცა ვერც ამან შეიტანა გარდატეხა დაგველთა ცხოვრებაში. ისინი კვლავ ღარიბად ცხოვრობდნენ. არ ჰყავდათ ექიმი, აგრონომი, მასწავლებელი, არ ჰქონდათ გზა, სკოლა, მაღაზია და ასე შემდეგ.

ოქტომბრის რევოლუციამ ბედნიერი ცხოვრების იმედი ჩაუწერა მშრომელ ადამიანს, 1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, 22 მარტს კი დაგველებმა მიტინგი მოიწვიეს და ერთსულოვნად მივსალმნენ მუშათა და გლეხთა

ხელისუფლებას, ოქტომბრის ბელადს, დიდლენინს და აქტიურად ჩაებნენ ახალი  
ვოცის საფუძვლაზე.

ჯერ ვა გიყვანეს, შემდეგ ქოხ-სამკითხველო და სკოლა ააგეს, ჩამოაყალიბეს კო-  
ოპერატივი, 1929 წელს — თიყის დამამუშავეელი ამხანაგობა, რომლის ბაზაზე 1931  
წლის თებერვალში არტელიც შეიქმნა.

კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გერასიმე  
ანდრიადი ახის თაობაზე გვიამბობს: ვავერთთანეთ გამწვევი ძალა და წვრილი სასოფლო-  
სამეურნეო ტექნიკა, ერთად შევეუტიეთ ეკალ-ბარდს. სახელმწიფომ გამოგვიყო ფული,  
იხვეტაოი, ავაგეთ ოთოთახიანი კახტორა და ჩაის გაშენებასაც შევეუდეით, შემდეგ ცი-  
ტრუსებიც დავოგეთ, რამაც მალე იოგვეცა სასურველი შედეგი, საკოლმეურნეო შრომი-  
საკენ მოაბრუნა ძველი სოფელი, მშრომელებს საკუთარი ძალისა და მომავლის რწმენა  
ჩაუნერგა. ყოველთვის ქებით ვიხსენიებთ პირველ კოლმეურნეებს ივანე და დიმიტრი  
სიდორიაშვილების, შველულ და ახმედ გოლომანიძეებს, პროკოფი გონიადის, მათე კაკო-  
სიმიდის, პუნმა სოფიანიძისა და სხვებს.

ჩვენი პირველი თავმჯდომარე იყო ალექსი ამირიდი. იგი 1933 წელს ცეცხლაურის  
მეურნეობის დირექტორად დანიშნეს, ხოლო მის ადგილას ყოფილი ბათუმელი მუშა  
ქრისტეფორე ლავასაი ავირჩიეთ. იგი ადრე სასოფლო საბჭოში პარტიულ საქმიანობას  
წარმართავდა.

მე თავმჯდომარედ 1957 წელს ამირჩიეს. ამ პოსტზე დავყავი 17 წელი. სოციალის-  
ტური შრომის გმირის წოდება კი 1949 წელს მომიენიჭა. მაშინ მთავარ აგრონომად ვმუ-  
შაობდი.

1935 წელს მიიღეს არტელის წესდება და საკოლმეურნეო სავარგულებს 321 ჰექტარ-  
ი შემატეს. ინტენსიურად აშენებდნენ ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურებს. 1937  
წელს სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 608 ტონა ჩაის ფოთილი, დიდძალი მანდარინი და  
ფორთოხალი. ომის წინა წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა სამი მილიონ მანეთზე  
მეტი შეადგინა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი იყო აჭარაში. პირველი სტა-  
ნანოველები გახდნენ მარია და მადალინა გონაუდები, კერეკი მურადოვა, კალიბ პავ-  
ლიდი, ელენე ეფრემიდი, მურად ჯინჭარაძე, ავაფი სტილიდი, ლავრენტი სიმეფლიდი,  
მუსტაფე დუმბაძე, ანესტი გერასიმიდი და ფილიპე სტეპანიდი. მათმა მკლავმოუღლემა  
შრომამაც განაპირობა ის, რომ კოლმეურნეთა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამო-  
ფენის მონაწილე გახდა, დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომითა და მსუბუქი ავ-  
ტომანქანით. ამ დროისათვის დაგველი კოლმეურნის ოჯახის საშუალო წლიურმა შემო-  
სავალმა 825 მანეთს მიიღწია, მაშინ, როცა აჭარაში საშუალოდ 685 მანეთი ნაწილდ-  
ბოდა. ამრიგად, უკვე დაგველს რვაჯერ მეტი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე, 1921  
წელს. სოფელი ეკონომიკურად ისე მოღონიერდა, რომ 1940 წელს ბობოყვათის კოლ-  
მეურნეობასთან ერთად საკუთარი ელექტროსადგურიც ააგო. საბჭოთა წყობილება ამ  
მოკლე ხანშიც კი ძირფესვიანად გარდაქმნა დაგველთა შრომა და ყოფა-ცხოვრება, ხე-  
ვითა და ბარაქით აივსო ნალები. ახალაგებულ სახლებში „ილიჩის“ ნათურები აკიაფდა.  
ქართველებისა და ბერძენების თავისუფალმა შემოქმედებითმა შრომამ სოფელი მართლაც  
ბაღნარად აქცია, ახალი ძალითა და მონდომებით შეუდგნენ უფრო დიდი მიჯნების გაღა-  
ლახვას, მაგრამ არ დასცალდათ... დაიწყო დიდი სამამულო ომი!

დაგველებიც ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. ბევრმა მთავანმა სიცოცხ-  
ლე ანცვალა სამშობლოს თავისუფლებას.

მრავალი ჯილდო დაიმსახურა სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკმა ირაკლი  
ცერმინიდიმ. რაინის, მშობლიური სოფლის მთავარი ექიმიც იყო, ახლა კი პენსიაზეა.

მტერზე გამარჯვების ბედი ზურგშიც წყდებოდა. სოფელში 91 ჰექტარით გაზარდეს  
სამარცვლე კულტურების ფართობი, მარტო 1943 წელს აწარმოეს 719 ტონა ჩაი, 386  
ტონა ციტრუსი, 60 ტონა ტუნგი. დაგველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სატანკო

ძღვეამოსილად დამთავრდა სამამულო ომი. საბჭოთა ხალხი შეუდგა დანგრეული სა-  
ხალხო მეურნეობის აღდგენას. დიდი ჯაფა დასჭირდათ დაგველმსაც, რათა მოკლე პე-  
რიოდში დაწეოდნენ ომაღელ დონეს, შემდეგ კი ახალი მიჯნები დაელაშკრათ.

— თავდადებულად ვშრომობდით. მშრუხველობას არ ვაკლებდით პლანტაციებსა და  
ბაღებს, ვითვისებდით ახალ ნაკვეთებს, თუმცა ბევრი ვეკაცი აღარ დაბრუნებია სო-  
ფელს, ამასთან გვაკლდა სასუქები, ტექნიკა, ინვენტარი, — ამბობს სოციალისტური შრომის  
გმირი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი პერიკლი კასიტერიდი.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს შრომას. 1948 წელს 12 და-  
გველს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოგვენიჭა, სამს ლენინის ორდენი გადა-  
ვცა. პირველ გმირებს შორის იყვნენ ქრისტეფორე ლავასასი, გერასიმე ანდრიადი, ლა-  
ზარე კიმიციდი, ხატიჯე ემინაძე, ოლა მურადოვა, კალიოპე პავლიდი, სოფიო სიძველი-  
დი, ფეოფანტ ნეანიდი, ხარლამპი სემიონიდი და სხვები. სოფელს 1950 წელს კიდევ  
სამი გმირი შევამატა.

1953 წელს საბჭოლოდ ჰექტარზე აიღეს ხუთი ათას 799 ცილოვარში ჩაის ფოთოლი —  
ყველაზე ხეტი აქაოასი. 1958 წელს ათასტონიან ზღუდეს გადააბიჯეს. ასევე იმატა ციტ-  
რუსოვანთა საფოფის, მეტხოველეობის პროდუქტების დამზადებამ. მომდევნო წელს კო-  
ლმეურნეობის იმ ბრიგადას, რომელსაც მათე კოვიტიდი ხელმძღვანელობდა, ქობულეთის  
რაიონში პირველს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი.

კოლმეურნეობას 1970 წელს ჰქონდა 23 ავტომანქანა და ტრაქტორი: ეს მაშინ, რო-  
დესაც 1924 წელს მთელ აქაოასში ოთხი ავტომანქანა იყო. თვალსაჩინოა სოფლის ბოლო  
წლების ფერისცვალება. ამის თაობაზე კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანსა  
დომიტრი ცაცანიდიმ გვიამბო:

1973 წელს 1535 ტონა ჩაის ფოთოლი დავამზადეთ. 1980 წელს 664 ტონით მეტი,  
ხოლო შარშან 2272 ტონა. შორს გაითქვეს სახელი ჩვენმა ნოვატორებმა აღექსასდრა კა-  
სიტერიდიმ, ნანული და ყუყუნა ზოიძეებმა, ხაჯერ ქათამაძემ, ნანული კესოვამ, სინა და  
ელენე კასიტერიდებმა, მზია მადონივილიმა, მარია ფოკაიდიმ. მემედ ბროლაძემ, საქარ-  
თველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ელენე პავლიდიმ და სხვებმა.

დავეს კოლმეურნეობა გამორჩევა ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლითაც. 1975  
წელს 817 ტონა მანდარინი და ფორთოხალი მოვიწიეთ, შარშან უფრო მეტი. კოლმეურ-  
ნეობის შემოსავალი წელს სამ მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ამ ბოლო დროს ავაგეთ ხიდი, ბაგაბალი, აბანო, ფურნე, საფუთავი ქარხანა, დაეღ-  
ვით სატელევიზიო ანტა, გაფიყვანეთ წყალსადენი, ვამონტაჟებთ 300-ნომრიან ავტომატურ  
სატელეფონო სადგურს. ვამაყობთ იმითაც, რომ ჩვენი თანასოფლელები კიმი ცაცანიდი  
და ივანე სიმეფლიდი პროფესორები არიან. ისინი მოსკოვში მოღვაწეობენ, ოდესაში —  
დოცენტი ნიკოლოზ კაკოსიმიდი, ანასუელში — ახილეს ლაზარაიდი, ხოლო მურად კარა-  
ბუტაძე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატია და მოსკოვის ერთ-ერთ ინსტიტუტში მოღვა-  
წეობს.

ასე ხელიხელჩაკიდებული შრომობენ და ცხოვრობენ ორი ძმის სოფლის — დავეს  
მშრომელები, ასე ეგებებიან ისინი ხალხთა ძმობის დღესასწაულს — გეორგიევსკის ტრაქ-  
ტატის 200-წლისთავს. ამ ტრაქტატმა ხომ ქართველი ხალხი, საქართველოში მცხოვრები  
ყველა ერის წარმომადგენლები სამუდამოდ დაუკავშირა დიდ რუსეთს. დაიცვა ფიზიკური  
განადგურებისაგან.

ამიტომაც არის ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ზეიმი დაგვაში მცხოვრე-  
ბი ყველა მშრომელის ნათელი დღესასწაული.

აღმოსავლეთი გეოგრაფიკა  
და მისი გეოგრაფიკული

დისციპლინა — ზნეობის სათავე

ჩვენი ქვეყნის მშრომლები ერთსულდოვნად უჭერენ მხარს სახელმწიფო კავშირის კომუნისტური პარტიის საზღვარსა და საგარეო პოლიტიკას, პარტიის კურსს, რომლის მიზანია წარმოების ინტენსიფიკაცია, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლება, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება, სახელმწიფო ცხოვრების წესის საფუძვლების განმტკიცება, მშვიდობის შენარჩუნება, თერმობირთვული ომის თავიდან აცილება. ისინი კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას ყოველნაირად განვაძლიეროთ დისციპლინა და წესრიგი, ვიმუშაოთ უფრო ორგანიზებულად და ეფექტიანად, წარმატებით შევასრულოთ სკკ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მარტისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის და დგენილებიდან „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“.

დისციპლინა კოლექტივის სახეა. შეგნებული დისციპლინა თავისუფალი საზოგადოების, თავისუფალი ადამიანის მოქალაქეობრივი სიმწიფის, მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამოხატულებაა.

„დისციპლინა“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მტკიცედ დადგენილ წესს. რომლის დაცვათ სავალდებულოა ამა თუ იმ კოლექტივის ყველა წევრისათვის.

საუკუნეთა მანძილზე ცხოვრების წესისა და იდეური მიმართულების შესაბამისად სხვადასხვანაირად წარმოდგენდნენ დისციპლინის და იგი ყოველთვის ადამიანის ზნეობრივ ღირსებასა და პოლიტიკურ უფლებასთან იყო მტკიცედ დაკავშირებული.

სოციალისტურ საზოგადოებაში თვისებრივად ახალი შინაარსითა და პრინციპებით გამდიდრდა დისციპლინის ცნება. დისციპლინა სოციალისტურ საზოგადოებაში პიროვნების თავისუფლებისა და საზოგადოების წინაშე მისი მოვალეობის დიალექტური ერთიანობის პრინციპზეა დამყარებული. არ არსებობს პიროვნების აბსოლუტური და აბსტრაქტული თავისუფლება. პიროვნება, როგორც სოციალური არსება, მოვალეობებისა და ვალდებულებების რთული მექანიზმითა დაკავშირებული საზოგადოებასთან. მარქსიზმი გვასწავლის, რომ თავისუფლება ეს არის შეცნობილი აუცილებლობა და თავისუფალი ის პიროვნება, რომელიც თავის მოქმედებაში გონიერულად ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიული აუცილებლობის გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით სოციალისტური დისციპლინა თავისუფალი ადამიანის შეგნებული ნების გამოხატულებაა. მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრის დროს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი სწორედ სოციალისტური დისციპლინის, როგორც მასების თავისუფალ შემოქმედებაზე ამხეილებდა ყურადღებას, როცა ამბობდა: „ჩვენ გვეჩვენება შეგნებული, მუშური დისციპლინა,

ისეთი, რომელიც წარმოებს დააწინაურებს. ჩვენ უნდა შევავსოთ ბრძოლა დისციპლინისათვის დიდი შინაარსით“.

სოციალისტური დისციპლინის შინაარსის სიმდიდრეს, მისი, როგორც ეკონომიკური, ზნეობრივი და პოლიტიკური კატეგორიების ერთიანობა განსაზღვრავს. ობიექტის დამატარების სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე 1983 წლის 10 იანვარს წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კახიდატი, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე დაწვრილებით ლაპარაკობდა ამ ურთიერთობის დეტალებზე და კვრძოდ მიუთითებდა: „რაც უფრო მაღალია სოციალისტური დისციპლინის დონე, მით უფრო ორგანიზებულად და შეთანხმებულად მიმდინარეობს მატერიალურ სიკეთეთა შექმნისა და განაწილების პროცესი. ამით კი სისხლბორცევიად არის დაინტერესებული თითოეული პატიოსანი მშრომელი“, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებით დიდასტურებულია, რომ დისციპლინა საზოგადოებრივი ცხოვრების წესი, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გადიდების მძლავრი საშუალებაა. მაგრამ ეს პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. მისი ეფექტიანობის ამაღლების მთავარი პირობები კომპლექსური ხასიათისა და ამ კომპლექსში წინა პლანზე დგას მისი ზნეობრივი და პოლიტიკური კატეგორიების მეცნიერული დასაბუთება და თანმიმდევრული პრობაგანდა.

\* \* \*

კლასიკური პედაგოგიკა ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის წარმატების სათავედ ჩანსალი, შეგნებული დისციპლინის დამკვიდრებას მიიჩნევდა. მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი იან ამოს კომენსკი, რომელიც სკოლას ადამიანების სახელსნოს უწოდებდა, აღზრდისა და სწავლების მთავარ პირობად დისციპლინას აღიარებდა. და პირიქით, „სკოლა უდისციპლინოდ — წერდა ის, — იგივეა რაც წისქვილი უწყლოდ-სკოლაში ყოველი საქმე აუცილებლად გაჩერდება, თუ დისციპლინა მოიშალა“.

დისციპლინის იდეა შემოქმედი, შინაგანად ორგანიზებული, შეგნებული, თავისუფალი მოქალაქის აღზრდას გულისხმობს მასწავლებლის, აღმზრდელის ხელმძღვანელობით. დისციპლინის აღზრდა რთული, დინამიური და კომპლექსური პროცესია. ამ პროცესში დისციპლინას ძირითადად ორი ფუნქციით, ორი ასპექტით განიხილავს საბჭოთა პედაგოგიკა. პირველი, დისციპლინა, როგორც აღზრდის საშუალება და მეორე დისციპლინა როგორც აღზრდის შედეგი.

დისციპლინა, როგორც აღზრდის საშუალება, თავის მხრივ მრავალ კომპონენტს მოიცავს და თითოეული მათგანი მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულებით ხასიათდება. მათ შორის თავისი პირველი და მთავარი კომპონენტი მასწავლებლის, აღმზრდელის, დამრიგებლის პიროვნებაა. თუ აღმზრდელ-მასწავლებელი გამორჩეულია საგნის დრმა ცოდნითა და განვითარებული პედაგოგიური უნარით, თუ მასწავლებელი თავის საქმიანობაში განასახიერებს შინაგანად მოწესრიგებული, დისციპლინისანი მოქალაქის ტიპიურ სახეს, — შესაბამისად მოსწავლეთა კოლექტივიც ადვილად ემორჩილება დისციპლინის კანონებს, მით უფრო ღრმად განიცდის დისციპლინის სილამაზეს.

რეჟიმის, როგორც დისციპლინის აღზრდის საშუალების — განხორციელების ძირითადი პირობაა პედაგოგიურად დასაბუთებული მოთხოვნა აღმზრდელის მხრივ. მოთხოვნა უნდა იყოს ობიექტური, დასაბუთებული, და რაც მთავარია, პრინციპული. პრინციპული და ობიექტური უნდა იყოს აღმზრდელ-მასწავლებლის მოთხოვნები ახალგაზრდის ძირითადი შრომითი საქმიანობის (სწავლა, მწარმოებლური შრომა) შედეგების შეფასების, მორალური ნორმების შეთვისებისა და დაცვის, სასწავლო და არასასწავლო დროის გონივრულად გამოყენების დარგში. ამასთან მოთხოვნა პარამონულად უნდა იყოს შეთანხმებული პიროვნების პირადი ღირსების დაცვა-გაფრთხილებასთან. ა. ს.



მაკარენკომ დისციპლინის აღზრდის პროცესში ხაზგასმით მიუთითა ორი ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის დიალექტურ ერთიანობაზე, როგორცაა ნებისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და პიროვნებისადმი; რაც შეიძლება მეტი პატივისცემის გამოხატვა. ამ შემთხვევაში დისციპლინა მასების შეგუბიდან იწყებს წარმოშობას, მასების ცხოვრებაში ჩნდება მოთხოვნილება დისციპლინაზე, რადგან თუ არ არის საყოველთაოდ დადგენილი წესების სავალდებულო დაცვა, არ იქნება კოლექტივის წევრის ნიჭის, უნარის, შესაძლებლობებისა და პირადი ღირსების გამოვლენის პირობები. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დისციპლინის აღზრდის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. დისციპლინა, როგორც ზნეობრივი კატეგორია, ვერ იქნება სრულყოფილი, თუ სისტემატური თანმიმდევრული, მტკიცე რეჟიმის დაცვისა და პედაგოგიურად დასაბუთებული მოთხოვნების საფუძველზე პიროვნებაში არ ჩამოყალიბდა მტკიცე ნებისყოფა და თვითაღზრდის მტკიცე საფუძვლები. ნებისყოფა პიროვნების ხასიათის სტრუქტურის მთავარი შემადგენელი კომპონენტია. პიროვნება, რომელსაც განვითარებული აქვს საკუთარი თავის, სურვილების, ინტერესების გონივრულად მართვის, **სასურველის** დათმობისა და **საჭიროს** შესრულების, პირადი ვნებების მოთოკვისა და სწორი, აქტიურ ცხოვრებისეულ პრინციპებზე დგომის უნარი — წარმოადგენს იმ სუბიექტურ ფაქტორს, რომელიც ტონს აძლევს კოლექტივში შეგნებულ დისციპლინის კანონებით ცხოვრებას. ამიტომ, როცა შეგნებული დისციპლინის აღზრდაზეა ლაპარაკი, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს პიროვნების ისეთი სახასიათო თვისებების აღზრდა, როგორცაა ნებისყოფა, სურვილები, თვითაღზრდისა და თვითკონტროლის უნარი, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამების უნარი და ა. შ., რომელთა ფორმირების ოპტიმალურ გარემოს კოლექტივში აღზრდა წარმოადგენს.

\* \* \*

დისციპლინა პიროვნების ხასიათის თვისებაა, მისი ნებისყოფის გამოხატულება და მხოლოდ მსჯელობა, განსჯა და ლაპარაკი შეგნებული დისციპლინის შესახებ დისციპლინის თეორიული ასპექტების დახასიათების ფარგლებს ვერ გასცილდება. თუ ამასთან ერთად არ გადაწყდა დისციპლინის აღზრდის პრაქტიკული და მეთოდური პრობლემების კომპლექსი. ა. ს. მაკარენკოს საულისხმო შენიშვნით, დისციპლინას ქმნის არა რაიმე ცალკეული „სადისციპლინო“ ზომები, არამედ აღზრდის მთელი სისტემა, ცხოვრების მთელი ვითარება. შიშით, მუქარით, დასჯით ვერ დამყარდება შეგნებული დისციპლინა. იგი, როგორც პიროვნების ხასიათის სტრუქტურული ელემენტი, აღზრდას საჭიროებს, აღზრდას თანამედროვე კოლექტივში. კოლექტივში აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია სოციალისტური პედაგოგიკის დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია. მხოლოდ კოლექტივი — წერდენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“, — სხვებთან ერთად ღებულობს ყოველი ინდივიდი იმის საშუალებას, რომ თავისი ნიჭი ყოველმხრივ განავითაროს“. ამ ფუნქციონალურ დებულებაზე დაყრდნობით, საბჭოთა პედაგოგიკურ თეორიაში ჩამოყალიბდა მწყობრივი სისტემა კოლექტივისტური აღზრდისა, ა. ს. მაკარენკომ პრაქტიკულად განახორციელა ცხოვრებაში მარქსისტული აღზრდის მიმართულება, მისი აზრით, დისციპლინის აღზრდაში მნიშვნელოვანია კოლექტივის სიმტკიცე. იგი წერდა: „უნდა აღზარდოთ არა ცალკე ადამიანი, არამედ კოლექტივი. ეს არის სწორი აღზრდის ერთ-ერთი გზა... უზრდით კოლექტივს, ვმატებთ მას სიმტკიცეს, რის შედეგადაც იგი თვითონ ხდება დიდი აღმზრდელი ძალა“.

კოლექტივის ორგანიზაციისა და აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტივის წევრთა შორის სწორი ურთიერთობის დამყარებას. ეს ურთიერთობა, როგორც ამას ა. ს. მაკარენკო აღნიშნავს, არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მეგობრობით და ურთიერთსიყვარულით. რა თქმა უნდა, მეგობრობა და სიყვარული კოლექტივში

დიდ როლს ასრულებს, მაგრამ აქ მინც მთავარია პასუხისმგებლური, ე. ი. ისეთი და-  
შოკიდებულება, როცა კოლექტივის ყოველი წევრი პასუხისმგებლობის გრძნობით  
გამსჭვალული კოლექტივისადმი. კოლექტივის თითოეული წევრი კოლექტივის წისამა  
პასუხისმგებელი. ა. ს. მაკარენკოს პრაქტიკაში კოლექტივის მსჯავრი ყველაზე დიდ სას-  
კვლად ითვლებოდა. კოლექტივის ძალა დისციპლინაშია. დისციპლინის სილამაზე აძლევს  
კოლექტივს მორალური გავლენის ძალას. აქედან გამომდინარე, კოლექტივისთვის პირ-  
ველ და ძირითად გრძნობასაც სწორედ დისციპლინის გრძნობა წარმოადგენს. კოლექ-  
ტივისტური სულისკვეთების მქონე მოქალაქისათვის დისციპლინის კანონებით ცხოვ-  
რება სულის ბუნებრივი მდგომარეობაა. იგი კოლექტივის ინტერესებით ცხოვრობს  
და მთელი თავისი ნიჭისა და უნარის შესაძლებლობებს მაქსიმალურად ახმარს კოლექ-  
ტივის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. ამრიგად, კო-  
ლექტივი თავისი სოციალური ბუნებით დისციპლინის აღზრდის მძლავრი საშუალებაა.

დისციპლინის აღზრდის სხვა ფაქტორთა შორის თავისი მნიშვნელობით უმთავრესია  
პირადი მაგალითის ძალა. ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე ინარჩუნებს ძალას  
პირადი მაგალითი, მხატვრული სახე, ისტორიული ფაქტი. პირადი მაგალითის ძალაზე  
გამაზნებელა ყურადღება ამახ. ი. ვ. ანდროპოვმა მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრის  
დროს, როცა საკითხი დისციპლინის განმტკიცებას შეეხო: „დისციპლინის განმტკიცე-  
ლის საკითხი მართა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს კი არ ეხება. ეს ეხება ყვე-  
ლას, მინისტრებით დაწყებული“. პირადი მაგალითი დისციპლინის აღზრდაში დარწმუნე-  
ბის უნიკალური ძალის მნიშვნელობით გვევლინება. ამ თვალსაზრისით მკითხველს უხვ  
მასალას აწვდის მარქსის, ენგელსის, ლენინის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახვე-  
ლი დოკუმენტები. ერთხელ ვ. ი. ლენინს საშვი დარჩა. მორიგე კურსანტი სახით არ  
იცნობდა ლენინს და უარი უთხრა შეშვებაზე. ლენინი მობრუნდა, მივიდა კომენდატუ-  
რაში, აიღო ერთჯერადი საშვი და შევიდა სახლში. კურსანტმა დაამთავრა თავისი მო-  
რიგეობა და მეთაურს მოახსენა ინციდენტის შესახებ. მეთაურმა უკვე იცოდა ამის  
შესახებ და შემდეგ კურსანტს შეეკითხა.

— შენ იცი, ვინ არ გაატარე?

— არ ვიცი.

— სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

კურსანტი ლენინთან გაიქცა ბოდიშის მოსახდელად. ვლადიმერ ილიას ძემ აუხსნა:  
არა, თქვენ ბოდიშის მოსახდელი არაფერი გაქვთ. კრემლის ტერიტორიაზე კომინდან-  
ტის ბრძანება ან განკარგულება კანონია. მი. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, როგორ შე-  
მიძლო ეს კანონი დამერღვია. მსგავსი მაგალითები უდიდეს აღმზრდელობით ზეგავლენ-  
ას ახდენს ყველაზე, ვისაც კოლექტივის აღზრდა ევალება. „პირადი ცხოვრება, რო-  
გორც ბელისკი იტყოდა, მშვენიერი სანახაობაა. იგი სულს ადაფრთოვანებს... სამოქ-  
მედოდ აღგვაგზნებს“.

დისციპლინის აღზრდის ნაცადი გზაა შრომა. „შრომა — წიგნს ნ. კ. კროსნაია, —  
ეს ის ძირითადი რგოლია, რაც გვეხმარება ჩვენ მთელი აღმზრდელობითი მუშაობის მა-  
ღალ საფეხურზე ასაყვანად“.

ამრიგად, სოციალისტური დისციპლინა დიდი მზნის მიღწევისათვის დარწმუნული  
კოლექტივის ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივი წესი ხდება და გარეგანი მოვლენ-  
იდან კოლექტივის არსებობის განვითარების შინაგან მამოძრავებელ ძალად იქცევა.  
როცა დისციპლინა კოლექტივის ცხოვრების განვითარების შინაგანი მამოძრავებელი  
ძალის ხარისხს იძენს — იქცევა ზნეობრივ კატეგორიად ანუ აღმზრდელობით ძალად,  
რომელიც მაღალადამიანური თვისებებით ზრდის კოლექტივის თითოეულ წევრს და  
ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესს.

„შრომის ახალი დისციპლინის“ (ე. ი. ლენინი) განმტკიცება და განვითარება თითო-  
ეული ჩვენთაგანის ცოცხალი საქმეა. მაგრამ განსაკუთრებით დიდი ამოცანები მინც

სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებების წინაშე დგას. სწავლების, აღზრდისა და განათლების საქმეში ფორმალისმის ყოველი წვრილმანი გამოვლენა აღნაზღვრულნი ზიანს აყენებს ახალგაზრდობის აღზრდას შეგნებული დისციპლინის სულიკვეთებით. სკკ XXVI ყრილობამ საგანგებოდ გამაზვილა ყურადღება ამ მიმართულებით და ამოცანად დაგვისახა „ავამალლოთ სკოლებში სწავლების, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ხარისხი, აღკვეთით ფორმალისმი მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის შრომის შედეგების შეფასებაში, საქმით განვამტკიცოთ ცხოვრებასთან სწავლების ეკონომი“.

დღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში, და კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება თანმიმდევრული ღონისძიებები ახალგაზრდობის სწავლების, აღზრდისა და ცხოვრებისათვის მათი მომზადების ხარისხის ყოველმხრივი ამაღლებისათვის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა შუამდობრივი სისტემა ახალგაზრდობის შეგნებული დისციპლინის სულიკვეთებით აღზრდის დარგში და განსაზღვრა მოცემულ ეტაპზე, „სხვედიალისტი დისციპლინით იქუება“. ცხოვრებაში მტკიცედ მკვიდრდება საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების გზაზე შეურიგებლად უნდა ვებრძოლოთ სოციალისტური ცხოვრებისათვის ანტიპოდურ მოვლენებს, ფორმალისმი და ბიუროკრატიზმი რა დოზითა და რა დონეზეც არ უნდა გამოვლინდეს — კლავს დისციპლინის ცოცხალ ნერვს, აქცევს მას ადამიანებზე უხეში ზემოქმედების იარაღად და პირიქით, ადამიანებთან ცოცხალი შემოქმედებით-აღმზრდელითი მუშაობა სრულყოფს და განამტკიცებს შეგნებულ დისციპლინას.

\* \* \*

შეგნებული დისციპლინის ზნეობრივი ღირებულება პიროვნების თვითდისციპლინის კულტურაში ვლინდება. აღმზრდელის, ხელმძღვანელის მომთხოვნელობისა და კონტროლიდან კოლექტივისა და თვითაღზრდისათვის კოლექტიური ცხოვრების ორგანიზაციის მეშვეობით მიმდინარეობს რთული პროცესი თვითაღზრდისა და თვითდისციპლინის, როგორც მოქალაქის პიროვნული თვისებების აღზრდისა. მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს, რომ თვითდისციპლინის სულიკვეთების ჩამოყალიბება მოითხოვს წახალისებებს და დასჯის ღონისძიებების გონივრულ გამოყენებას.

დისციპლინის განმტკიცების მთავარი რეგულატორი შრომის მეცნიერული ორგანიზაციაა, საქმის ისე დაყენება, რომ შეუძლებელი გახდეს ცუდად მუშაობა, სამუშაოს გაცდენა თუ საერთოდ სამუშაოდან წასვლა. ეს აზრი ედო საფუძვლად სოციალისტური შრომის გმირის ვ. გ. კობაროვის სიტყვის შინაარსს, რომელიც მან ამხ. ო. ვ. ანდროპოვთან საუბარში ჩამოაყალიბა: „ეაღდებული ვართ ახლა ვიმუშაოთ ისე, რომ არავის არ შერცხვებს ჩვენს გამო. ვიმუშაოთ ისე, რომ ის გვემბო. რომლებიც დაგვისახეს პარტიის XXVI ყრილობამ, სკკ ცენტრალური კომიტეტის მისისა და ნოემბრის პლენუმებმა, უბრალოდ კი არ შევასრულოთ, არამედ შევასრულოთ სულითა და გულით, ვადაქარბებით“. სახელოვანმა ჩარხმშენებელმა კომუნისტმა შემდეგ დასძინა: „დისციპლინა, როგორც თქვენ იუბი ვლადიმერის ძვე სამართლიანად ბრძანეთ, ეს მართოდენ და გვიანების წუთების დათვლა როდია“. დისციპლინა არ არის დაგვიანებული წუთების დათვლა, დისციპლინა შრომის მაღალი კულტურაა, მისი განმტკიცება ჩვენი ცხოვრების ლოგიკით წარმოშობილი აუცილებლობაა. რაც უფრო წინ წაიწევს კომუნისტური მშენებლობის საქმე და ამაღლება ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე, მით უფრო გაიზრდება შეგნებული დისციპლინის ზნეობრივი ღირებულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მტკიცე, შეგნებული, სოციალისტური დისციპლინა ჩვენი წინსვლის აუცილებელი გარანტიაა.

## ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის

ბათუმის წარსულის კვლევას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მართალია, ამ პერიოდში მრავალი რამ გაირკვა—დადგინდა, მაგრამ ბევრიც ჯერ კიდევ შესასწავლია. ამ მხრივ აღსანიშნავია ბათუმის, როგორც ქალაქის, არსებობისა და საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მისი მნიშვნელობის საკითხი, ე. ი. იყო თუ არა ბათუმი, როგორც ქალაქი, ვთქვათ, ანტიკურ ხანაში ან ფეოდალურ ეპოქაში თუ არ იყო, როდის გაჩნდა იგი და რა როლი შეასრულა ქვეყნის ისტორიაში.

სხვათაშორის, მეცნიერულ ლიტერატურაში არაერთხელ იყო ამ საკითხზე პასუხის გაცემის ცდა. ყველა მკვლევარი, ვინც კი შეეხო მას, აღნიშნავს ბათუმის, როგორც ქალაქის, მით უმეტეს, როგორც „მნიშვნელოვანი ქალაქის“, არსებობას ანტიკურ ხანაში და ფეოდალიზმის ეპოქაშიც. ეს აზრი ყველაზე მკვეთრად ჩამოაყალიბა ვლ. სიკინავამ. მისი სიტყვით, ბათუმი, როგორც ქალაქი, როგორც ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრი და სტრატეგიული დანიშნულების პუნქტი, არსებობდა ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში:<sup>1</sup> ბათუმი „თავდაცვისა და შეტევის ზღუდეს წარმოადგენდა“ ახ. წ. VI საუკუნეში, კერძოდ „ზერძენთა და სპარსელთა შემოსევების ხანაში და შემდგომშიც“;<sup>2</sup> თავისი დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა მას, თურმე, შუა ფეოდალურ ხანაშიც შეუნარჩუნებია.<sup>3</sup> ახლახან ასეთივე აზრი განავითარა მ. გაბაშვილმაც. იგი აღნიშნავს, ბათუმი და გონია „ძველი ქალაქებია“, რომლებიც „ანტიკურ ხანაში... მნიშვნელოვან (სტრატეგიულ თუ სავაჭრო ეკონომიკური თვალსაზრისით) ქალაქებად ითვლებოდნენ“.<sup>4</sup>

ჩვენი აზრით, ბათუმი არ შეიძლებოდა ყოფილიყო დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქი ძვ. წ. I ათასწლეულში. იგი ასეთი არ იყო არც ახ. წ. I და II ათასწლეულშიც. ცხადია, ამიტომ მას არც შეუსრულებია დიდი როლი ანტიკური ხანის თუ ფეოდალური ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ ბათუმის, როგორც დასახლებული პუნქტის, ისტორია „გორა“-დან იწყება. გორა ადამიანის უძველესი საცხოვრებელია, მაგრამ არა პირვანდელი. იგი მასზე აღის მაშინ, როცა პირველყოფილი საზოგადოების სოციალურმა ორგანიზაციამ (ჯგარი, სახლი) დასტოვა გამოქვაბული და ბუნებრივ-კლიმატური პირობებით ხელსაყრელ პუნქტებში დასახლდა. თავდაცვის ინტერესები ითხოვდა მიუვალ ადგილებს, რასაც ადამიანი ხელოვნურად ქმნიდა ან კიდევ ირჩევდა ხევებით თუ თხრილებით გამაგრებული გორაკების სახით. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის მდ. ყოროლისწყლის შესართავთან არსებული ბათუმის გორაც.

საცხოვრებლად გორა გარკვეულ დრომდე გამოიყენებოდა. ცხოვრების შემდგომი წინსვლის შედეგად ადამიანმა დასტოვა იგი და დაბლა, „გორის ძირს“, ჩამოვიდა.<sup>5</sup>

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული ექსპედიციის მიერ ბათუმის გორაზე წარმოებული არქეოლოგიური

\* საკითხის განხილვის წესით.

სტატიაში დასმულ საკითხზე თავისი აზრის გაცნობისათვის მადლობას მოვასხენებთ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დ. ხახუტაიშვილს.



ვათხრების შედეგად ნაპოვნი საინტერესო მასალა ადასტურებს აქ მოსახლეობის უწყვეტ და ინტენსიურ ბინადრობას ძვ. წ. II ათასწლეულიდან. ჩანს, ძველ ბათუმელთა განმარტებულ რწმუნებებს დაწინაურებაც უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან აქაურ მოსახლეობას სავაჭრო-ეკონომიკური კავშირიც კი ჰქონდა ბერძენ მოსახლემწეებთან.<sup>5</sup> ამის მიუხედავად, დღეისათვის მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მაინც არაა საკმარისი ძვ. წ. I ათასწლეულში და შემდეგაც ბათუმის, როგორც „მნიშვნელოვანი ქალაქის“, არსებობის მტკიცებისათვის. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ არ ვიციტ ბათუმის, როგორც ქალაქის, რაობა (პოლიტიკური ცენტრი იყო, სავაჭრო-სახელოსნო თუ რელიგიური), მისი დავაგემარება-განაშენიანება (საერო თუ სასულიერო დანიშნულების ნაგებობები, ქუჩები, წყალსადენი, კანალიზაცია და ა. შ.), მმართველობის ორგანიზაცია, მოსახლეობის კლასობრივი სტრუქტურა და, რაც მთავარია, ბათუმის სასოფლო რაიონი — ე. წ. ქორა ანუ, ქართული ტერმინოლოგიით, აგარანი, მისი პროფილი და გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მასშტაბი, ურომლისოდ შეუძლებელია აქ რამდენადმე მნიშვნელოვანი ქალაქი ვიგულისხმოთ.

ამიტომაც ქართული არქეოლოგები სიფრთხილით ლაპარაკობენ ბათუმის უძველეს ისტორიაზე და მოპოვებული საინტერესო მასალის მიუხედავად მაინც საკმაოდ ზომიერი დასკვნით იღარგლებიან, ა. კახიძე და შ. ინაძე სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ანტიკურ ეპოქაში ბათუმი იყო ადგილობრივი მნიშვნელობის სამეურნეო და სახელოსნო ცენტრი!

საერთოდ, ყველა დასახლებული პუნქტი არ შეიძლება ქალაქად იქცეს. ციხეები, ადმინისტრაციული თუ რელიგიური ცენტრები ასეთად მხოლოდ მაშინ განვითარდებიან, თუ ისინი, სამეურნეო თვალსაზრისით, დაწინაურებულ რაიონებში მდებარეობენ. არსებობდა ქალაქი ჩნდება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც, საწარმოო ძალთა დაწინაურების შედეგად, იწყება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, კერძოდ, მიწათმოქმედებიდან ვაჭრობა-ხელოსნობის გამოყოფა, მოსახლეობის ვაჭრულ-ხელოსნური ფენის ჩამოყალიბება, წარმოების იარაღების, კაპიტალის მოხმარებისა და მისი დაკმაყოფილების ხერხების კონცენტრაცია.<sup>6</sup>

ამ ფაქტორების წარმოჩენას ბათუმში რამდენადმე ხელსაყრელი პირობები ელვა I-VI საუკუნეებში. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ის დიდი სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიიდან ბათუმ-პეტრას (ციხისძირის) უბანზე გავლით ცხუმისაკენ (სოხუმი) მიემართებოდა. იგი რომის აღმოსავლეთ პროვინციებს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა. ვერ რომაელებს, შემდეგ ბიზანტიელებს ამ გზით გაჰქონდათ სხვადასხვა ნედლეული. ამავე გზას უკავშირდებოდა აგრეთვე ინდოეთიდან მომავალი კასპიის ზღვა-მტკვარ-რიონის სანაოსნო გზაც, რომელზეც დიდი სავაჭრო მიმოსვლა წარმოებდა.<sup>7</sup> მასხადაზე, ამ გზებს თავიანთი მნიშვნელობის გამო, უნდა დაემქარებინათ ბათუმის, როგორც ქალაქის, განვითარება. მართალია, ეს უკანასკნელი გზა უშუალოდ ბათუმზე არ გადიოდა, მაგრამ ეკონომიკურად ხელსაყრელ რაიონში მდებარეობას გავლენა უნდა მოეხდინა მისი, როგორც ქალაქის, ფორმირებაზე. ამის მიუხედავად, ბათუმი მსხვილ ქალაქ-ნავსადგურად მაინც ვერ განვითარდა. აი ამის მიზეზებიც:

ბათუმი ადრეკლასობრივ ხანაში წარმოიშვა და არსებითად იყო ამ ტიპის დასახლება (ქალაქის სოციალურ სახეს, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის არსებობა განსაზღვრავს და მასზეა დამოკიდებული). ფიოდალურმა რეეოლუციამ კი, საქართველოში VI საუკუნეში რომ დაიშალა, ასეთი პუნქტების არსებობას ძირი გამოუთხარა. ასე იყო აღმოსავლეთ საქართველოში. ახალი წარმოებითი ურთიერთობის განმტკიცება თანდათან ამცირებდა მცხეთას და აწინაურებდა თბილისს. „ათხელებდა“ არმაზს და „განადიდებდა“ კლასს.<sup>10</sup> ასე რომ, თეოდალური ქალაქი — თბილისი ადრეკლასობრივი (მონათმფლობელური) ქალაქის — მცხეთის ხარჯზე გაიზარდა.



ანალოგიური იყო ვითარება დასავლეთ საქართველოშიც. ქალაქი ბათუმი, რომელიც წყაროების მიხედვით, როგორც ცნობილია, ყალიბდება 11-VI საუკუნეებში, ე. ი. არსებითად იქმნება ადრეკლასობრივი საზოგადოების წიაღში. ცნობილი საქართველების სიახლოვის გამო, თითქოს ყველა პირობა არსებობდა დიდ ქალაქ-ნავსადგურად მისი განვითარებისათვის, მაგრამ ეს პროცესი დამეორება იმ დროს, როდესაც თვით ამ საზოგადოებას ჩვენში რღვევის ნიშნები შეეპარა. მცერა და მომდევნო საუკუნეებში საქართველოში ხომ ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვისა და ზრდის ხანაა. ასეთ ვითარებაში ქვეყნად მიმდინარე კრიზისმა შეზღუდა ბათუმის წინსვლისათვის აუცილებელი პირობები. ამან დასაბამი მისცა ისედაც სუსტი დასახლების დაკნინებას, რაც კიდევ უფრო გააღრმავა VI საუკუნეში ბათუმის მახლობლად პეტრას უძლიერესი ციხე-ქალაქის დაწინაურებამ. პეტრა ადრეფეოდალური ხანის ქალაქი იყო და პოლიტიკურ, ეკონომიკური და საეკლესიო ცხოვრების მიზიდულობის ცენტრს წარმოადგენდა.

აი ფაქტებიც:

VI საუკუნეში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე პირველობისათვის ბიზანტიასპარსეთს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში პეტრამ ძალზე დიდი როლი შეასრულა. ამის გამოა, რომ ამ ომების აღმწერ ბიზანტიელ ისტორიკოსთა (პროკოპი კესარიელი, ავთიასქოლასტიკოსი, პეტრე პატრიკიოსი, იოანე მალალა და სხვ.) შრომებში ლაპარაკია მხოლოდ პეტრაზე, რომელიც VI საუკუნის პირველ ნახევარში იუსტინიანე კესარმა „გარეზღუდისა და სხვა მიწაშენების საშუალებით გაამაგრა და ყოველხორიკ გაამშენებია“<sup>12</sup> საგულისხმოა, რომ სტრატეგიული მნიშვნელობა მან შუა და გვიანფეოდალურ ხანაშიც შეინარჩუნა. თავისი მიუჯავლობის გამო მას რუსთაველის „ქაჯთა ციხესთასაც“ აიკივებდნენ. ამავე დროს, პეტრა იყო დიდი სავაჭრო ცენტრი. აქვე იჯდა პეტრელი ეპისკოპოსიც, რომელიც საკმაოდ ვრცელ სამწყსოს განაგებდა. მისი ძალა და ავტორიტეტი მომდევნო საუკუნეებშიც ფრიად საგრძნობი იყო. ამის შედეგად „პეტრამ იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა, რამდენადაც მსგავსი ტიფლისის როლისა აღმოსავლეთ საქართველოსათვის“<sup>13</sup> ცხადია, ასეთი ქალაქის მეტოქეობას არა თუ ბათუმი, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა ვერც ვრთი ძლიერი ძველი ქალაქი (აფსარა, ფაზისი და სხვ.) ვერ შეეძლებდა.

ასეთ პირობებში თანდათან იწყება პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გადანაცვლება ძველი ცენტრებიდან. ახალი კლასი, რომელიც დროის შესაბამისად თანდათან ხელთ იგდებს ცხოვრების საღავეებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ამიერიდან პეტრადან უტევს ბათუმის ადრეკლასობრივ საზოგადოებას. ასე რომ, პეტრა იზრდება, ბათუმს კი საამისო პირობები არა აქვს. მართალია, VI საუკუნეში, პეტრენიანელთა ომების შედეგად, პირველი გარკვეულად დაზიანდა. მაგრამ ამავე მიზეზების წყალობითვე ბათუმს დიდი ხნით მოესპო დაწინაურების შესაძლებლობაც. ამიტომ, რომ ადრეფეოდალური ხანიდან მოკიდებული თვით საქართველოს შონარქიის ძლიერების დროს და შემდეგშიც, გვიანფეოდალურ პერიოდში, იგი სოფელი ან „მცირე ქალაქის“ მსგავსი დასახლება იყო და ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ საქმიანობაში რამდენადაც შესამჩნევ როლს ვერ ასრულებდა. ამის შედეგადაგრეთვე, რომ ქართულ წყაროებში ბათუმის, როგორც ქალაქის, შესახებ ცნობები XIII საუკუნემდე არ გვხვდება.<sup>14</sup> ხოლო უცხოურში იგი მხოლოდ „მცირე ქალაქად“ იწოდება. იტალიელი მისიონერის ა. კონტარინის ცნობით, 1474 წელს ბათუმში იყო „ციხე და მცირე ქალაქი“. საგულისხმოა, რომ მისივე ცნობით, აქაური მცხოვრებნი „საერთოდ ძალზე ღარიბია“<sup>15</sup> ესეც გვიანფეოდალურ ხანაში ამ პუნქტის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური სისუსტის მაჩვენებელია. მართალია, არაა გამოცხადებული, რომ ფეოდალური ქალაქი ადრინდელი ქალაქის ნანგრევებზეც აღმოცენდეს და დაწინაურდეს (საამისო ფაქტი არა ერთი იცის ისტორიამ), მაგრამ ბათუმის მიმართ ასეთი შესაძლებლობა არ იყო. იგი არ მდებარეობდა საქართველოს იმ რაიონში, რომ

მელიც ფეოდალიზაციის პროცესში კონომიკურ აღორძინებას განიცდიდა და ქვეყნის გაერთიანებისათვის იბრძოდა. თანაც სავაჭრო გზების გადანაცვლებამ (აღრე დასავლეთის ფეოდალურ ხანაში — სამხრეთით და ჩრდილოეთით, გვიან ფეოდალურ ხანაში, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა შედეგად — სამხრეთ-დასავლეთით) და ფეოდალურ-პარტიკულარისტული ტენდენციების ზრდამ XIII საუკუნიდან მნიშვნელოვნად შეზღუდეს ქალაქის წინსვლისათვის აუცილებელი პირობები.

სხვათაშორის, დასავლეთ საქართველოს ქალაქებს (მათ შორის ბათუმსაც), ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიკაძეზე, მნიშვნელოვნად აფერხებდა უაღრესად არაბელსაყრელი სავაჭრო ვითარებაც. VII-XI საუკუნეებში ხმელთაშუა ზღვაზე განუხრელად ბატონობდნენ არაბები. ამის გამო შავი ზღვა არსებითად ჩაკეტილი იყო და სანაპიროს ქართული ქალაქებიც არ მონაწილეობდნენ იმდროინდელ მსოფლიო ვაჭრობაში. არ მონაწილეობდნენ იმ უბრალო მიზეზით, რომ არაბი ვაჭრები დანიტრეცხვებული არ იყვნენ შავ ზღვაზე თავიანთი სავაჭრო ფაქტორიების დაარსებით.<sup>16</sup> მართალია, გენუელების გამოჩენით XII-XIV საუკუნეებში თითქოს შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მსოფლიო ვაჭრობასთან დაკავშირებისა და ამით ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობისათვის, მაგრამ მცირე ხნით. XV საუკუნიდან მდგომარეობა ისევ დამძიმდა, რაც აქ ოსმალთა ელობრის საბოლოო გაბატონების შედეგი იყო. ამით შავი ზღვა კვლავ აღმოჩნდა ზღოკირებული და საერთაშორისო ვაჭრობისაგან მოწყვეტილი. ცხადია, ამან უარყოფითად იმოქმედა დასავლეთ საქართველოს ისედაც სუსტ ქალაქებზე,<sup>17</sup> რაც კარგად ჩანს თუნდაც ბათუმის მაგალითზე.

ბათუმის, როგორც ქალაქის, დაწინაურება შედარებით გვიან, XVIII-XIX საუკუნეებიდან იწყება. ამას პრაკული მიზეზი ჰქონდა. ძირითადად ამ დროს მთავრდება (თანამედროვე სახით) სანავსადგურო ყურის გეოლოგიური ფორმირება,<sup>18</sup> რაც გვიანდელი რუკებით და ფოტოსურათებით საკმაო სიზუსტითაა დადგენილი,<sup>19</sup> ამ დროიდან ბათუმი „შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გემებისათვის ერთადერთ საიმედო თავშესაფარად გადაიქცა.“<sup>20</sup> ეს დაემთხვა წვირე აზიაში, შუა და მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოების დამკვიდრების ცდებს. რუს და ევროპელ კაპიტალისტებს დასაყრდენი და სატრანზიტო ბაზა სჭირდებოდათ. მოხერხებული მდებარეობის წყალობით კი ასეთად სწორედ ბათუმის ნავსადგური გამოდგებოდა.<sup>21</sup> მართლაც, ბათუმი ამ სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში მოექცა და პირველობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობაც მიიბოვა. ამან, ეკონომიკურად დაწინაურებულ რუსეთთან დაკავშირებამ და 1878 წლიდან საქონლის მსოფლიო მიმოქცევაში ჩართვამ უკვე XIX საუკუნის დამლევებიდან განაპირობა მსხვილ ქალაქ-ნავსადგურად მისი განვითარებაც. ჩანს, ამას კარგად სჭერებდა რუსეთის კავკასიური ხელი-სუფლესა, რომელმაც ბათუმის ოლქის შექმნის შესახებ დებულების გამოქვეყნებისას მეშვიდე მუხლით ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრს ბათუმს 1878 წლის 20 სექტემბერს ოფიციალურად მიჰკეთა „ნავსადგურის ქალაქის“ სტატუსი“. ამის მიუხედავად, მას მაინც არ შეუქმნეს ხელისუფლების საკუთარი ორგანო. ეს, შესაძლოა იმიტომ, რომ მთავრობა აქ სამხედრო ციხე-სიმაგრის მშენებლობას გეგმავდა.<sup>22</sup> ამიტომ უშუალოდ ბათუმს პოლიცემისტრი განაგებდა. მხოლოდ საზოგადოებრიობის დაქინებული მოთხოვნით<sup>23</sup> მისცეს მას 1888 წელს საკუთარი საქალაქო თვითმმართველობა,<sup>24</sup> რითაც საბოლოოდ დასრულდა ბათუმის, როგორც ქალაქის, ჩამოყალიბება.

ასე გვესახება ჩვენ ბათუმის ქალაქის განვითარებისა და საქართველოს ცხოვრებაში მისი როლის საკითხი.



1. ვლ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958, გვ. 14; მისივე, ქალაქ ბათუმის ძველი ისტორიიდან, ბათუმის პედაგოგიკური უნივერსიტეტი, ტ. 9, ბათ., 1962.
  2. ბათუმის ისტორიიდან, გვ. 14.
  3. მისივე, ქალაქ ბათუმის ძველი ისტორიიდან, გვ. 39-42.
  4. მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-II საუკუნეებში, თბ., 1981, გვ. 52-53.
  5. ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ისტორიკულ-გეოგრაფიული დღიურიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 141-180.
  6. ა. ინიანიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები. ვაზ. „საბჭოთა აჭარა“, №117, 1962; ა. ინიანიშვილი, ბათუმის ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. კრებული, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 73; ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის იონური და ანტიკური ეტაპები. კრებული, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძეგლები, XI, თბ., 1982, გვ. 59.
  7. ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში, თბ., 1981, გვ. 37-38; მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982, გვ. 97-98.
  8. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 4, с. 12, 40.
  9. З. Ямбольский. К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Кура через Грузию к Черному морю. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1956; ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 4, ნაკვეთი I, თბ., 1958.
  10. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 373.
  11. ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, ბათ., 1959, გვ. 81-82; აბ. სურგულაძე, ბათუმის ისტორიისათვის. კრებული, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1965, გვ. 244.
  12. ევორგია. II, თბ., 1934, გვ. 94.
- უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ომების აღწერისას ბიზანტიელი ისტორიკოსები ერთხელაც არ ახსენებენ ბათუმს. პირიქით, პროკოპი კესარიელის სიტყვით, „მდინარე ფაზისის იქითა მზარეს (ე. ი. სამხრეთით — ა. ს.) ლაზებს პეტრას გარდა სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ“ (იქვე, გვ. 150-151). ცხადია, ისტორიკოსი აუარბებს, როცა ამბობს ლაზებს არა აქვთ პეტრას გარდა „არც ერთი დასახლებული ადგილი“, მაგრამ მისი სიტყვები უდაოდ, იმაზე მიუთითებენ, რომ VI საუკუნეში, რიონ-ჰორთხის ზღვისპირა უბანზე, პეტრას გარდა, სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი მართლაც არ იყო. წარმოდგენილია პეტრა-გონიას 15 კილომეტრიან მონაკვეთზე არსებული ბათუმი, თუ კი ამ დროს (VI საუკუნე) და შემდგომშიც ნამდვილად „თავდაცვისა და შეტევის ზღუდეს წარმოადგენდა“, როგორც ამას აღნიშნავს ვლ. სიჭინავა, მოუხსენიებელი დარწმუნდათ ბიზანტიელ ისტორიკოსებს.
13. ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 30.
  14. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, XVIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის ბათუმი „მცირე ქალაქი“ იყო (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 792).
  15. Путешествия А. Контарини. Библиотека иностранных писателей о России, кн. II, с. 67-68.
  16. Е. Бартольд. Ислам на Черном море. Соч., т. 6, с. 659.
  17. მ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55-57.

18. სწორედ ახან გამოიწვია ბაუმის გადმონაცვლება მდ. ყოროლისწყლის შესართავიდან სამხრეთით. XVIII საუკუნის იგი უკვე იყო „მცირე ქალაქი“, რომელიც დღევანდელი ნავსადგურის სიმაგრესთან აღმოცენდა. /III. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии. Т. 1959, стр. 124/.

19. Д. Свишевский. Рапущение морского берега в г. Батуми. Известия Государственного географического общества, т. 71, вып. 5. М.-Л., 1939.

20. К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 9, с. 117.

21. ეს აზრი ძალზე რელიგიურად გამოხატა კონსულმა პეისონელმა (იხ. ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო ეპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში. ქუთაისის პეღინსტიტუტის შრომები, ტ. I, ქუთაისი, 1940, გვ. 120).

22. ვლ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, გვ. 78.

23. Газ. «Новое обозрение», № 530, 1885.

24. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5. თბ., 1970, გვ. 328.



## აჭარის სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობა ანტიკურ ხანაში

ანტიკური ხანის აჭარა სამცხესთან ერთად ქართლს სამეფოს ერთ-ერთ „მონაპირე“ საერისთავოს წარმოადგენს, სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით შესამჩნევად განვითარებული და აღმავლობის ზაზე დამდგარი მხარეა. ამ რეგიონში საუკუნეთა მანძილზე ქართლის (იბერიის) სამეფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ცხოვრების ყველა სფეროში იბერიული მატერიალური და სულიერი კულტურის დამკვიდრებას ჯერ ბრინჯაოს, ხოლო შემდეგ რკინის მეტალურგიაში, მისმა სამეურნეო და თავდაცვითი მიზნებით გამოყენებამ, ჩანს, ვადაწყვეტი როლი შეასრულა აჭარის სამეურნეო და კულტურულ დაწინაურებაში. როგორც ვიცით, ძველი ბერძენი მწერლები ქართველ მეტალურგ ტომთაგან მხოლოდ ხალიბებს (ხალდეებს) და მოსინიკებს ასახელებენ. ხალიბები (ხალდეები) რკინის, მოსინიკები სპილენძის ოსტატები ყოფილან. პ. უსლარი პირველი შეეხო ხალიბური რკინის მნიშვნელობას ეგეოსის აუზის ქვეყნების მეურნეობაში და აღნიშნა, რომ ფოლადის ბერძნული სახელწოდება ხალიბთა სატომო სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. მაგრამ ის ხანა, რომელშიც დასავლეთ ქართულ ტომთა მეტალურგიის შესახებ პირველი ცნობა გაჩნდა (ძვ. წ. VIII ს. „სარდურის მატეიანე“), ქართის ტომებისათვის რკინის ფართო ათვისების ადრეული საფეხურის მიწურულს წარმოადგენდა. რკინას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ყველა იმ ნედლეულთა შორის, რომლებმაც რევოლუციური როლი შეასრულეს საზოგადოების ისტორიაში. რკინამ შეცვალა განვითარებული ბრინჯაოს ხანა. თვლიან, რომ წინამძღვრები ქართული ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების ჩასახვისათვის მომწიფდა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში, როცა რკინის მეტალურგიის განვითარებამ განაპირობა მიწათმოქმედებისაგან ხელოსნობის ცალკე დარგად გამოყოფა. ამრიგად, რკინის საბადოთა პირველმა დამუშავებამ და მისმა საწარმოო გამოყენებამ დიდი როლი შეასრულა ქართული სამეფო-სამთავროებისა თუ საერისთავოების ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური წინამძღვრების მომზადებაში. ეს ფაქტი საკმაოდ დამაჯერებლად ჩანს ანტიკური ხანის აჭარის სინამდვილეშიც. „კოლხური კულტურის“ არეალში შემავალი აჭარის ზღვისპირა ზოლის მსხვილ სამოსახლოთა ინტენსიური წარმოქმნის პროცესი სწორედ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებს განეკუთვნება, რომელიც თავის მხრივ რკინის მეტალურგიის განვითარებამ განაპირობა. ამიტომ რკინის ათვისებაში არა მხოლოდ ხალიბებს (ხალდეებს) მიუძღვით წვლილი, რომლებსაც ეგეოსის ქვეყნებში თავიანთი ნახელავის ექსპორტით გაუთქვამთ სახელი, არამედ ხალიბთა (ხალდთა) და მოსინიკთა გარდა, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მოსახლე სხვა თემებსაც. ისინიც დიდად დახელოვნებული ყოფილან მეტალურგთაში. დასტურდება, რომ ჩოლოქის აუზში დღევანდელი ცეცხლურის, ჯიხანჯურის, ლევას (ქობულეთის რ.) ლაითურის, ნარუჯას, ანასეულის (მახარაძის რ.) ტერიტორიაზე რამდენიმე რკინის სახელოსნოს მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ჩოლოქის აუზში აღმოჩენილ ქურა სახელოსნოების ნაშთებთან დაკავშირებით ა. კახიძე აღნიშნავს, რომ რკინის მეტალურგია

აქაც ერთ-ერთი განვითარებული არგია, რომელიც აერთიანებს მდიდარი ემპირიული ცოდნა-ჩვევების მქონე მემთამაფე ხელოსანთა პროგრესულ ჯგუფს, ხოლო ქარხნის ნედლეული სასაქონლო სახეს იღებს, ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობდა ფიქციონარის გამსხვილებული სამოსახლოს ქააქად გადაქცევას და ბერძენ მოახალშენეთა მიზიდვას. ასეთი ცენტრი გამოვლინდა ნობ-ონჩამურისა და კიდევ უფრო მძლავრად ქოროხის აუზში (ჰარნალის ხეობა — გონიო-ჰარნალი, ხელვაჩაურის რ.). ჩოლოქის აუზში და ჰარნალის სარკინოვან ნედლეულად მაგნეტიტურ ქვიშას იყენებდნენ. ასეთი ქვიშის ერთი ყველაზე მდიდარი საბადო განლაგებულია ზღვის სანაპიროზე სულსანატანების შესართავებს შორის. ამასთან მიუთითებენ, რომ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის მდინარეთა სტა დიდი რაოდენობით შეიცავს მაგნეტიტური რკინის ფხვნილს. ხალიბების (ხალდის) მსგავსად კოლხეთის სხვა რაიონის მემთამაფენე თემების მიერ მაგნეტიტური ქვიშისაგან რკინის მიღების საკითხს ყურადღება პირველად ნ. ხოშტარიამ მიაქცია აა სათანადო ვარაუდიც გამოთქვა. უფრო მეტიც, ფიქრობენ, რომ მაგნეტიტური ვიშის ნედლეულად გამოყენება უფრო ბუნებრივი იყო ჩოლოქის აუზში, ვიდრე ხალბიაში (ხალდიაში), ხოლო როგორც ნ. ხოშტარია მიუთითებს: „...შავი ზღვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ბათუმიდან (სამხრეთით), ვიდრე ვაგრაბდე (ჩრდილოეთით) ზღვის სილა შეიცავს დაფხვნილი რკინის მადანს, ძირითადად მაგნიტს (მაგნიტური რკინაქვა)...“ ვარაუდობენ, რომ აპარის ზღვისპირა ზოლში, სოფლის მეურნეობასა და მეთევზეობის განვითარებასთან ერთად, რასაც ქსოვილიანი კერამიკის აღმოჩენაც მოწმობს, მოსახლეობას აქ რკინის წარმოებაც იზიდავდა. ქოროხის აუზი ჩინა ანტიკური ხანიდან მოყოლებული მეტალურგიის ერთ-ერთ მძლავრ კერად ერთხმად აღიარებულია არქეოლოგიურ ლიტერატურაში, ხოლო აპარა-თრიალეთი ქმნიდნენ ოლქს, რომელსაც რკინის საბადოების მიხედვით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოში. ვიხანჯურისა და ლედვას რკინის სადნობ სახელოსნოთა ნაშთები ქვემო ბოლნისის სახელოსნოთა ნაშთებთან ერთად დასავლეთ საქართველოს რკინის საწარმოთა შორის წინა ანტიკურ ხანას განეკუთვნება.

როგორც ვხედავთ, რკინის მეტალურგიამ ფართოდ შეუწყო ხელი კოლხური კულტურის აღმავლობას. ამ კულტურის სფეროში, რომელიც „კოლხური კულტურის“ სახელით არის ცნობილი, მოქცეული იყო აპარაც. რკინის ხანიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აპარაშიც ისახება საწარმოო ძაღებისა და მეურნეობის წამყვანი დარგების სწრაფი პროგრესი. არქეოლოგიურ მონაპოვარში მარცვლეულის უძველეს სახეობათა ხშირი ფიგურირება, სოფლის მეურნეობის იარაღების (სხვადასხვა ტიპის თოხები, ნაჭღები, წაღები, სეგმენტური იარაღის ზოგიერთი სახეობა, ქვის ხელსაფქვავეები) არაჩვეულებრივი სიმრავლე გვიანი ბრინჯაოს ხანის მთელ კოლხეთში, მათ შორის აპარის ზღვისპირა და მთის ზოლშიც მიწათმოქმედების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ქოროხისა და ჩოლოქის აუზების არქეოლოგიურ მასალებში ასახლებენ წინა ანტიკური ხანის რკინის წარმოების ნაშთებს (ქურები, წიღები, თიხის საბერველი მიღები, ქურათა შეღესილობის ნატეხების სიმრავლე). ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მასალებშიც მრავალადა აღმოჩენილი სამეურნეო და საომარი იარაღების (ცულები, სატევრები „ცულმახვილა“, დანები და სხვა) მრავალფეროვნება. ამგვარად, ძვ. წ. VII ს-დან კოლხეთში დგას რკინის მახვილის, გუნის და ცულის ეპოქა, რკინა ადამიანის სამსახურშია.

აპარაში გონიოს, ჰარნალის, ახალსოფლის (ქოროხის აუზის ქვემო წელი, ხელვაჩაურის რ.), ცეცხლაურის, ვიხანჯურის, ლედვას, კვირიკის, ქაქუთის (ჩოლოქის აუზი, ქობულეთის რ.) ტერიტორიაზე გამოვლინებულია რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების ნაშთები. ასეთივე ვითარება ჩანს აპარის მთის ზოლშიც სოფელ თავოში, ყინჩაურში, ფაჩხაში, ჰერში (ხელოს რ.), ახალშენში (ხელვაჩაურის რ.) მრავალადა მიეკ-

ლელი რკინის შემცველი წიდა-ზოდები (ხალხში ტერმინით რკინა-წიდაეჭვი) მღებსაც რკინის შემცველი მადნების ადგილობრივ გამოწამლვებზე მიიჩნევენ.

ნ. კახიძე მიუთითებს, რომ რკინის კულტურის სპ ცენტრებში, მისი მომთავეებელ-მემთაბანელები მჭედლებიც უნდა ყოფილიყვნენ. მჭედლობის და, საერთოდ, ლითონდა-მუშავეების ხანგრძლივი ტრადიციის მოწმობა უნდა ღოს ქვემო აჭარაში (სოფ. ცხობ-რისი, საღორეთი, ახო) ცეცხლსასრული იარაღის დამზადების ხელოვნება. საყოველ-თაოდ განთქმული იყო ამ მხრივ მაქსალის ხეობა, სადა ცნობილი „მაქსალის“ ტიპის-თოფები და დამბაჩები მზადდებოდა. გვიან საუკუნეებში ადგილობრივი მესზარბაზნე, ხელოსნებიც იყვნენ. ცეცხლსასრული იარაღის ხელოვნებაზე მოგვიხსრობს ინგლისის-კონსული პალგრევი, რომლის წევნებით, ქვემო აჭარაში აწარმოებდნენ „შამხანებს“, დამბაჩებს, ხანჯლებს და ზარბაზნებსაც. ეს მუხრე წრს, აჭარლები იარაღის წარმოე-ბაში დახელოვნებული იყვნენო.

ანტიკური ხანის აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის კერძოდ, აჭარბს არქეოლოგი-ური მასალები მოწმობს, რომ საწარმოო ძალთა განითარებაში რკინამ აქაც ვადამ-წყვეტი როლი შეასრულა. მან აქტიურად შეუწყო ხელი საწარმოო იარაღების მრავალ-ფეროვნებას, მიწათმოქმედების დაწინაურებას, ახალი მიწების ათვისებას, მესაქონლე-ობის განვითარებას. რკინის ფართო ათვისებამ ხელოვნობის სხვა დარგებსაც მისცა-ბიძგი. მალალ დონეზე ადის კერამიკული ხელოსნობა. კოლხურ კერამიკულ წარმოება-ში განსაკუთრებით დაწინაურდა ფიქვნარი. მისი ნაწარმი აკმაყოფილებდა არა მარტო შინა მოთხოვნილებას, არამედ მეზობელ რაიონებსაც სწვდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარის ზღვისპირა ზოლი ქართული კერამიკის ერთ-ერთი უძველესი კერა უხდა-იყოს და სათავეს ნეოლითის ხანიდან იღებს. სოფელ მშვილათურის ძველი, რომელსაც შეიძლება კომპლექსიც ეწოდოს, შეიცავს ანგობირებული კერამიკის ფრაგმენტებს, რომლის ხელშესახები პარალელები ჯერჯერობით დასაქლეთ და აღმოსაწლეთ საქა-რთველობა ტერიტორიაზე არ მოაპოვება. ფიქრობენ, რომ აქ აღმოჩენილი ბრტყელ-ძირიანი კერამიკა პარალელს პოულობს ადრეული თიხის ჭურჭელთან, რომელიც დამ-ჯღარ სამიწათმოქმედლო-სამეურნეო ტომებს ეკუთვნოდა. სეციალიტთა ამ აზრს დასა-ველეთ ამიერკავკასიის სხვა ნეოლითის მისაღებთან ერთად მახვილურის ნამოსახლა-რიც ადასტურებს. ფიქვნარული კერამიკა მსგავსებას ამკლავებს ოჩამჩირეში, დიხა-გუძუ-ბაში, ბათუმის ციხის რაიონში, კობში (ქობულეთის რ.), ჯურიანთაში, დაბლაგომში, ვა-წში, ქუთაისის მიდამოებსა და სხვა პუნქტებში. აღმოჩენილ კერამიკისთან. განსაკუთრე-ბით ფართო გამოყენება მიუღია დიდი ზომის ქვევრებს (კოლხურ „პითოსებს“). ირკვევა, რომ ანტიკური ხანის ადგილობრივი კერამიკა ძირითადად საზრდოობს წინა ხანის ხელოსნური და მხატვრული ფესვებით, მასში არ შეინიშნება ელნიზმის კვალი, რო-მელსაც სამხრეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ შავი ზღვისპირეთის სხვა მასალებში ვხვდებით. ამასთან, ზღვისპირა ზოლის სამოსახლოებში გაზრდილი მოთხოვნილება ჩანს იმპორტულ კერამიკაზე. სამოსახლოებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში გან-საკუთრებით ინტენსიურად ჩანს იონური (აღმოსავლურ ბერძნული) სავაჭრო სახელო-სნო ცენტრების ნაწარმი, რომელიც აჭარის სამოსახლოებში ორ დიდ ჯგუფად წარ-მოგვიდგება: პირველი ჯგუფი, შინსახმარი კერამიკის სახით, გვხვდება ბათუმისა და ქობულეთ-ფიქვნარის ნამოსახლარებზე (კუნძულ ქიოსის ნაწარმი), რომელიც უფრო არქაულია და ძვ. წ. VII ს-ის დასასრულისა და VI ს-ის შუა ხანებით თარიღდება. მისი ფრაგმენტები უმეტესწილად გვხვდება ბათუმის ციხეზე, უფრო ინტენსიურად კი VI ს-ის შუა ხანებში. ასევე დიდი რაოდენობით გვხვდება ბათუმისა და ქობულეთ-ფიქვნარში ღვინის, ზეთის ზეთის, მარცვლულისა და სხვა პროდუქტების ტრანს-პორტირებისათვის დამზადებული დიდი ზომის ჭურჭელი (ფრაგმენტები).

როგორც ვხედავთ, ანტიკური ხანის საგარეო-სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთ-ობაში ბათუმის ციხის მიდამოები ხშირად ფიგურირებს, ბათუმისა და ქობულეთ-ფი-

ქვენარის მასალებში ხშირად ჩანს კაძულ სამოსის ნაწარმიც (VI ს.), განსაკუთრებით კი სუფრის ქურქველი. ფიქვენარის, ბათუმის ციხის, ციხისძირის მასალებში კვებულ კუნძულ ლესბოსის (VI ს-ის დამკვი) ნაწარმი. ბათუმის სამოსხლოს განათაობა ხშირია (ძვ. წ. V ს-ის) სასმისეგვიძირიანი ამფორები, შედარებით მცირეა VI ს-ის ნიმუშები. ბათუმის, სოხუმის, ვანაკუთრებით ფიქვენარის მასალებში აღმოჩენილია მცირეაზიური ამფორები, რომელგან მნიშვნელოვანია ჰერაკლესა (ძვ. წ. VI-III სს.) პროდუქცია. კუნძულ ლესბოსს (ძვ. წ. VI ს-ის დასასრულისა და V ს-ის დასაწყისის) იმპორტის ნაშთები აღმოჩენილია „ნაპურვალას“ ბორცვის (ქობულეთის რ.) ნამოსახლარზე, საემაოდ მრავლად ბათუმისა და ციხისძირის ნამოსახლარებზე; ბათუმის ციხის არქეოლოგიურ მასალებში მრავლადაა წარმოდგენილი აგრეთვე კუნძულ თაზოსის (ძვ. წ. V-IV სს.) ამფორაა ფრაგმენტები, ქობულეთ-ფიქვენარში განსაკუთრებით ხშირია პერაკლეს ამფორებც (ძვ. წ. IV-III სს.), მცირე რაოდენობით კრამიტის ფრაგმენტები, კრამიტი აღმოჩენილია გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე, ამ ნამოსახლართა არქეოლოგიურ მასალებში გვხვდება ადრეული ხანის სინოპური კერამიკის ფრაგმენტებიც.

აჭარის ზღვისპირა ზოლი არქეოლოგიური მასალების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ აქ ასევე დაწინაურებულია რთვა-ქსოვის დარგი, ამას უნდა მოწმობდეს ფიქვენარში აღმოჩენილი პირაიდული საწაფები, მრავალწახანგოვანი კვირისთავები ხამქედურის ბორცვზე. ვერტიკალური დაზგა აქ ბერძნებს უნდა შემოეტანათ ძვ. წ. V ს-ში მოსახლეობის გამსხვილესთან დაკავშირებით. ეს აღმოჩენები მიგვიჩვენებს ადგილობრივი სელის წარმოების მაღალ დონეზე, ხოლო, თუ გავისხენებთ ივ. ჯავახიშვილის, პ. ყუკუკის და ე. სისკაიას მითითებებს, თვალწინ წარმოგვიდგება, რომ სელი მართლაც საქართველოს უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა უნდა იყოს. ქართული ფეიქრობის ძირძველობას მოწმობს ფიქვენარში აღმოჩენილი ქსოვილიანი კერამიკა, რომელიც ქვიშა-ზვინულების ქვედა ფენებში აღმოჩნდა, მასზე მიკვლულია სხვადასხვაგვარი ქსოვილის კვადრ. ჩანს, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეებიდან მკვეთრად იზრდება საშუარეო მოთხოვნილება რკინაზეც, ფართოვდება მოპოვებელი წარმოება (არსებულ საწარმოო კერების გაფართოება, ახალი საბადოების ძიება, შესაბამისი დამამუშავებელი კერების შექმნა).

რკინის ნაწარმზე მოთხოვნილებას, თავის მხრით, ნედლეულის მოპოვებელი დარგების გაფართოებაც უნდა გამოეწვია, ხოლო პრიმიტიული ტექნიკის პირობებში ამ სტიმულს წარმოებასა და ნედლეულის მოპოვებაში ახალ-ახალი თემები უნდა ჩაება. მიუთითებენ მის შედეგზეც: მოსახლეობის კონცენტრაცია ერთი მხრით, ნედლეულის მოპოვების რაიონში — ფიქვენარ-ჩოლოქისა და ურეკის მსხვილი მოსახლეობანი, ხოლო მეორე მხრით, რკინის დამუშავების რაიონში (დამუშავებითი წარმოება ჩოლოქის ზემო წელის რაიონში). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილის აზრით, სწორედ ამ ფაქტორებს უნდა შეეპირობებინა წინა კლასობრივი ხანის მსხვილ სამოსახლოთა წარმოქმნა ფიქვენარსა და ურეკში და დიდ ტერიტორიაზე საწარმოო კერის გაშლა.

როგორც ფიქრობენ, ანტიკურ ხანაში, როცა ფიქვენარი საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობაში ემბება, ზღვისპირა სამოსახლოები არამარტო რკინისა და თიხის, არა მდ სელისა და კანაფის წარმოებაში წინაურდება, რომლის ნახელავი საექსპორტოდ გადის. ხშირი ტყეები ხელს უწყობდა ნავსაშენი მასალების დამზადებასა, და გამოყენებას. სტრაბონი გვაწვდის ცნობას, რომ კოლხეთიდან გემებით გაჰქონდათ ხე-ტყე-შესაძლებლად თვლიან, რომ აქედან საექსპორტოდ გადიოდა საიალქნე ქსოვილიც. ამრიგად. არქეოლოგიურ მასალებში ქსოვილიანი კერამიკა, კვირისთავები, პირამიდული საწაფები, რომელთაც ვერტიკალური საქსოვი დაზგის ძაფების დასაქიმავე შეველუბად მიიჩნევენ, სხვადასხვა საწარმოო დარგების განვითარებას მოწმობს. აქ სინოპურ და პერაკ-



ლუას კრამიტის ნაშთებთან ერთად აღმოჩენილი ადგილობრივი კრამიტის, ბათქაშის და აგურის ნაშთებიც მიუთითებენ, რომ აქაური ქამიტი და თიხა ელინისტური ხანის კოლხური პითოსების თიხის სტრუქტურის მსგავსია, რომელიც ძვ. წ. IV-III ს-ის კულტურულ ფენებში გვხვდება. ამ ხანის იბერაშიც უკვე შესაძლებლად მაინცათ კრამიტის წარმოება, რომელიც საქალაქო ხელნაწერი წარმოების დიდ დარგად ითვლება. ამ მხრივ გონიოს, ბათუმის ციხის, ციხისირის, ფიჭვნარის, ვანის, სოხუმის, ბიჭვინთის და სხვა საქალაქო ცენტრების (სამშეებლო კერამიკა) შესწავლით სპეციალისტები საინტერესო შედეგებს მოელოან.

ამრიგად, ზღვისპირა სამოსახლოები ფართო ავითარებენ რკინის მეტალურგიას, კერამიკას, საფეიქრო (ყოველ შემთხვევაში, ხარისხიან ტილოს მაინც) და სხვა დარგებს, საკმაოდ მაღალ განვითარებას აღწევს სოფლის მეურნეობაც, რომლის პროდუქცია სავაჭროდ გადის მეზობელი ქვეყნების აზარზე. ამრიგად, ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში ასახულ ცნობებს აპარის ზღვისპირა სამოსახლოების უცხოეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარების შესახებ არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. ანტიკურ ხანაში ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე ფართო სავაჭრო ოპერაციები წარმოებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასა და ელინისტურ სავაჭრო ცენტრებს შორის, რამდენადაც ფიჭვნარი მდებარეობდა დიდ საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალზე, რომელიც ამოსავლეთ შავი ზღვისპირეთის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს აკავშირებდა პონტო სანაპიროებსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან. ჩნდება ვაჭართა ფენა, მთავრდება შრომის მესამე დიდი დანაწილების პროცესი. ფიჭვნარის სამოსახლო, ინტენსიური საერთაშორისო ვაჭრობის სფეროშია ჩაბმული. როგორც ფიჭვნარის ანტიკური ქალაქისა, ისე სხვა ზღვისპირა სამოსახლოების საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ჩართვას მოწმობს საკმაოდ ხშირი ნუმიზმატიკური მასალები და ფულის ინტენსიური ტრალი, რომელიც განძებში, სამარხებში, თუ სხვა მასალებში ვლინდება.

ქობულეთ-ფიჭვნარში 1948 წ. აღმოჩენილი იქნა ფ. წ. IV ს-ის შუა ხანების სინოპური დრაქიმებისა და კოლხური ტრიობოლების შერეული განძი, 1965 წ. გათხრალ სამარხებში ინვენტართან და კოლხურ ნახევარდრაქიმებთან ერთად III ს-ის სამი სინოპური ტრიობოლი. ფიჭვნარისავე ტერიტორიაზე აღმოჩენილია ელექტრუმის ქიმიკური მონეტები, მახინჯაურის მწვანე კონცხზე კი ტეტრადრაქიმები, რომლებსაც საგარეო საქონელგაცვლასა და ფულად მიმოქცევაში ეტალონებად თვლიან. მაკრიალთან (ძველი ბათუმის ოლქი) ზღვის ნაპირას 1900-იან წლებში იპოვეს რამდენიმე ვერცხლის მონეტა, რომელთაგან ერთი ლინიამაქეს დრაქიმად არის დამოწმებული.

ფიჭვნარში განძის აღმოჩენის სამივე შემთხვევაში ფიქსირებულია ადგილობრივი, „კოლხური თეთრი“ წოდებული მონეტებიც, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათას ერთეულს აღწევს. ამ მონეტების დიდი რაოდენობით აღმოჩენაზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ მას საერთაშორისო ბაზართან დამაკავშირებელი საშუაშავლო მონეტის დანიშნულება უნდა ჰქონოდა, ან კოლხეთის ზღვისპირა „ბერძნული ქალაქები“ ფართო მაწარმოებელ ცენტრებს წარმოადგენდა და ამ პროდუქციის სავაჭრო ორგანიზაციისათვის იყო მოჭრილი. შესაძლოა ეს ასეც იყოს, მით უმეტეს, რომ მისი გავრცელების არეალი მთლიანად ემთხვევა დასავლეთ საქართველოს საზღვრებს და მის გარეთ აღმოჩენის შემთხვევები იშვიათია.

ამიტომ „კოლხური თეთრი“ მხოლოდ შინაგანი ბაზრისათვის უნდა ყოფილიყო მოჭრილი. ხოლო ადრეელინისტური ხანის სინოპეს მონეტების კოლხურ თეთრებთან ერთად დიდი რაოდენობით აღმოჩენის გამო ფიქრობენ, რომ ბერძენი ვაჭრებისათვის კოლხური თეთრი აუცილებელი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ნაწარმის შესაძენად. ხოშტარია ამ მონეტების შერეულად ხშირად აღმოჩენას მათი თანამშრომლობის

ფაქტად მიიჩნევს. აჭარის მოსახლეობის საგარეო ინტენსიური ვაჭრობის დასტურად უიჭუნარში ანტიკური ტყეის საწონის აღმოჩენა. სინტერესოა გონიო-აფსარისში მქველში (III თხრილი) სპილენძის სამი მონეტის აღმოჩენა. ფაქტობრივი ნიშნების მიხედვით ისინი, დ. კაპანაძის განსაზღვრით, ძვ. წ. II ს-ით თარიღდება. ეს მონეტები ანალოგიას ბოულბენ იბერიაში (დიდომი) აღმოჩენილ მონეტებთან, რომელთა მოჭრას მიაწერენ ელინისტური ეგვიპტის მმართველს პტოლემეოსს (ძვ. წ. 180-145 წ.წ.), ასევე სელევკიდების სირიის მეფე ანტიოქოზ ევერგეტს, რომლის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები აღმოჩენილია ცხინვალში. ძვ. წ. II ს-ით თარიღდება აგრეთვე ვანის განათხარში აღმოჩენილი პონტოს ცენტრში მოჭრილი 120 ვაჭმელარი სპილენძის მონეტა, ციხისძირის განათხარში აგრეთვე ნაპოვია ანალოგიური მონეტები 1926 წ. თუმცა მისი ცენტრი და თარიღი ჯერჯერობით დაუზუსტებელი არ არის. მაგრამ გონიოს ნაქალაქარზე აღმოჩენილი სპილენძის მონეტები, როგორც ირკვევა, ძვ. წ. II ს-ეს განეკუთვნება. ამ დასკვნას ძირს უნდა უმაგრებდეს ელინისტურ ხანაში ქართლის სამეფოს სირიულ სახელმწიფოებთან სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის ისტორიული ფაქტი: ხოლო გონიოს ნაქალაქარზე მონეტების აღმოჩენა ქართლსა და სირიულ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ურთიერთობაში აჭარის ზღვისპირა ზოლში გამავალი გზის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. იგი რომელი გეოგრაფ კასტორიუსის მიერ შედგენილ რუკაზეა გადატანილი და საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ახ. წ. I-II სს-ში ქართლის სამეფოს და სირიის ქვეყნების ვაჭრობაში ინტენსიურად ჩართულია მინის ჭურჭელი. მიიჩნევენ, რომ სირიული სახელმწიფოების იმპორტი ქართლში ინტენსიურად შემოდის იმ საგზაო მაგისტრალით, რომელიც „პეგტინგერიანაზეა“ აღნიშნული. იბერიიდან გააქვთ ბრწყინვალე ხარისხის საღებავი. იბერიის მცირე აზიასთან ვაჭრობის მოწმობად მიიჩნევენ აგრეთვე ლურჯი მინის მრავალწახნაგოვან საბეჭდავების ფართოდ გავრცელებას ძვ. წ. V-IV სს-დან I ს-მდე. ეს იბერიული საბეჭდავები ქვის მცირე აზიური საბეჭდავებიდანაა ჩამოსხმული. ქართლის სამეფოს სელევკიდების სირიის სახელმწიფოებთან სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობას ამ გზით ადრეელინისტური ხანიდან ანგარიშობენ. ალექსანდრე მაკედონელის, ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს სტატერების, მათი მინაბაძების მოჭრისა და იბერია-კოლხეთში გავრცელების საკითხს საქციალურ ლიტერატურაში ბევრი მკვლევარი შეეხო, რომელთა შორის აღსანიშნავია: ს. მაკალათას, ა. ზოგრაფის, ე. პასომოვას, დ. კაპანაძის და გ. დუნდუას ნაშრომები და წერილები, რომლებიც შეიცავენ ჩვენთვის დასაყრდენ დასკვნებს. ამ მხრივ დასაყრდენ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ზღვისპირა ზოლის არქეოლოგიური მასალები, როგორც ზემოთ მიუთითეთ, საკმაოდ მდიდარ მონაცემებს შეიცავს. აქ აღმოჩენილია, როგორც ალექსანდრე მაკედონელის, (ძვ. წ. 236-323 წწ), ისე ლისიმაქეს სახელით (ძვ. წ. 306-282 წწ). მოჭრილი მონეტები.

ალ. ზოგრაფი მიუთითებს, რომ ალექსანდრე მაკედონელის სტატერების გავრცელების მხარე „ძვეს მდინარე რიონის მიმართულებით და მის იქით აღმოსავლეთით... მაშინ, როდესაც მეორე მხრივ, აფხაზეთის და მის სამხრეთით ზღვის სანაპირო ზოლში ბათუმამდე რეგისტრირებულია ლისიმაქეს სტატერების მინაბაძები“. დ. კაპანაძემ კი ა. ზოგრაფის ეს „მნიშვნელოვანი დაკვირება“, როგორც პროფ. ით. ლორთქიფანიძე მიუთითებს, ახალი აღმოჩენების საფუძველზე შეავსო და შესტად განსაზღვრა ორი სახეობით განკერძოებული რაიონი, სადაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მონეტების ჩგუფია გავრცელებული: ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძები ძირითადად მოსაზღვრე მთიან ზოლში ჩნდება, ხოლო ლისიმაქეს სტატერთა მინაბაძები დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში. მაკედონური სტატერების მინაბაძები აღმოჩენილია არა მარტო ძველი კოლხეთის, არამედ აღმოსავლეთ საქართ-

ველოს ტერიტორიაზეც, კერძოდ, ახრისში, აგრეთვე ჯავის რაიონში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1951 წ. მცხეთის სადგურთან გათხრილ აკლდამაში აღმოჩენილ მაკედონურ ხუთ ოქროს მინაბაძს და სისქითა და წონით მონეტების თანაბარ ოქროს ფირფიტას, რომელიც, დ. კაპანაძის აზრით „ნამზადს“ უნდა წარმოადგენდეს. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი მაკედონური სტატერის მინაბაძების კოლხურობას საეკვოდ აყენებს და, როგორც დ. კაპანაძე, ისე ოთ. ლორთქიფანიძე მას იბერიულ მინაბაძებად მიიჩნევენ. ა. ზოგრაფი მიუთითებს, რომ შავი ზღვისპირეთის ზოგიერთი ქალაქი თვითონ ჰქრიდა მაკედონური სტატერებისა და ტეტრადრაქმების ტიპის მონეტებს. მაგრამ ბოლო წლებში ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს ამ აზრს და გამოთქვამს მოსაზრებას მაკედონური სტატერების არა მარტო არაიბერიულობის, არამედ იბერიაში მისი გავრცელების საწინააღმდეგოდაც კი. გ. დუნდუა აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი 373 სტატერიდან 372 და ლისიმაქეს სტატერთაგან ექვსივე მინაბაძი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, რომელთაგან უკანასკნელი ძვ. წ. III ს-ის დასასრულიდან სპეციალურად შავი ზღვისპირეთისათვის სავაჭრო მონეტის როლს ასრულებდა, მის ემისიას კი ტომი, ისტრი, კალატია, ტირი, განსაკუთრებით კი ბიზანტიონის (ძვ. წ. III ს-ის დასასრულიდან ახ. წ. I ს-მდე) ზარაფხანა ასრულებდა.



## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# საყურადღებო გამოკვლევა

საკმაო ტრადიცია აქვს ჩვენში ყოფიერი კულტურის, კეოძოდ, ხალხური საცხოვრებელი და სასწრაფო კომპლექსის კვლევას. საქართველოს ყოველი კუთხე იძლევა ამ მხრივ თავისებულ მასალას, სათ სოფის, აუარაც, როდის მესხველაც ამ თვალაზრისით ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში დაიწყო.

საკითხის შესწავლა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა საბჭოთა პერიოდში. ამ საშუალო საქმის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას ეძღვნება ჯემალ მიქელაძის წიგნი „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში“, რომელიც ახლახან გამოსცა „საბჭოთა აჭარამ“.

წიგნი იხსნება რედაქტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგის გამაზინელი ეთნოგრაფის პროფესორ ალექსი რობაქიძის წინამძღვართი, რომელშიც მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანადაა დახასიათებული არა მარტო ამგვარი ძიებების მნიშვნელობა და კვლევის ისტორია, არამედ ჯ. მიქელაძის დამსახურებაც: „ჯ. მიქელაძის ნაშრომი, — აღნიშნავს პროფ. ა. რობაქიძე, — დაწერილია მის მიერ მოპოვებულ სრულიად ახალ მასალაზე“.

ჯ. მიქელაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისი კვლევა ეთნოგრაფიულ და ხელოვნობათმცოდნეულ მასალასთან ერთად გრაფიკული მონაცემებიც მასვე ეკუთვნის. ამ ფაქტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ასეთი გამოკვლევებისათვის რედაქტორიც ხაზგასმით აღნიშნავს.

ასე მარჯვედ დაწყებულმა კვლევამ, როგორც სწორად შენიშნავს პროფ. ა. რობაქიძე, „საშუალება მისცა ავტორს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგა ქართველი ხალხის ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის შესწავლაში და ეჩვენებინა აჭარული საცხოვრებელი ნაგებობის როგორც ლოკალური თავისებურებანი და მათი განმსაზღვრელი პირობები, ასევე კულტურის ამ ელემენტის ზოგადქართული ბუნება“.

ჯ. მიქელაძის სარეცენზიო წიგნის უმთავრესი ღირსება სიახლეა, ასეთ სიახლეთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კულტურის საძიებელი ელემენტის იმგვარი შესწავლა, როდესაც ხელშესახებად ისახება მისი განვითარების გზა ფაცხა-სახლიდან მოკიდებული, თანამედროვე სახლამდე.

იმის გათვალისწინებით, თუ რა ადგილი უჭირავს აჭარის რეგიონის ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, ძნელი აღარ იქნება ამ მხარის საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსის უადრესად საინტერესო სახის მეცნიერული წარმოჩენის მნიშვნელობა.

როგორც მართებულადაა შენიშნული, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ არც თუ



ასე დიდ ტერიტორიაზე სამეურნეო თუ საცხოვრებელ ნაგებობათა იმდენად მრავალ სახეობაა დადასტურებული, რომ ყველა მათი რიგისი გამოკვლევა და ურთიერთკავშირის დადგენა არც თუ იოლი საქმეა. მართალია, საკითხის დაძლევა დიდ სირთულეს უქავეზირდება, მაგრამ უამისოდ შეუძლებელია საძიებელი პრობლემის იმდგვარი წარმოჩენა, რომ საშუალება გვქონდეს თვალი გავადევნოთ მისი ევოლუციის უწყვეტ ხაზს, რომელიც ასე ნათლად ავლენს ამ ქართული ელემენტის ლოკალურ ნიმუშს. კვლევის ასეთ შედეგამდე მიყვანა ლოგიკურად განსაზღვრა მკვლევარის მოზადებამ და მეცნიერულმა აღლომ, რომლისთვისაც ნაცნობია მხარის ეთნოგრაფიული ყოფის განვითარების ძირეული ტენდენციები და ის ეთნოსპეციფიკური ნიშნები, რომელთა ღრმა გამოცნობისა და მეცნიერული გაანალიზების გარეშე შეუძლებელია რამდენადმე ფასეული გამოკვლევის შექმნა.

ნაშრომი შესავლისა და სამი თავისაგან შედგება.

შესავალში საფუძვლიანადაა გაღმოცემული საკითხის შესწავლის ისტორია. პირველი და მეორე თავები ზემო და ქვემო აქარის ეთნოგრაფიულ-ხუროთმოძღვრულ თავისებურებათა გამოკვლევას ეძღვნება. ხოლო მესამე — აქარაში გავრცელებულ საცხოვრებელ ნაგებობათა ძირითადი ტიპების დახასიათებას.

ამას მოსდევს დასკვნები, რომლებშიც ნათლად არის თავმოყრილი საკვლევი პრობლემა და კვლევის შედეგები.

სარეცენზიო წიგნს ერთეის რეზიუმე რუსულ ენაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ წიგნში უხვადაა გრაფიკული მასალები. მართალია ზოგიერთი ილუსტრაცია ვერაა დაბეჭდილი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება მაინც დამაკმაყოფილებელია.


ასეთი რთული საკვლევი პრობლემის გარშემო შენიშვნების გამოთქმაც შეიძლება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ კარგი საქმე გაკეთდა და საყურადღებო ნაშრომი მივიღეთ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი მარტოოდენ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა შესწავლით როდი იფარგლება. იგი არანაკლები გულისყურით იკვლევს საყულტო თუ საფორტიფიკაციო ძეგლებსაც. ამ ძიების შედეგებიდან ნაწილი უკვე დაბეჭდილია. მათ შორის გამოირჩევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უდფდესი ციხე-სიმაგრის ხიხანის ხუროთმოძღვრული დახასიათება, რომელიც 1980 წელს დაიბეჭდა კრებულში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურის ძეგლები“.

გ. მიქელაძე წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა და დღესაც თანამშრომლობს საქართველოს სსრ არქიტექტურთა კავშირის აქარის ორგანიზაციასთან. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც დაარსდა არქიტექტურის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმი.

მკვლევარი მონაწილეობს ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციებში, რომლებსაც ერთიანი ძალებით აწყობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. გაეაწიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და არქიტექტურის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმი (ხელმძღვანელი პროფ. ი. სიხარულიძე).

დავით კომახიძე



„საპატრიო ნიშნის“ ორდენი ბატუმის  
თეატრის დროშაზე.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სა-  
ხელმწიფო დრამატული თეატრში გამა-  
რთულ საზეიპო სელონაზე, რომელიც  
მიძღვნიან კულტურის ამ მოწინავე კერა-  
სათვის „საპატრიო ნიშნის“ ორდენისა  
დაცემას, მოვიდნენ მუშათა კლასისა და  
სოფლის მშრომელთა წარმომადგენლები,  
კულტურის, ლიტერატურისა და სელო-  
ნების მოდერნიზაციის, პარტიული, საბჭოთა,  
პროფკავშირული, კომკავშირული მუ-  
შაკები, სტუმრები საქართველოს სხვა-  
დასხვა ქალაქიდან და რაიონიდან.

საზეიპო სელონა გახსნა აჭარის ასსრ  
კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ.

სიტყვა ეძღვნა საქართველოს სსრ  
უმადღესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯ-  
დომარეს პ. გილაშვილს.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის 1938 წლის 6 მაისის ბრძა-  
ნებულებით, — თქვა ამხანაგმა პ. გილა-  
შვილმა, — საბჭოთა თეატრალური ხე-  
ლოვნების განვითარებაში დამსახურები-  
სათვის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბა-  
თუმის სახელმწიფო დრამატული თეატ-  
რი დაჯილდოვდა „საპატრიო ნიშნის“ ორ-  
დენით. ეს არის აღიარება თეატრის სა-  
უკუნოვანი შემოქმედებითი გზისა, მრავ-  
ალი თაობისა, რომლებმაც საკუთარი  
მხრებით წილეს თეატრის ყველა ღირსე-  
ბა და შემოქმედებითი მიღწევა. ეს ჭი-  
ლდო ეკუთვნის მსახიობებისა და რეჟი-  
სორების მრავალ თაობას, ყველას, ვინც  
შექმნა საფუძველი, რომ ბათუმის თეა-  
ტრი ყოფილიყო მეთაური აჭარის ხე-  
ლოვნების მუშაკთა იმ დიდი მიღწევე-  
ბისა, რომლებმაც ბევრჯერ იჩინეს თავი  
ავტონომიურ რესპუბლიკაში. სამეურნეო  
და კულტურული მშენებლობის ყველა  
უბანზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრა-  
ლური კომიტეტი, საქართველოს სსრ  
უმადღესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქა-

რთველოს სსრ მინისტრთა საბჭო გული-  
თადად და მხურვალედ ულოცავენ თეა-  
ტრის კოლექტივს, მის მრავალრიცხოვან  
მაყურებელს სახელოვან იუბილეს და  
ნაყოფიერ მალალ ქილდოს.

ამს. პ. გილაშვილმა თეატრის დროშას  
„საპატრიო ნიშნის“ ორდენი მიანიჭა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის სა-  
ოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნი-  
ვამ, რომელიც სიტყვით გამოვიდა,  
თქვა, რომ ბათუმის თეატრის დაჯილ-  
დობა „საპატრიო ნიშნის“ ორდენით  
არის კიდევ ერთი ნათელი დადასტურე-  
ბა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა  
მთავრობის განუხრელი ზრუნვისა,  
სასცენო ხელოვნების შემდგომი განვი-  
თარებისათვის.

ამს. ნ. გუგუნივამ წაიკითხა პარტიის  
აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის  
ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა  
და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მი-  
ხალშევა ბათუმის თეატრის კოლექ-  
ტივისადმი.

დასის შემოქმედებითი გზის შესახებ  
მოსხენება გააკეთა ბათუმის თეატრის  
ლიტერატორმა საქართველოს სსრ დამსა-  
ხურებულმა არტიტმა ლ. ლლონტმა.

მისხალმებელი სიტყვით გამოვიდ-  
ნენ საქართველოს მწერალთა კავშირის  
აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი  
მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაუ-  
რეტი ფ. საღვაში. ხულოს სახალხო  
თეატრის რეჟისორი ს. თავართქილაძე,  
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ-  
ის მოადგილე ვ. იაკოშვილი, მ. რუს-  
თაველის სახელობის ბათუმის სახელ-  
მწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხე-  
ლოვნების დოცენტი, ბათუმის კოლექტრო-  
მექანიკური ქარხნის მღარავი, პარტიის  
აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წე-  
რი ბ. ჭყონია, გრიბოედოვის სახელო-  
ბის თბილისის რუსული სახელმწიფო  
დრამატული თეატრის მთავარი რეჟისო-  
რი საქართველოს სსრ სახალხო არტიტი  
პროფესორი გ. უორდანი, თბილისად

„სოკოლოვ ვოზნესენსკის“ კაპიტანის პირველი თანაშემწე ვ. ჩხაიძე, პარტიის სტუდენტურის რაიკომის პირველი მდივანი ს. ინიანგილი, ს. ჭანბას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. კორტავა, კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ჭავჭავაძე, მხარამის სახელმწიფო თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე მ. ვალიაძე, ქობულეთის რაიონის აღმშრის კოლმეურნეობის მერჩიე მ. ვოკიტაძე, ზ. ვალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენისანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი ზ. მხარაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ბათუმის საპატიო მოქალაქე ზ. ანჭაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ს. ჭიაურელი და კ. მხარაძე, ბათუმის № 1 სკოლის მოსწავლე თ. ჭანტურია.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მოასმინეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ლენინური პრემიის ლაურეატის ნ. დუმბაძის მისაღმბა — ჩაწერილი მაგნიტოფონის ფირზე. აუდიტორიას აუწყეს აგრეთვე, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ერთ-ერთ ახალ გემს მიენიჭება რესპუბლიკის სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის სახელი.

**„მოსფილმის“ დღეების მონაწილეები ბათუმში**

გულითადად მასხინძლობდა ბათუმი საქართველოში „მოსფილმის“ დღეების მონაწილეებს. დღეგაცის ხელმძღვანელობდა კინოსტუდია „მოსფილმის“ მთავარი რედაქციის სასცენარო-ხარედაქციო კოლეგიის წევრი ირინა სოფივა. სტუმართა შორის იყვნენ რსფსრ სახალხო არტისტები რეჟისორი გ. ეგიაშაროვი და ლ. სოკოლოვა, რსფსრ დამსა-

ხურებელი არტისტები მ. ტერეზოვა, ლ. პოიავუოვი, მიაკოვსკის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი ლ. სილსკაია, სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის მსახიობი ე. ციბლაკოვა, კინოსტუდია „მოსფილმის“ რეჟისორი რ. ფრუნტოვი, „მოსფილმის“ კინოსაქარმო ორგანიზატორი ვ. რეპნიკოვი.

„მოსფილმის“ დღეების მონაწილენი მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიაძემ.

ამს. ვ. პაპუნიაძემ სტუმრებს მოუთხრო კულტურისა და ეკონომიკის დარგებში აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებზე, საზი გაუსვა კინოსტუდია „მოსფილმის“ დღეების დიდ მნიშვნელობას, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 20-ე წლისთავს ეძღვნება, უსურვა მის მონაწილეებს ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

მოსფილმელთა სახელით ი. სოფივამ მადლობა გადაიხადა უსულობილი მიღებისათვის.

მიღებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ძიძიგური.

**ეშურნალის იუბილე**

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა ეშურნალ „ქოროხის“ დაარსების 25-ე წლისთავს.

საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პრეზიუმის ხელმძღვანელმა მდივანმა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ფ. ხალვაშმა.

მოხსენება გააქეთა ეშურნალ „ქოროხის“ მთავარმა რედაქტორმა ა. სამხონიამ.

სიტყვა წარმოთქვა და ეშურნალ „ქოროხს“ დაარსების 25-ე წლისთავი მიულოცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრო-

ბის კანდიდატმა, პარტიის აჟარის საო-  
ლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა  
ვ. პაპუნძემ.

უფროსადმა „ქორხმა“, თქვა ამს. ვ.  
პაპუნძემ, დიდი რაღი შეასრულა ჩვენს  
ავტონომიურ რესპუბლიკაში მწერალთა  
ახალი კადრების აღზრდაში, და გამოთქვა  
რწმენა, რომ იგი კიდევ უფრო აამაღ-  
ლებს რესპუბლიკების იდეურ-მხატვრულ  
დონეს.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ  
მწერალთა განყოფილების „პარტიული  
ორგანიზაციის მდივანი პოეტი გ. ქათა-  
შიძე, გამოცემლობა „საბჭოთა აჟარის“  
დირექტორი ა. ახვლედიანი, აჟარის  
ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი  
რ. სურმაშიძე, შ. რუსთაველის სახე-  
ლობის ბათუმის პედაგოგიური ინსტი-  
ტუტის დოცენტი ა. სურგულაძე, პოეტი  
ვ. ლლონტი.

აჟარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრე-  
ზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დიასაში-  
ძემ წაუკითხა აჟარის ასსრ უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უფ-  
როსად „ქორხის“ თანამშრომლების  
შეშინა ვარშაიისა და შუშანა დარჩიასა-  
თვის აჟარის ასსრ კულტურის დამსახუ-  
რებული მუშაკის საპატიო წოდების მი-  
ნიჭების შესახებ.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ნ. გუ-  
გუნია, ი. უნგიაძე, აჟარის ასსრ მინი-  
სტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგიდე  
ა. ტაყაძე, პარტიის აჟარის საოლქო  
კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაცი-  
ის განყოფილების გამგე ნ. ცეცხლაძე.

### უმხმედრობ კომიტეტი

მშობლიური რაიონის — ქობულეთის  
მშრომლებმა კულტურის სახლში შე-  
ხვედრა გაუმართეს პოეტ ჯემალ ქათა-  
შიძეს. რომელსაც დაბადების 50 წელი  
შეუსრულდა.

საღამო ვახსნა საქართველოს კომპარ-  
ტიის ქობულეთის რაიონის მდივანმა  
მ. მასილაძემ.

პოეტმა მამია ვარშაიამ ისაუბრა  
ქემალ ქათაშიძის შემოქმედებაზე.

სიტყვით გამოვიდნენ და პოეტს დაბა-  
დების 50 წლისთავი მიულოცეს  
თის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავ-  
მჯდომარემ ა. გეგიძემ, საქართველოს  
ალექსანდრეოვს რაიონის პირველმა  
მდივანმა ნ. წულუკიძემ, ბობოყვათის  
საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. ქათა-  
შიძემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატ-  
მა, საქართველოს მწერალთა კავშირის  
აჟარის განყოფილების პასუხისმგებელ-  
მა მდივანმა ფ. ხაღვაშმა, პოეტებმა  
ზ. გორგილაძემ და ა. საბაშმა.

რაიონის თვითმკმედი კოლექტივები-  
სა და მომღერალთა და მოცეკვავეთა სა-  
ბავშვო ანსამბლებმა შეასრულეს გ. ქა-  
თაშიძის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.  
დასასრულ სიტყვით გამოვიდა პოეტი  
გ. ქათაშიძე.

### რუსთაველის თეატრის სცენაზე

საქართველოს სახალხო არტისტის  
ეროსი მანჯგალაძის ხსოვნას მიუძღვნა  
თბილისის რუსთაველის სახელობის სა-  
ხელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თა-  
ვისი ახალი ნამუშევარი — ალექსანდ-  
რე ჩხაიძის პიესა „სამიდან ექვსამდე“.

სექტაკლი დადგეს სსრ კავშირის სა-  
ხალხო არტისტმა, ხსრ კავშირის სახელ-  
მწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის  
სახელობის პრემიის ლაურეატმა რო-  
ბერტ სტურუამ და საქართველოს ხსრ  
სახალხო არტისტმა ბადრი კობახიძემ.

სექტაკლში, რომელიც მოვეითხრობს  
საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯ-  
დომარის მიღების ერთ დღეზე, მთავარი  
რაღი შეასრულა საქართველოს ხსრ  
და სომხეთის ხსრ სახალხო არტისტმა  
გიდუშერ მაღალაშვილმა.

მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართ-  
ველოს ხსრ სახალხო არტისტები მ.  
თბილელი, ზ. კვრენჩილაძე, კ. სკან-  
დელიძე, კ. კახაძე, ვ. ნინიძე, ვ. თალა-  
კვაძე, საქართველოს ხსრ დამსახურებუ-  
ლი არტისტები რ. მიქაბერიძე, დ. პაპუა-  
შვილი, მსახიობები მ. ხალარაძე, თ. ზა-  
ქარიაძე, ი. აფაქიძე და სხვები.

## პრემიერ ბატუშვის თეატრში

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბატუშვის სახელმწიფო თეატრმა შეუერთებულს მოკრიგ პრემიერალ უჩვენა ფედერიკო გარსია ლორკას ორმოქმედებიანი დრამა „ბერნარდა ალბას სახლი“.

სპექტაკლი დადგა შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა თამარ კვავიაშვილმა. მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს ა. ფილიპოვს, მუსიკა-

ლური გაფორმება — აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მხატვარს თ. შამილაძეს.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ნ. ხაყანდელიძე, ნ. წერეთელი, თ. სულხანიშვილი, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ლ. ჭიბლაძე, ნ. ხინიაძე, მსახიობები ც. აბზიანიძე, თ. მერვილი, შ. ბეჟანიძე, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ნ. გოგიტაური.

## მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია

### სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი ბანიჩილაძე, ზურაბ გორგოლაძე, მამია შარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ზომიძე, დავით თედორაძე, გიორგი ხალუაშვილი, ჯემალ ქათამაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ ხალვაში, დავით ხახუთაიშვილი, ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 17.6.83, ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.6.83. სავაჭრო-მცემლო თაბახი 5, შეკვეთის № 1667 ემ 01387, ქალაქის ზომის 60x90<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

6<sup>3</sup> / 139



3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**„ЧОРОХИ“**

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕВ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 78118